


825
1989

I S S N : 0763 - 7247



გუგაბი

ქართული პოლიტიკის მეცნიერების ორგანო უცხოეთში

№ 39
(18, 20)

პარიზი

№18

PARIS

თებერვალი

1989

FEVRIER



„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნაცსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმწრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“ - ი ლ ი ა

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე - მთელი ქვეყანა,
და, რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,
არ შემიძლია მეც, განა?! - ა კ ა კ ი


„ხარს ვგვევარ ნაიალადარს, რქით მიწასა ვჩხვერ ვბუბუნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუღუნებ“ - ვ ა შ ა

21.569

„ გ უ შ ა გ ი “

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ორგანო უცხო-
ეთში, გამოდის პარიზში 1974 წლის იანვრიდან „თავისუფლების
ტრიბუნას“ სახელწოდებით, 1984 წლიდან კი - „გ უ შ ა გ ი ს ა“.

ჩ ვ ე ნ ი დ ე ვ ი ზ ი : ს ა მ შ ო ბ ლ ო დ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა



1989



ძვირფასნო მკითხველნო და თანამემამულენო, დროთა უსასრულო დინებაში კვლავ ერთი ახალი მიჯნა, ახალი წელი დადგა: ათას ცხრაას ოთხმოცდამეცხრე ქრისტე მაცხოვრის დაბადებიდან. მოგილოცავთ მას და, როგორც ეს ტრადიციას, გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას...

მაგრამ ძვირფასნო, უსიყვარულოდ არ არსებობს ბ ე დ ნ ი ე რ - ე ბ ა. სიყვარულს კი ასე უმღეროდა ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის ორფეოსი, გალაქტიონი:

უ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ო დ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
ს ა ს ი ხ ა რ უ ლ ო დ ...

სულით ლატაკი, უბადრუკია უსიყვარულო ადამიანი. გარნა სიყვარული უთვალავია და მათ შორის ყველაზე ამაღლებული სამშობლოს, ეროვნული მამულის სიყვარულია. ამ ქვეყნად არაფერია იმაზე სანუკვარი, რომ სიცოცხლით სამშობლოს ემსახურებოდე და სიკვდილით კი-მის უკვდავებას.

ჩვენმა წინაპრებმა, დიდი ქართლოსის შთამომავლებმა, უხსოვარი დროიდან, ზღვა სისხლის ნთხევით, კავკასიონის მთების სამხრეთი კალთები ორ ზღვას შორის დაიმკვიდრეს სამშობლოდა და სამეუფეოდ. დიდებული ვაჟა ჩვენი ხალხის აზრს გამოხატავდა, როცა ბრძანებდა:

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრიოთ,
მკვდარსაც კი გაეცინება.

ღიან, მუდამ გვეცილებოდენ და კვლავაც გვეცილებიან, მაგრამ ქართლოსის ნაშიერი არ ცხრებოდა და არ ცხრება, არ თმობდა და არ თმობს მის კუთვნილ მამულს, მის დედა ენას, მის ქართულ თავისთავადობას. ღვრიდა უშურველად საკუთარ სისხლსაც და მომხდური მტრის სისხლსაც და ასე-ამრიგად, უწყვეტი ოფლის ღვრისა და სისხლის ნთხევის წყალობით დღესაც გაისმის ამიერკავკასი-



აში ქართველი ვაჟკაცების ომანიანი ყიჟინა:
ქართველო ხელი ხმალს იკარ,
თენდება დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა...

სწორედ ამის მსგავსი რამ მოგვესმა სამშობლოდან გასული წლის ბოლოს, რომელმაც „გულს იმედი ჩაგვისახა“, აღგვაფრთოვანა სიხარულით. უეჭველია, რომ ამ ხმამ, ამ საბრძოლო ყიჟინამ ასევე ტკბილად ააძგერა ყველა ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტის გული. დაე, ამ წელიწადში ეს ყიჟინი სულ უფრო და უფრო გაძლიერებულიყოს და გამარჯვებით დაგვირგვინებულებოდეს!

გასული წლის განმავლობაში არაერთი ღირსეული თანამემამულე დაგვარგეთ ჩვენი ცხოვრების გზიდან, მოკრძალებით თავს ვხრით და პატივს მივაგებთ მათ ნათელ ხსოვნას. მრავალყამიერი იყოს ცოცხალთა შორის მათი ხსენება!

ჩვენ ყველა იმ ადამიანის ხსოვნასაც ვეთაყვანებით, რომელთა სიცოცხლაც პიროვნებისა და ერის განთავისუფლების დიად საკაცობრიო საქმეს მოხმარდა.

საბედნიეროდ, ამავე დროის მონაკვეთში ჩვენ სამშობლოს ახალი ცვლა ემატებოდა, ია და ვარდი ჰფენიათ წინ, კეთილი იყოს მათი ჩვენს შორის მობრძანება, რამეთუ ჩვენი სამომავლო იმედები მათ ეკუთვნით.

ვის არ აღავსებს სიხარულითა და სიამაყით ჩვენი ახალგაზრდობის უნაპირო მამულიშვილობა, მისი უპირობო მზადყოფნა- ერისა და მამულის წმინდათაწმინდა სამსხვერპლოზე თავის დასადაბად! დიახაც რომ გვეამაყება და ვეთაყვანებით ჩვენს ახალგაზრდებს, რომლებიც ბეჯითად სწავლობენ საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებლებში, მუყაითად შრომობენ ფაბრიკა-ქარხნებსა და სოფლის მეურნეობაში და ამავე დროს ნებაყოფლობით ხარკს უხდიან სამშობლოს თავისუფლების ღმერთებს. დიახ, ეს ასეა და ჩვენ მივესალმებით, რომ დღევანდელი ჩვენი ახალგაზრდობა ამართლებს ჩვენი ხალხის ძველ სიბრძნეს:



ის ურჩევნია მამულსა,
რომ შვილი სჯობდეს მამასა;


მხოლოდ არც ის უნდა დაგვაღიწყდეს, რომ ახალგაზრდებს ეს სიკეთე ციდან კი არ ჩამოვარდნიათ, არამედ იგი მათ შთაუწერეს მშობლებმა, მასწავლებლებმა, უფროსებმა. უფროსმა თაობამ ადამიანისა და ერის თავისუფლების მანათობელი ჩირაღდანი ჩაუქრობლად გამოატარა მძვინვარე ქარიშხლებს და ახლა მას ესტაფეტად გადასცემს ახალ თაობას. ეს დამსახურება უფროსებს არ უნდა დაეკარგოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებელი იქნება აწმყო და საექვო მომავალი.

იყო სისუსტე, იყო დანაშაულება, იყო შეცდომები. არაფერი არ უნდა იქნეს დავიწყებული, მაგრამ ჩაქოლების, შურისძიების გრძობებისაგან უნდა განიწმინდოს თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდი თაობა. მშობელმა და შობილმა, უფროსმა და უმცროსმა ურთიერთის ნდობით, პატივისცემით და სიყვარულით უნდა ჩასჭიდონ ხელი ერთმანეთს და ერთად ერთგულად სწიონ საერთო ეროვნული უღელი.

* * *

გასული წელი იმით გამოირჩევა მის წინამავალთაგან, რომ მან მოწმე გაგვხადა საბჭოთა საზოგადოებების მანამდე უჩვეულო, თუ გნებავთ, წარმოუდგენელი გამოცოცხლების. ჩვენი სამშობლოც არ ჩამორჩა საერთო ფერხულს, შეიქმნენ და ამოქმედდნენ: ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომელიც საბოლოოდ ორ ჯგუფად გაიყო: ილია ჭავჭავაძის საზოგადოებად და ილია ჭავჭავაძის საზოგადოება-მეოთხე დასად, შოთა რუსთაველის საზოგადოება და, ბოლოს, განახლებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ყველამ მიზნად დაისახა მშობელი ხალხის სამსახური, ქართული ენის, ქართული კულტურის, ქართული ისტორიული მიწა-წყლის, ქართული ვინაობის დაცვა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატორებმა ყველაფერ ამას დაუმატეს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა. ამათთან ერთად იყო ცდა საქართველოს სახალხო ფრონტის შექმნისა, მაგრამ, როგორც ჩანს, 1988 წელში ამ იდეას განხორციელება არ ეწერა.

ჩამოთვლილ მოქმედ ორგანიზაციებიდან მხოლოდ რუსთაველის საზოგადოება სარგებლობს ხელისუფლების მფარველობით და ოფიციალური სტატუსით. დანარჩენების არსებობას ხელისუფლება არ



ცნობს. ბ-ნ გორბაჩოვის „გარდაქმნის“, „საჯაროობისა“ და „დე-
 მოკრატიზაციის“ რეჟიმი იმით განსხვავდება მის წინამორბედთან
 გან, რომ ის ფიზიკურად არ სპობს (ყოველ შემთხვევაში, აქვე
 ჯერობით მაინც) იმ დაჯგუფებებს, რომლებიც მისგან დამოუკიდებ-
 ლად არსებობენ, მაგრამ არც მოქალაქეობრივ უფლებებს აძლევს
 მათ და მით ამყოფებს მათ მუდმივ დარბევის შიშის ქვეშ.

ოფიციალურად ამ ჯგუფებს, საზოგადოებებს თუ პარტიებს, უწო-
 დებენ: „არაფორმალურ გაერთიანებებს.“ (გვიქრობთ, რომ დღეიდან
 ჩვენთვისაც ზედმეტი არ იქნება ამ ტერმინის ცოდნა. ქართულ
 სინამდვილეში ამ ტერმინში იგულისხმება პატრიოტული პოლიტი-
 კური ფორმაციები.)

გარდა მათი მგზნებარე გულებისა ამ არაფორმალურ გაერთი-
 ნებებს არ გააჩნიათ არავითარი სხვა საშუალება, მასების სიმპა-
 თიათა მიზიდვისათვის და დასახული მიზნების განხორციელებისა-
 თვის, მაშინ, როცა მის მოქიშპე სახელმწიფოს განკარგულებაშია
 უზარმაზარი ეკონომიური, პოლიციური და საპროპაგანდო საშუა-
 ლებები იმისათვის, რომ მათ სახელი გაუტეხოს საზოგადოების თვა-
 ლში, გაინაპიროს საზოგადოებიდან, მოუხდინოს დემორალიზაცია.

ამ მეტად უთანასწორო ბრძოლაში ზოგიერთი ცნობილი პატრი-
 ოტი ინტელიგენტი, მის საჯარო გამოსვლებში ზოგჯერ, მისდა უნ-
 ებურად, წყალს ასხამს ხელისუფლების წისქვილზე, რაც, რასაკვი-
 რველია, მეტად სამწუხაროა. მათთვის მრავალპარტიულობა სინო-
 ნიმია ეროვნული დაქსაქსულობისა და ძმათა შორის გაჩაღებული
 ომისა. პარტიების წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიაში, თავიანთი
 პოზიციების გამაგრებაში, ეს პატიოსანი კალმოსნები დიდი ილიას
 ავტორიტეტითაც სარგებლობენ. მათ გასაგონრად უნდა ითქვას:
 ჯერ ერთი, ილია ჭავჭავაძე არასოდეს არ ყოფილა წინააღმდეგი
 საერთოდ პარტიის და განსაკუთრებით კი პატრიოტული პარტიის,
 არამედ ის მთელი თავისი რისხვით თავს ესხმოდა ისეთ პარტი-
 ას, რომელიც ქართველებს შორის შუღლსა და მტრობას აღვივებ-
 და, ხოლო სამშობლოს დამპყრობთა მიმართ ძმობასა და ერთობას;
 მეორე, მრავალპარტიულობა თავისთავად არაა ეროვნული უზედურება.
 პირიქით, დღევანდელ მსოფლიოში იგი ნიშანია პოლიტიკური თავი-
 სუფლების, ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესისა და საზოგადოების
 მატერიალური კეთილდღეობისა.

დღეს ხომ სადავო აღარაა ის ფაქტი, რომ ერთპარტიულმა საბ-


კოთა სისტემამ საშინელი უბედურება დაატეხა თავს რუსეთის წინა პერიის ხალხებს გამოუკლებლივ, თვით მპყრობელი რუსთა ხალხის ჩათვლით და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ჩიხამდე მიიყვანა ქვეყანა. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ გაჩაღებული სამოქალაქო ომის საშინელებანი, უსულგულო ბიუროკრატიზმი, პიროვნული კულტი, მასიური განუკითხავი რებრესიები, ბრიყული კოლექტივიზაცია, ქრონიკული შიმშილი, ომი ან მუდმივი საერთაშორისო დაძაბულობა... ყველაფერი ნაყოფია ერთადერთი ცენტრალისტური კომუნისტური პარტიის ბატონობისა.

ამ ჩიხიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული რევოლუციით, რაც მდგომარეობს არსებულის დაგმობაში და მრავალპარტიულ სახელმწიფო სისტემის დამკვიდრებაში. აქეთკენ უნდა მოუწოდებდეს ყველა ჩვენი შეგნებული მამულიშვილი და არა მრავალპარტიულობის დამლუბველობაზე მოთქვამდეს.

ჩვენი, უცხო ერისაგან დაპყრობილი ერის, მდგომარეობა, რასაკვირველია, იმპერატულად მოითხოვს ჩვენს ეროვნულ ერთობას გარეშე მტრის წინააღმდეგ. ეს სანუკვარი ერთობა უნდა განხორციელდეს შეგნებულად, თავისუფალი არჩევის გზით.

სტიქიური ეროვნული აჯანყებების გამარჯვება შორეულ წარსულს ჩაბარდა. დაპყრობილი ხალხები თავს ინთავისუფლებენ მხოლოდ ხანგრძლივი დარაზმული ბრძოლის შედეგად. ეროვნული დარაზმულობა ციდან ხომ არ ჩამოგვივარდება. საჭიროა არსებობდენ პოლიტიკური პარტიები, რომ ხალხმა არჩევანი გააკეთოს. ეროვნული დარაზმვა უნდა მოხდეს და მოხდება კიდევაც იმ პარტიის ან პარტიათა კავშირის ირგვლივ, რომელიც მოქმედების მიზნად დაისახავს ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის განხორციელებას და საქმიითაც დაამტკიცებს მისდამი ერთგულებას.

ჯერჯერობით საბჭოთა ხელისუფლება ასეთ პატრიოტულ მოთხოვნებს კრძალავს, ხოლო მათ, ვინც ბედავს და საჯაროდ ამას მოითხოვს, ის უწოდებს ექსტრემისტებს და აპატიმრებს როგორც ვულგარულ ბოროტმოქმედებს. ყველა შეგნებულმა მამულიშვილმა უსამართლობის ეს მსხვერპლნი ურეზერვოდ უნდა დაიცვას და არამც და არამც საჯაროდ მათ წინააღმდეგ არ უნდა გამოვიდეს. ეს იქნებოდა დიდი ნაბიჯი ეროვნული დისციპლინის განმტკიცებისაკენ და ეროვნული დარაზმულობის მისაღწევად.



გულთხეობის

ქართველი ხალხი რომ ეროვნული სუვერენობის მომხრე გულია, ეს აშკარად, ყოველგვარი ექვის გარეშე გამოჩნდა, გასული ნოემბრის თვის უკანასკნელ ათდღიურში, როცა სრულიად საქართველო, მისი ყველა ოფიციალური და არაოფიციალური ელემენტებით, ყალყზე შედგა, ერთხმად უკუაგდო კრემლის ხელისუფალთა მიერ შემუშავებული კონსტიტუციური ცვლილებების ის მუხლები (კერძოდ 108 და 119), რომლებიც სწორედ საბჭოთა კავშირში ძალით მოქცეულ რესპუბლიკების და, მაშასადამე, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენობას, მეტი რომ არ ვთქვათ, ემუქრებოდნენ.

რომელმა ჭკუათამყოფელმა და საქმეში ჩახედულმა არ იცის, რომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ეს მუხლი, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებს სუვერენობას ანიჭებს და უფლებას აძლევს კავშირიდან თავისი ნება-სურვილით გასვლისას, წმინდა წყლის ფიქციაა და რომ იმავე მომქმედ კონსტიტუციაში ნაჩვენები არაა არავითარი გზა და საშუალება ამ ყბადაღებული სუვერენობის უფლების სარეალიზაციოდ. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხის ასეთ შემკდრობულ ერთობლივ გამოსვლას, თუნდაც ეროვნული სუვერენობის ამ ფიქციის დასაცავად, ჰქონდა დიდი საშინაო და საერთაშორისო მნიშვნელობა, რადგანაც იგი აშკარად, ყოველგვარი თუობის გარეშე მსოფლიოს, მტერსა და მოყვარეს, აჩვენებს მის, ქართველი ხალხის მუდმივ ღტოლვას ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ.

ნოემბრის თვის 22-დან 29-მდე თბილისში ჩატარებული უწყვეტი მასიური მანიფესტაციები, მიტინგები და, რაც მთავარი და ახალია, ათასზე მეტი ახალგაზრდის შიმშილით გაფიცვა, ყოველგვარი ძალის ხმარებისა და უხეშობის გარეშე, უდავოდ იყო ბრწყინვალე დადასტურება ქართველი ხალხის პოლიტიკური სიმწიფისა და ეროვნული გრძნობების ერთობისა.


თქმა არ უნდა, რომ ამან შეაშფოთა მისი ეროვნული მტრები და თავი დააღწიეს რა მოულოდნელობით გამოწვეულ დაბნეულობას, კვლავ ძველებურად აგრძელებენ მათ აშკარა და შენიღბულ ბრძოლას ეროვნული ერთობისათვის ძირის გამოსათხრელად და ჩვენ როდი გვიკვირს, რომ პირველ რიგში მიზანში ამოიღეს სწორედ ის ზემოდ დასახელებული ახალგაზრდები, რომლებმაც თავიანთი შეგნებული დისციპლინით და უანგარო თავდადებით დამსახურებული სიმპათიები მოიხვეჭეს როგორც ქართველობისა, ისე ყველა კეთილი ნების ადამიანისა.



ჩვენ დიდი ხანია, რაც რკინის ფარდით ვართ მოწყვეტილი ჩვენს სამშობლოს, ჩვენ იქ გვყავს მრავალი ნათესავი და მეგობარი, მაგრამ არცერთი პირადი მტერი, რომლის სიგლახე ან ცუდი გავგახარებდა. ჩვენ ბუნებით არ გვჩვევია: არც უანგარიშო ხოტბის შესხმა და არც განქიქება. საზოგადოებრივი და ეროვნული ინტერესებისათვის ჩვენ მომხრე ვართ ობიექტიური კრიტიკის, ზოგიერთ შემთხვევაში მკაცრი კრიტიკისაც კი, მაგრამ განგებ არავის დაეწამებთ ცილს და თუ ჩვენდა უნებურად შეგვეშალა, შენდობას ვთხოვთ ღმერთსაცა და დაინტერესებულ პირსაც.

აი, მაგალითად, ჩვენ არ ვიცნობთ პროფესორ ელიზბარ ცისკარიშვილს, ვკითხულობთ მის სტატიას: „სად გაჩერდნენ თქვენი მამები?!“ 27 იანვრის „ლიტერატურულ საქართველოში“, ვცდილობთ და ვერ გავგვივია ქართული პოზიციებიდან: თუ რა დაუშავეს ერთი კვირის განმავლობაში გარეთ ყინვაში მოშიმშილე ახალგაზრდებმა, რომ ასე დაუზოგავად ებრძვის და ამცირებს მათ, გულზე ფინთიხვით ხვდება მათი ქება და მზადაა საგიჟეთისათვის გაიმეტოს ისინი?! „გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ კორესპონდენტი-წერს ბ-ნი ე. ცისკარიშვილი—30 ნოემბრის ნომერში გვატყობინებდა: „თბილისში მთავრობის სასახლის წინ, შიმშილობის მერვე დღეს, ჩვენი ერის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილმა შიმშილობა შეწყვიტა“. აი ასე, სრული კატეგორიულობითა და უყოყმანოდ, აქციის დამთავრების უმალვე, მოშიმშილენი ქართველი ერის ახალგაზრდობის „საუკეთესო ნაწილად“ იქნა გამოცხადებული. ასეთი, ჩემი აზრით, კატეგორიული შეფასება შემდეგ სხვებმაც გაიმეორეს“.

სტატიის ავტორი გვარწმუნებს, რომ შიმშილის აქციაში მონაწილეთა ასე მონათვლა არც უწყინარი კომპლიმენტია, არც სიბრაღულით გამოწვეული, არამედ განზრახ— მათი „ლიდერების“ კიდევ უფრო მეტად განსაღიღებლადო. „ლიდერები“, რა თქმა უნდა, წინწკლებში აქვს მოთავსებული. ინტელიგენციას ურჩევს: „ჩვენმა ინტელიგენციამ ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია მიუკიბ-მოუკიბავად უნდა გამოხატოს. პირადად ჩემი აზრი ასეთია: ამ აქციაში მონაწილე ახალგაზრდობის ცალსახა და განურჩეველი შეფასება ამჟამად, ცხადია მართებული არ იქნება. ამისათვის საჭიროა ყველა ახალგაზრდის (ან თუნდაც, მხოლოდ საავადმყოფოებში მოხვედრილების) შესწავლა მათი ინტელექტის, საქმიანობის, საზოგადოებრივი მდგომარეობის, ფსიქიკის გათვალისწინებით“.



მაშ ასე, ბ-ნი ე. ცისკარიშვილი მათი მოქმედების მიხედვით არ აფასებს ეროვნული ბრძოლის მოწინავე ხაზზე გასული ახალგაზრდა ჯარისკაცებს, არამედ მათი ინტელექტით, მათი ფსიქიკით, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობით. მერედა, ვინ შეისწავლის და შეაფასებს ყველაფერ ამას ყველასთვის? ცხადია, რომ კაცების ორგანოები და მის განკარგულებაში მყოფი „ფსიქიატრები“, „ფსიქიატრები“, რომლებმაც გიჟად გამოაცხადეს ნიჭით, ცოდნით და პატიოსნებით გამორჩეული ქალიშვილი ნაზი შამანაური და რომლის ტრადიკული ბოლო მათ სინდისზე კი არა, მათ უსინდისობაზეა. კაცებს „ფსიქიატრიულ მიღწევებზე“ სხვაც ბევრი მაგალითების მოხმობა შეიძლება, მაგრამ, ადგილის სიმცირის გამო, ამ ტიპური მაგალითითაც დავკმაყოფილდეთ.

სანამ კაცებს ორგანოები და „ფსიქიატრები“ განაჩენს გამოუტანენ, მანამდის პროფ. ე. ცისკარიშვილი მეტად შავ ფერებში უხატავს მკითხველებს შიმშილობაში მონაწილე ახალგაზრდებს:

„ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში 111 მოშიშმილე მოუთავსებით, რომელთა შესახებ გვატყობინებენ, „პირველ ღლებში კარგად იქცეოდნენ, ეს გასაგებიცაა, მაშინ სუსტად იყვნენ და დახმარება სჭირდებოდათ. მერე კი მათმა საქციელმა სერიოზულ კონფლიქტამდე მიგვიყვანა, მილიციის ჩარევაც კი მოგვიხდა... გული დაგვწყვიტა იმ ფაქტმა, რომ „ლიდერების“ საავადმყოფო ფურცლებში არც თუ იშვიათად იყო ჩანაწერები: „დროებით უმუშევარი“, „უმალღესი სასწავლებლიდან „გარიცხული“, ზოგიერთი მათგანის ქცევაც ადასტურებდა მათ ჭეშმარიტ სახესა და სულისკეთებას.“

მილიცია საავადმყოფოში! გსმენიათ როდესმა მსგავსი რამ? რა მოხდა ასეთი? ამ ახალგაზრდებს გიტარის დაკვრით აუკლიათ იქაურობა. მედპერსონალის მუდარას – დაწყნარდით, მახლობელ პალატებში უმძიმესი ავადმყოფები გვყავს, რომელთაც სიმშვიდე სჭირდებოდათ, ყური არავინ ათხოვა, უტიფრად გაიძახოდნენ „გვემღერე და ვმღერითო“. არც მომაკვდავი ავადმყოფების მახლობელთა ხევწნამ გაკრა, მხოლოდ მილიციამ შეძლო „პაციენტების“ გონს მოყვანა.“ ხედავთ რა ხულიგნები ყოფილან! მაგრამ მივყვით:

„ისიც უტყუარი ფაქტია, რომ ნერვულ დაავადებათა კლინიკურ საავადმყოფოში მოთავსებულმა ახალგაზრდებმაც დებოში ატეხეს და მილიციის გამოძახება აქაც აუცილებელი გახდა. აი, ესეც თქვენი „საუკეთესო ნაწილი“! ამბობს დაცინვით და აგრძელებს:

„საყურადღებოა, რომ ამ ახალგაზრდათა შორის ბევრს გულზელი ჯვარი ეკიდა, თანაც მთელი ქვეყნის დასანახად გადმოგდებოდა. განა შეიძლება ვირწმუნოთ ქრისტეს მოძღვრებისადმი მათი ერთგულება? განა დასაჯერებელია, რომ მათ, ვინც მომაკვდავი ადამიანები ნუგეშის ცემის ნაცვლად ღრიანცვლით დატანჯეს, მოყვასისადმი სიყვარულის უნარი შესწევთ? განა უფრო საფიქრებელი არ არის, რომ მათ არც ღმერთი სწამთ და არც ეშმაკი და ჯვარი უფრო მათი კეკლუცობის დამადასტურებელი ატრიბუტია?“...

ამგვარ „ლიტერატურას“ შეიძლება პასკვილი ეწოდოს. პასკვილიც არის და პასკვილიც. ზოგიერთი კეთილმსურველის პოზიციდანაა შეთხზული და გონებათმხილობით კისკასობს. პროფ. ე. ცისკარიშვილის „სად გაჩერდნენ თქვენი მამები?!“ კი არის მტრობით დაბოღმილი კაცის პასკვილი, ანუ ცილისწამება. ჩვენ თუ აქ მასზე

ამდენ ხანს შეგჩერდით ეს იმიტომ, რომ მას ადგილი დაუთმო საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანომ „ლიტერატურულმა საქართველომ“, რომელიც ყველაზე შორს წავიდა გასულ წელს ოფიციალურ პრესაში გარდაქმნის, საჯაროობის და დემოკრატიზაციის ქადაგობის საქმეში ისე, რომ იგი ფლავიანობას ჩემობდა. ეს წელი კი, ჩანს, მისთვის ცუდ ფეხზე დაიწყო და ეს მიუხედავად იმისა, რომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გახდა მხურვალე მამულიშვილად ცნობილი პოეტი მუხრან მაჭავარიანი.

ზოგი ვარაუდობს: „იქნებ ისევ გამყინვარება მოიქრა ჩრდილოეთიდან, საჭირო გახდა თავის დროებით შეფარება, გადაკარებაო“, კარგი და პატიოსანი, იქ ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ მაშინ ურთიერთს რაღად უხტებიან და აწიოკებენ?! დაე, შავსიანმა რუსებმა სდიონ და ავიწროონ ქართველი პატრიოტები და არა ქართველებმავე. ეს უკვე იქნებოდა ერთი დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი ქართული ეროვნული სოლიდარობისა და ერთობის გზაზე.

* * *

საბედნიეროდ, ქართული ინტელიგენციის სულისკვეთება პროფ. ე. ცისკარიშვილის ამ წერილით არ შეფასდება. თანამედროვე ქართული მწერლობის უფროსი თაობის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელი ბ-ნი რევაზ ჯაფარიძე შემდეგი აზრისაა პროფ. ცისკარიშვილისაგან დაწუნებულ ახალგაზრდობაზე: „მინდა საქვეყნოდ განვაცხადო, რომ ქართველი ახალგაზრდობის არნახულმა გამოღვიძ-



საქართველოს
წიგნების კავშირი

ბამ, ერის ინტერესების დასაცავად დარაზმევამ, რაც პირველად
 როდი მომხდარა, შეუპოვრობამ, ერთსულოვნებამ, დასახელებების
 ნის აღსასრულებლად წარბშეუხრელად სწრაფვამ, სულის გამასპე-
 ტაკებულმა ფიქრმა და გრძნობამ, მთელს საზოგადოებას, დიდსა
 და მცირეს, ერთნაირად რომ დაეფულა, ჩემი გული სიხარულითა
 და იმედით აღავსო. მწამს და ხეზე ფეხებითაც რომ დამკიდონ,
 მაინც გავიმეორებ, რომ ვისაც, რომელ ერსაც თავის ფესვებზე
 ამოზრდილი ასეთი ახალთაობა ჰყავს, მას მომავლისა არ უნდა ეშ-
 ინოდეს, ვინაიდან ეს მომავალი საიმედო ხელს უზყრია“. („კომუნი-
 სტი“ 8.12. 1988, რევაზ ჯაფარიძე: „რა გვიძძიმს, რა გვიხარია“)

აი, აზრი ამალღებული. ასეთი გულწრფელი სიტყვები ყოველთვის
 იპოვნიან გზას არა მხოლოდ პატრიოტ ახალგაზრდების, არამედ
 ყველა ქართველის გულისკენაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც პატივ-
 ცემული რევაზი რჩება ბოლომდე ამ მოსაწონ სიმალღეზე. მას თი-
 ძის აღარდებს საქართველოში ათამდე ფორმალური თუ არაფორ-
 მალური გაერთიანება რომ შექმნილა და მათ შესახებ ბრძანებს:

„არავისთვის, ვგონებ, საიდუმლო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ
 თითოეული ეს ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანება, ზოგი-
 ერთი მათგანი პარტიის სახელითაც რომ გამოდის, თავს ქართველი
 ერის სულიერ და მატერიალურ მოთხოვნილებათა ერთადერთ შესა-
 ძლო გამომხატველად თვლის.“ ასეთი თავმოწონება ბუნებრივია და
 არც საერთო საქმისთვისაა საზიანო. რაც შეეხება შემდეგს: „მას,
 ამ გაერთიანებას თუ „პარტიას“, მიაჩნია, რომ ეროვნული პრობ-
 ლემებისათვის ფიქრი და ბრძოლა მხოლოდ მისი და მარტოდენ
 მისი პრეროგატივაა, რადგან ყოვლისმომცველი, ყოვლად უნაკლო,
 აბსოლუტური ჭეშმარიტების რანგში ასული პლატფორმა მხოლოდ
 მას გააჩნია. სხვები, სხვა „პარტიების“ თუ გაერთიანებების წარ-
 მომადგენლები, რაკი თავის პლატფორმაზე უარს არ ამბობენ და
 მათ არ უერთდებიან, სამშობლოს მტრები, სახელმწიფო უშიშრო-
 ების აგენტები და ქვეყნის მმართველებთან ანგარებით შეკრული
 რენეგატები არიან“. რა თქმა უნდა, რომ ასეთი მოქცევა და აღ-
 ამიანების ასე განურჩევლად შეურაცყოფა, ცუდი, ეროვნული სა-
 ქმისათვის მავნებელია. ერთიმეორის ლანძღვა-გინება სადაც დაი-
 სადგურებს, იქ ერთობა შეუძლებელია და მტერსაც ეს უნდა, მა-
 გრამ და კიდევ მაგრამ, საკუთარ აზრთა ან პარტიულ პლატფორ-
 მათა დასაცავად გამართული ზრდილობიანი სჯაბაასი, პოლემიკა,

ახსნა-განმარტება არამც თუ საზიანო არაა, არამედ, პირიქით, სასარგებლო და, მამასადამე, საჭიროცაა. მხოლოდ უკომპრომისო კამათის დროს ცნაურდება აზრის სისწორე და სიმრუდე და იმავე დროს ნათლად ჩნდება, საცნაური ხდება მოკამათეთა პოზიციები, რაც მასებს, ხალხს აძლევს საშუალებას, ეხმარება, შეგნებული არჩევანი გააკეთოს – იმას მიემხროს, იმის ირგვლივ დაირაზმოს, ვისი იდეებიც მის სულსა და გულს ესაღბუნებია. ამ აზრს აშკარად ყველა იზიარებს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბევრი მას პრაქტიკაში უგულვებლყოფს, ხოლო ყველა ტოტალიტარული რეჟიმი იმის ცდაშია, ჩაახშოს საზოგადოების გამაჯანსაღებელი აზრთა ჭიდილის თავისუფლება, მისდამი დამორჩილებული საზოგადოება ამყოფოს მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ მიწოდებულ აზრთა და იდეათა გავლენის ქვეშ. ამ ტოტალიტარულ გამოვლინებას უნდა შეებრძოლოს ყველა შეგნებული მოქალაქე, ვისთვისაც ძვირფასია სწორედ ეს აზრთა და იდეათა თავისუფლება, დაბეჯითებით მოითხოვოს ქვეშაირი დემოკრატიზაცია, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა თუ ორგანიზაციების არსებობის დაშვება, მათთვის საინფორმაციო საშუალებების კარების გაღება.

დემიტროველთა მაგალითი:

სრულიად შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა თბილისის დემიტროვის სახელობის ქარხნის ვაზ. „კომუნისმისაკენ“-ის 18 და 20 ოქტომბერი 1988 წლის ნომრები, რომლებშიც შესაშური რეალიზმით გადმოცემულია კომპარტიის ორგანიზაციის მიერ 11 ოქტომბერს ქარხანაში მოწყობილი მიტინგის შინაარსი, რომლიდანაც ვგებულობთ:

მარნეულის რაიონის სოფელ ორჯონიკიძესთან 18 წლის ქართველი გოგონა გაუუპატიურებია აზერბაიჯანელი ეროვნების მოძალადეს. ამ საზიზღრობას საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოუწვევია. იმ დღესვე, 4 ოქტომბერს განრისხებულ სოფელ ორჯონიკიძის მცხოვრებნი რაიონის ცენტრში მისულან და მოძალადის მკაცრი დასჯა მოუთხოვიათ. მეორე დღეს რაიონში ჩაბრძანებულ ერთ-ერთ მაღალ ჩინოვნიკს (გაზეთები არ ასახელებენ მის ვინაობას, მაგრამ საქმე უნდა ეხებოდეს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ-ნ გილაშვილს) ანტიქართული განცხადებით, ქართული მოსახლეობის აღშფოთება გამოუწვევია.

რვა ოქტომბერს თბილისის იპოდრომზე, სადაც ნებადართულია მანიფესტაციები, გამართულა მიტინგი, რომლის ორგანიზატორებდაც

ოფიციალური პრესა „გამსახურდია-კოსტავას ჯგუფს“ ასახელებს მიტინგის შესახებ პირუთენელი ინფორმაცია არსად გამოქვეყნებულია. არავინ არ იცის რა ითქვამიტინგზე. მაგრამ 11 ოქტომბერს კომპარტიის მთავარი გაზეთები: რუსული „ზარია ვოსტოკა“ და ქართული „კომუნისტი“ აქვეყნებენ ვინმე ზ. გვაზავას დიდ სტატიას, რომელშიც, ფაქტების დამახინჯებით, დამობილია იპოდრომის მიტინგის ორგანიზატორები— „გამსახურდია და კომპანია“, რომლებიც „უხეშად ამახინჯებენ რა ინფორმაციას, ისინი ცდილობენ მოწამლონ ჩვენი ახალგაზრდობის შეგნება, გაადვილონ ეროვნებათშორისი შუღლი“-ო. „მათი მოქმედება მიზნად ისახავს გარდაქმნისათვის, პარტიის პოლიტიკისათვის ძირის გამოთხრას... მათმა მოქმედებამ ბუნებრივი აღშფოთება გამოიწვია. თბილისის მრავალ საწარმოში გაიმართა მშრომელთა მიტინგები, რომლებიც შეწყუბუბული არიან სიტუაციით ამ ბოლო დროს რომ შეიქმნა ქალაქში“-ო.

სინამდვილეში მიტინგები დიდ ფაბრიკა-ქარხნებში ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ გაიმართებიან „იპოდრომის მიტინგის“ დასავლობად, მათ შორის დიმიტროვის ქარხანაშიც, რომლის ანგარიში გაზ. „კომუნისთისაკენ“-ში მრავალმხრივ საყურადღებოა.

გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ხსნის მიტინგს, კრებას მოახსენებს მის მიზეზსა და დანიშნულებას. მის შემდეგ გამოსული პირველი ორატორი, საბოლოო აწყობის საამქროს უფროსი, დ. ჯღერია იწყებს: „ტოვარიში, კაკ ვი პონიმაეტე...“ „ქართულად, ქართულად!“ —უყვირის მას მიტინგის მონაწილეთა დიდი ნაწილი. ჯღერია გადადის ქართულზე: „მარტელის რაიონში მომხდარი ამბავი ზ. გამსახურდიას და მის ამხანაგებს სურთ ბნელი ზრახვებისათვის გამოიყენონ... ჩვენთან სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები პატიოსნად ცხოვრობენ, მაგალითად: ჩიბიჩიანი, რომელმაც 56 წელი იშრომა ჩვენს ქარხანაში, ამიროვი, თავგამოდებით რომ შრომობს და სხვ. ტრიბუნაზე ასული ნ. ნაზაროვი ამბობს, რომ ის სომეხია და, თუ აზერბაიჯანელების გასახლებას მოითხოვენ, სომხებზეც იმას იტყვიანო და მოითხოვს: მრავალეროვანი საქართველო ასევე უნდა დარჩესო. შემდეგ გამოსული მუშა შოთა ლოხიშვილი სხვათა შორის ამბობს: მე დედა რუსი მყავს, მამა კი ქართველი. ახლა მითხარით, როგორ მოვიტყე: კავკასიონზე ავიდე და ცალი ფეხი იქით დავდგა, მეორე კი აქეთ?..ტრიბუნაზეა საამქროს მუშაკი ა. მწარიაშვილი, რომელიც



აცხადებს: ამ ხალხს (იპოდრომის მიტინგის ორგანიზატორები - რედ.) რომ ვლანძღავთ, ჯერ გაგვაგებინეთ, რა მოხდა იპოდრომის მიტინგზე. დღევანდელ „კომუნისტში“ წერია, ლიხიშვილი მიტინგზე სიტყვით გამოვიდაო. აბა, როგორ გამოვიდოდა მიტინგზე, როცა შაბათს ის თავისი სიძის დედის ორმოცზე იყო (ტაში). ჩემი აზრი ასეთია: საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნებამ უნდა იცოდეს ქართული. მაღაღეც გამსახურდიას და სხვების ვაჟკაცობას. „მაღაღეც“ მწარიაშვილოო, შესძახის ხალხი და უკრავს ტაშს.

თ. ასტაშინას გამოსვლის შინაარსი ასეთია: მე რუსი ვარ, მაგრამ ჩემი სამშობლო საქართველოა. აქ ცხოვრობენ ჩემი ახლობლები, აქ თავს დაჩაგრულად არავენ გრძნობს, ამიტომ ვინც ნაციონალიზმს თესავს, პასუხი უნდა მოეთხოვოს. გ. კუპატაძე, ვ. ფრუიძე, თ. მაღრაძე, ა. კაპანაძე, ე. მუმლაძე მათ გამოსვლებში მოითხოვენ: დამნაშავე დაისაჯოს, მაგრამ პასუხი მოეთხოვოთ მათაც, ვინც ერებს შორის შუღლის ჩამოგდებას ცდილობს. ჩვენ არ ვიცით რას მოითხოვენ ზ. გამსახურდია და სხვები, მივცეთ მათ საშუალება გამოვიდნენ პრესაში, ტელევიზიით. მისაღები მივიღოთ, დასაგმობი დავგმოთ. ერებს შორის შუღლი მიუღებელია. ახალი მუშა მანანა ჩიჭოვანი მარტავს: გამსახურდიას და მის ჯგუფს არ აძლევენ თქმის საშუალებას... თუ კი საქართველო გამოეყო საბჭოთა კავშირს, ეს არ ნიშნავს, რომ სხვებთან მტრულად უნდა ვიყოთ. ვეთანხმები გამსახურდიას - ის ნამდვილი ქართველია და საქართველოს შეუძლია დამოუკიდებლად არსებობაო. მართლაც დამამთავრებელია სულ ბოლოს გამოსული ახალგაზრდა მუშის მ. თოდრიას სიტყვა: „ახლა მე ისეთს ვიტყვი, რომ ყველა დამეთანხმებით. არ შეიძლება იმ ხალხს ვუწოდოთ „გამსახურდია და მისი ამქრები“ - ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ დაეხმარონ გაპარტახებულ საქართველოს. ქართველებმა არ უნდა მოვითმინოთ მარნეულში მომხდარი ფაქტი. გაუმარჯოს საქართველოს! გამსახურდიას და სხვებს ენა რომ არ ამოეღოთ, დავით გარეჯს არაფერი ეშველებოდა. ყველა ასე ფიქრობს, მარა არავის ყოფნის ვაჟკაცობა თქვას. მარტო მე შეყო ვაჟკაცობა და ვთქვი კიდევ.“

მართლა „მაღაღეც“ და მართლა ვაშა დიმიტროვის ქარხნის პროლეტარებო, რომლებიც ასე გაბედულად და შეგნებულად გამოდიხართ საჯაროდ და მოითხოვთ, რომ ზვიად გამსახურდიას და სხვა ოპოზიციურ მოღვაწეებსაც მიეცეთ შესაძლებლობა, გამოთქ-



ვან მათი აზრი სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებებში დასაბუთებული ხელში ჩაგდებადან დაწყებული საბჭოთა ხელისუფლების ბას ცხრაკლიტულში ჰყავს გამოკეტილი პროლეტარიატი, არავის აკარებს მას და მისი სახელით ჩადიოდა ენით აუწერელ ბოროტ-მოქმედებათ. თუ მოყვანილ სტატიაში აღწერილი ამბავი გამონაკლისის არ წარმოადგენს, მაშინ ჩვენს წინაშეა კლიტეთა შემუსვრის, ტყვეობიდან განთავისუფლების ამკარა ფაქტი. ეს, ძვირფასო მკითხველო, დიდი სიდიდის ახალი ამბავია და მას უნდა ვუმადლოდეთ იმ ეგრედ წოდებულ არაფორმალურ დაჯგუფებებს, რომელთა ლიდერებიც ოფიციალურ პრესას მიზანში ჰყავს ამოყვანილი. სამწუხარო ისაა, რომ ერთი პირველ გასროლათაგანი მან პატივცემულ მწერალ რევაზ ჯაფარიძის ხელით შეასრულა. თავად განსაჯეთ:


ნოემბრის უკანასკნელი დეკადის თბილისის ბრწყინვალე მანიფესტაციებმა ამკარა გახადა ქართველი ხალხის ეროვნული სიმწიფე და შემჭიდროება, რამაც სიხარულითა და სიამაყით აღადრთოვანა ყველა კეთილშობილი ქართველი და გულწრფელი მეგობარი, მაგრამ მან ასევე შეაშფოთა ჩვენი ეროვნული მტრები და დროს დაუკარგავად ამოქმედდნ. უცერემონიოდ პენსიაში მიაბრძანეს საქართველოს სსრ სუკის თავმჯდომარე, გენერალი ალექსი ინაური

და მის ადგილზე დანიშნეს, ალბათ უფრო სანდო, ენერგიული და ახალგაზრდა (43 წლის) გივი გუმბერიძე. ბ-ნი ჯუმბერ პატიმრის, რომელიც კრემლში, სსრკ უმაღლეს საბჭოს მეთორმეტე სესიაზე რუსებს ერთგულებას ეფიცებოდა: „მთელი უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხისა და საქართველოს სხვა ხალხების ისტორიული მიზანი იყო ბრძოლა გადარჩენისა და ერთიანი სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის. რუსეთის მფარველობაში შესვლამ ქართველი ერი იხსნა ფიზიკური მოსპობისაგან... კემპარტი სახელმწიფოებრივობა და სუვერენიტეტი საქართველომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ აღიდგინა“ („კომუნისტი“ 1. XII. 1988), სასწრაფოდ ბრუნდება თბილისში, ალბათ სათანადო ინსტრუქციებით, და უკვე ხუთ დეკემბერს კომპარტიის ცენტ. კომიტეტში იწვევს „რესპუბლიკის მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლების, უმაღლესი სასწავლებლების, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, შემოქმედი კავშირების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების

ხელმძღვანელთა თათბირს, რომლის შესახებ გამოქვეყნებულ ოფიციალურ კომუნიკეში დაუფარავად ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის ნოემბრის უკანასკნელი დეკადის იმ ცნობილი მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ანალიზს, რომლებიც მოხდა თბილისში“-ო. ძნელი არ არის იმის გათვალისწინება, რომ თათბირს მოხსენდებოდა კრემლის პოზიცია და დირექტივა, რათა აღიკვეთოს ნოემბრის მსგავსი ეროვნული მანიფესტაციები.

დეკემბრის პირველ რიცხვებიდანვე სუკის ორგანოები გადადიან აშკარა რეპრესიებზე—მასიურ საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელ თანამდებობებიდან ანთავისუფლებენ არასანდო ელემენტებს, ავიწროვებენ, აპატიმრებენ და პასუხისგებაში აძლევენ პატრიოტული მანიფესტაციების ზოგიერთ აქტივისტს. მაგრამ პოლიციური ზომები საკმარისი არ არის. მთავარია პატრიოტული ახალგაზრდობის მოწინავე აქტივისტთა სახელის გატეხა, მათი ჩამოშორება და გარიყვა საზოგადოებიდან და ეს როლი ვინ უნდა შეასრულოს, თუ არა კომპარტიის ორგანიზაციებმა, საინფორმაციო საშუალებებმა და საშუალო და უმაღლესმა სკოლებმა. პრესა უადრესად დაკავებულია დეკემბრის თვეში. მისი მკლე გვერდები დაკავებული აქვთ გორბაჩოვის სამშვიდობო ლაშქრობას ნიუ-იორკში გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის საკრებულოში, შემდეგ კი მოძმე სომხეთის კატასტროფულ მიწისძვრას. 18 დეკემბერს გაზეთი „კომუნისტი“ მაინც პოულობს ადგილს რევაზ ჯაფარიძის ვრცელი სტატიისათვის, რომელიც პირველთაგანი გმობს ნოემბრის ეროვნული მანიფესტაციების მოწინავე ახალგაზრდობას და მათ ლიდერებს. ჩვენ ვერაფრით ვერ დავიჯერებთ, რომ პატივცემული რევაზ ჯაფარიძე წინასწარი განზრახვით, ხელისუფლების კარნახით მოქმედებდა, მაგრამ შთაბეჭდილებას ასეთს სტოვებს და ეს მეტად საწყენია. ნაწილობრივ მაინც რ. ჯაფარიძის პოზიცია ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოებებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესახებ განპირობებულია მისი პოზიციით რუსთაველის საზოგადოებაში. როგორც თვითონვე ბრძანებს, ის ამ საზოგადოების პრეზიდენტის წევრია.

რუსთაველის საზოგადოება. თავის დროზე („გუშაგი“ №15, მარტი 1988.) ჩვენ ვთქვით ჩვენი შეხედულება მის შესახებ და ის ძალაშია დღესაც. აქ მხოლოდ დავუმატებთ: მასში გაერთიანებულია დღევანდელი საქართველოს მეცნიერთა, ხელოვანთა, ლიტერატორთა და საერთოდ კულტურის მსახურთა ელიტა. უიმათოდ საქართველო



არ ივარგებს. მათ შორის იქნებიან სულმდაბლნიც, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობის პატრიოტიზმში ოდნავი ეჭვის შეიძლება. რუსთაველის საზოგადოებას შეუძლია ძვირფასი სამსახური გაუწიოს: ქართული ენის დაცვა-განვითარებას, ქართული მეცნიერების, სწავლა-განათლების და კულტურის წინსვლას, ქართველების გამრავლების და საქართველოს ბუნების მოვლა-პატრონობის საქმეს და, რაც მთავარი მისი დანიშნულებაა, შოთა რუსთაველის პიროვნების, შემოქმედების და ეპოქის საქართველოს ღრმა შესწავლის და მსოფლიოში მისი პოპულარიზაციის საქმეს. ეს კი მცირე სამსახური არ იქნება.

რუსთაველის საზოგადოების მექანიზმი არ ითვალისწინებს ეროვნულ განთავისუფლების საქმეს და მის წევრებს არც არავინ თხოვს, რომ ამისთვის ამჟამად ბარიკადები აღმართონ, მაგრამ მათ მოეთხოვებათ: პატივისცემითა და სიმპათიებით მოეპყრან მათ, ვინც ბედავენ ჩვენი ეროვნული დროშის მაღლა აწევას.

რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმს, როგორც ეტყობა, აკმაყოფილებს ეროვნული სუვერენობის ძველებური პლატონური აღიარება. ამ პოლიტიკამ დაღუპვის კარამდე მიიყვანა ჩვენი ხალხი და მისი პასუხისმგებლობა ქართველ კომუნისტებზეა. ახლა მაინც ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფო წესწყობილება, რომელსაც ბ-ნი გორბაჩოვი ამზადებს, ისევე მიუღებელია, როგორც ყველა მისი წინამორბედი, რომ მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის აუცილებლად საჭიროა: კრემლის ხელისუფლებამ საჯაროდ დაგმოს 1921 წლის თებერვალ-მარტის სამხედრო ძალით გასაბჭოების აქტი და იქიდან გაიყვანოს მისი საოკუპაციო ძალები. გარედან ჩაურევლად, საქართველოს მოსახლეობამ, განურჩევლად ეროვნებისა, თვით აირჩიოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი, მთავრობა და სამთავრობო დაწესებულებები. ამგვარად აღმდგარი ჩვენი სუვერენი სახელმწიფო შევა მოლაპარაკებაში, თანასწორუფლებიანობის პრინციპის პატივისცემით, რუსეთის და სხვა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა მთავრობებთან, მათი მომავალი ურთიერთობის შესახებ. თუ შეთანხმება მოხდა, ამრიგად შექმნილი ურთიერთობა მართლაც იქნება სრულუფლებიან ერთა კავშირი.

ვის შესწევს უნარი და გამბედაობაც ჩვენი ხალხი დარაზმოს ამ პოლიტიკის ირგვლივ?

21.569

საქართველოს
მწიგნობართა
კავშირი




გასულ წელში, სამშობლოში საზოგადოებრივ სარბიელზე დენ ილია ჭავჭავაძის სახელობის მოძრაობა და ახალი დემოკრატიული პარტია, რომლებიც ამ მხრივ იმედებს იძლევიან. სულ მცირე დროში მათ მიაღწიეს შთამბეჭდავ შედეგებს, შეძლეს ქართული საზოგადოების საერთოდ და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ენერგიული ამოძრავება, რის წყალობითაც ხელისუფლება აიძულეს: ა) შეეჩერებია ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობა, ბ) დავითგარეჯის დიდებულ ისტორიულ ძეგლიდან მოემორებია სამხედრო პოლიგონი, რომელიც მას 1945 წლიდან მოყოლებული ნელ-ნელა უსაშველოდ ანადგურებდა, გ) ქართული ენის ცოდნა სავალდებულო გაეხადა ყველა ქართული სახელმწიფოს მოხელისათვის, დ) თუმცა ნოემბრის მანიფესტაციების დამსახურება მარტო მათ არ ეკუთვნით, აქაც მათ გამოიჩინეს ქეშმარიტი ავანგარდული თვისებები: სიმტკიცე, შეგნებული დისციპლინა, თავგანწირვა, რომლებმაც მონუსხეს და აღაფრთოვანეს ქართველები და სასიამოვნოდ გააოცეს უცხოელი მეგობრები. და ბოლოს, ისინი, როგორც ნაღდ რაინდებს შეჰფერით, არ კადრულობენ მონური ერთგულების ნიღბის ტარებას და აშკარად მოითხოვენ ჩვენი ხალხის გულში სათუთად ნატარებ ეროვნულ თავისუფლებას. რასაკვირველია, ჩვენი თანაგრძნობაც და ჩვენი საახალწლო სადღევრძელოც მათ ეკუთვნით!

გუშაგი

*** *** *** *** *** ***

რ ე პ რ ე ს ი ე ბ ი ს გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა

ამ ბოლო დროს საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებმა მკვეთრად გადაძლიერეს ოპოზიციურ აქტივისტთა დევნა. გორბაჩოვისეული ლიბერალიზაციის მთელს პერიოდში პირველად განხორციელდა ჩხრეკები და დაპატიმრებები აშკარა პოლიტიკური ხასიათისა. ამავე დროს მასიური ინფორმაციები ანხორციელებენ ჯერარანახულ კამპანიას საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობაში მონაწილეთა წინააღმდეგ. მათ ბრალს სდებენ ნაციონალიზმში, პროვოკაციულ მოქმედებებსა და ეროვნებათშორისო მტრობის გაღვივებაში. საქართველოს კომპარტიის ცენტ. კომიტ. პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი პირადად გამოდის ტელეხედევაში დისიდენტებზე თავდასხმებით. ყველა აღნიშნავს საქ. ეროვნულ მოძრაობისადმი დამოკი-



დებულების მკვეთრ გამყარებას ხელისუფლებისაგან მას შემდეგ რაც ჯ. პატიაშვილი დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც იგი იმდროინდელი ლეობდა საბჭო. კავშირის უმაღლეს საბჭოს რიგგარეშე სესიაში, რომელიც იხილავდა კონსტიტუციურ ცვლილებათა საკითხს, რომელიც ენებოდა სსრკ -ს შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლის ფორმალურ უფლებას. როგორც ცნობილია, შესწორებათა ამ პროექტმა გამოიწვია საქართველოში საპროტესტო გამოსვლათა არნახული ტალღა. აშკარად ჩანს, რომ პატიაშვილმა ცენტრალური ორგანოებიდან მიიღო დავალება: „მოუჭიროს ქანჭიკები“.

ამის შესახებ ფაქტობრივი ცნობები მოცემულია საქ. ეროვ. დემოკ. მოძრაობის ოცი აქტივისტის მიმართვაში, რომელიც მე მივიღე და რომლის ტექსტი შემდეგია:

„ მ ი მ ა რ თ ვ ა

ამერიკის შეერთ. შტატების კონგრესის ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ სტენი ჰოიერსა და შეერთ. შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ბ-ნ რ. შიფტერს,


საქ. ჰელსინკის ჯგუფის, ი. ჭავჭავაძის საზოგადოების
IV დასისა და საქ. ერ. დემოკ. პარტიისაგან.

საქართველოში დაიწყო პოლიტიკური რებრესიები; გაძლიერდა პატრიოტებისა და სამართალდამცველთა დევნა-შევიწროება. დემოკრატიულ ცვლილებათა დაპირება მოსკოვის მხრიდან, სრულიად ფუჭი აღმოჩნდა. დღეს, ისევე როგორც წინად, გრძელდება ქართველი ხალხის უფლებათა ფეხქვეშ გათევზა, ქართულ კულტურის ძეგლთა განადგურება, ეკოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ, მთიან რაიონებში გიგანტური ელექტროსადგურების მშენებლობა, რაც მეტად სახიფათოა ადგილობრივი ხალხისათვის და ა. შ.

1989 წლის სამ დეკემბერს, ქ. ჭუთაისის საზოგადოებრივობამ გამართა მიტინგი, რომელზეც ხალხი მოითხოვდა ეროვნულ უფლებათა დაცვას, 1921 - 24 წლებში ქართველ პატრიოტთა საწინააღმდეგო ტერორის მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფას, გელათის სამონასტრო კომპლექსის მახლობლად მდებარე კარიერებზე აფეთქებათა შეწყვეტას, ნამახვანჰესის პროექტის გაუქმებას. ოთხ დეკემბერს დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან ჭუთაისისაკენ გაემგზავრა დაახლოებით ასი კაცი. სოფ.

ვარცხანაყანევის მახლობლად მილიციამ მათ გზა გადაუღობა, რის გამოც მათ მშვიდობიანი მჯდომარე გაფიცვა მოაწყვეს. შეაჩერეს მიმოსვლა. მილიციის მუშაკები ფიზიკურად გაუსწორდნენ დემონსტრანტებს, დახიეს საქართველოს სიმბოლოს—წმინდა გიორგის დროშები, ხალხს ჩამოგლიჯეს ჯვრები, ცემეს ზოგიერთი დემონსტრანტი, რომლებიც ამის გამო საავადმყოფოებში მოათავსეს. ოთხი მოქალაქის — გიორგი კულუმბეგაშვილის, თენგიზ ორჯონიკიძის, გიორგი ქემოკლიძისა და იოსებ მამალაძის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის მექამე ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისინი „ხულიგნებად“ გამოაცხადეს, მაგრამ, ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნული ინტერესებით დასაცავად მოწყობილი აქცია არ წარმოადგენს ხულიგნობას, ამიტომ ეს დაპატიმრებულები, ხულიგნები კი არა, არამედ პოლიტიკური პატიმრები არიან, რომელთა განთავისუფლებისათვის იბრძოლებს მთელი ქართ. ხალხი.

ათ დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დღეს, ბათუმში ეროვნულ-სამართალდაცვითი მოძრაობის აქტივისტებსა და მორწმუნეებს მოლაპარაკებები უნდა გაემართათ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, საქართ. მართლმადიდებლური ეკლესიისათვის ერთ-ერთი ყოფილი სამრევლოს შენობის გადაცემის საკითხზე. დანიშნული მიტინგი გადაიდო სომხეთში მომხდარი საშინელი ტრაგედიისა და ამის გამო გამოცხადებული გლოვის შედეგად. ეს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ რეპრესიებისათვის გამოიყენა. ქალაქი ბათუმი გარშემორტყმული იყო მილიციისა და ჯარის ნაწილებით. ქუჩებში გამოიყვანეს ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. ცხრა დეკემბერს საღამოს საკომენდანტო საათი გამოცხადდა. გზებზე, თბილისიდან მომავალი ასობით კაცი შეაჩერეს და უკან გააბრუნეს. ბათუმის მილიციამ ჩაქვეში დააკავა და სასტიკად ცემა საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავ-რე და ჰელსინკის ჯგუფის წევრი გიორგი ჭანტურია და ქუთაისელი სამართალდამცველი გოგი რევიშვილი. იმის გამო, რომ ათი დეკემბერი გლოვის დღედ გამოცხადდა, ბათუმელმა სამართალდამცველმა ნოდარ იმნაძემ ბათუმის მილიციის უფროსთან შეხვედრა ითხოვა, რომ მისთვის ეცნობებია ამ დღეს დანიშნული სამართალდამცველთა მიტინგის გაუქმების ამბა-



ვი. მილციის თანამშრომლებმა უარი უთხრეს მას ამ მიმართულებით, კომპარტიის აპარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, ემირიძემ, რომელიც პროთურქული ორიენტაციისაა, წინასწარ მოახდინა ხულოს, ქედისა და შუახევის რაიონებში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების დეზინფორმაცია და მოამზადა ისინი იმისათვის, რომ ათ დეკემბერს მათ ბათუმში სისხლიანი აქცია განეხორციელებიათ. ამ მიზნით, დასახლებულ რაიონებიდან ბათუმში შვიდი ავტობუსით ჩაიყვანეს დაახლოებით 300 კაცი. ისინი მოატყუეს, უთხრეს რა, რომ თითქოს ქართველ სამართალდამცველებს: ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავასა და მათ ამხანაგებს სურთ აიძულონ ქართ. მაჰმადიანები, მიიღონ ქრისტიანობა; ხოლო ისინი კი, ვინც არ დაემორჩილება მათ მოთხოვნას, გასახლდნენ აპარადან. აპარის მილიცია და კაგებე დანაშაულისაკენ უბიძგებდა დამნაშავეთა შეიარაღებულ ბანდებს. ინფორმაციებს მათ მოქმედებათა შესახებ ოპერატიულად გადასცემდნენ ემირიძეს, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციას. ტელევიზიისა და პრესაში დაიწყო პროვოკაციული კამპანია: ნოდარ იმნაძის, ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავასა და სხვა პატრიოტთა წინააღმდეგ. ხულოს საშუალო სკოლის მასწავლებელი ანდრო გოგოლაძე სამსახურიდან მოხსნეს ნაციონალიზმის ბრალდებით.

ათ დეკემბერს დილის ათ საათზე, დაახლოებით ოცი კაცი მივიდა ნ. იმნაძესთან ბინაში, იგი ქუჩაში გაიყვანეს, თითქოს სასაუბროდ, იქ კი მას ბათუმში ჩაყვანილი სამასი მაჰმადიანი ელოდებოდა (ისინი თითქოს აღაშფოთა ზ. გამსახურდიას მიერ ოც ნოემბერს ბათუმში გამართულ დიდ მიტინგზე ნათქვამმა სიტყვებმა: „აქარლებიც ქართველები არიან“. სინამდვილეში გამსახურდიას ამის მსგავსი არაფერი უთქვამს. მან დემონსტრანტებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ძმები აქარლები ჭეშმარიტი ქართველებია! ჩვენი მტრები ცდილობენ საქართველოსაგან აპარის ჩამოშორებას, აქარლების არაქართველებად გამოცხადებას მათი მაჰმადიანური სარწმუნოების გამო. სირცხვილი ასეთ ხალხს! აპარა საქართველოა!“). ამ დროს მოვიდა სხვა ბათუმელი აქტივისტი-რობერტ ნადირაძე და დადგა ნოდარ იმნაძის გვერდით. მათ შესთავაზეს მოსულებს მეორე დღეს შეხვედრა, მაგრამ მათ ყურად არ იღეს ეს სიტყვები და მათ საცემად გაიწიეს. იმნაძემ და ნადირაძემ მოასწრეს ბინაში გადამალვა. ხელისუფლების მიერ წაქეზებულმა ფანატიკო-



სებმა ნამდვილი რბევა მოაწყვეს ნ. იმნაძის ბინაში: დანატვირთეს ყველაფერი ცემეს იმნაძე და ნადირაძე, გამოათრიეს ისინი ქუჩაში. შემდეგ ნოდარ იმნაძე ძალით წაათრიეს სადალაქოში, შეურაცყოფის მიზნით მისთვის წვერის მოსაპარსად. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ჩურჩულთ უთხრა მეორეს, რომ შესაფერის მომენტში ხელი ჰკრას დალაქს, რომ მან უნებურად ყელი გადაუჭრას ნ. იმნაძეს. დალაქმა ყური მოჰკრა ამას და უარი თქვა იმნაძისათვის წვერის გაპარსვაზე, რისთვისაც იგი მაგრად ცემეს. ყველაფერი ეს ხდებოდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მილიციის წარმომადგენლების თვალწინ, რომლებიც მხოლოდ ილიმებოდნენ. მაშასადამე, გლოვის დღე, რის გამოც აქტივისტებმა უარი თქვეს თბილისსა და ბათუმში მიტინგების გამართვაზე, კინაღამ ბართლომეს ღამედ იქცა და მხოლოდ სამართალდამცველთა უდრტინგელობამ და თავშეკავებულებამ უვნებელყო ეს ბოროტება. ყოველივე ამისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ემირიძეს და საქართველოს მთავრობას, რომელიც განგებ ადვილებს მტრობას სხვადასხვა სარწმუნოების ქართველებს შორის. ნოდარ იმნაძის და რობერტ ნადირაძის სიცოცხლე საფრთხეშია. ჩვენ მოვუწოდებთ ამერიკის ხელისუფლებასა და საზოგადოებას დაიცვან ისინი; გვწამს რა, რომ შეერთებული შტატები ერთგულია თავისუფლების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა იდეალებისა, მოგიწოდებთ ასევე, მხარი დაუჭიროთ ქართველ ხალხს, თავისი ეროვნული უფლებებისათვის მის სამართლიან ბრძოლაში“.

1988 წლის 11 დეკემბერი. ქ. თბილისი. ხელს აწერენ:

მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, დელანო კოპაძე, ზვიად კაზარია, კარლო ბარდაველიძე, ირაკლი წერეთელი, მამუკა ცაგარელი, თამარ კატიაშვილი, დავით მერკვილაძე, დავით კიკნაძე, ბადრი დემურიშვილი, ელგუჯა ორჯონიკიძე, ირაკლი პატიაშვილი, კახაბერ თოდუა, გელა ორჯონიკიძე, ვაჟა ადამია, გიზო კორღაძე, დავით კოსტავა, მარიამ ფანჩულაძე, ირინა სარიშვილი.

ამის შემდეგ საქართველოდან პირდაპირ მიღებული ცნობებით, 12-დან 19 იანვრამდე წყალტუბოში მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი, ქ. ქუთაისში სამ დეკემბერს ჩატარებული მიტინგის შემდეგ პასუხისგებაში მიცემული, ოთხი აქტივისტის: გიორგი კულუმბეგაშვილის, დაბადებული 1949 წ., სკოლის დარაჯი, გია

ქემოკლიძე, 35 წლის, მხატვარი, თენგიზ ორჯონიკიძე-31 წლის, ექიმი-ონკოლოგი, სოსო მამალაძე 34 წლის, ქაშუეთის კულუნი მგალობელი. პირველ მათგანს, გიორგი კულუმბეგაშვილს მიესაჯა წლინახევრით პატიმრობა, მკაცრი რეჟიმის ბანაკში, ვია ქემოკლიძეს ორი წლით და თენგიზ ორჯონიკიძეს და სოსო მამალაძეს ერთ-ერთი წლით პატიმრობა, რასაც მოგვიანებით მოიხდიან.

23 იანვარს, საქ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ინიციატივით, დაიწყო პერმანენტული შიმშილობა კულუმბეგაშვილის დასაცავად. იგი დაიწყო პარტიის აქტივისტმა გიორგი მემულავამ, 31 იანვარს მას შეეცვლის დავით ბარდაველიძე, ბარდაველიძეს დავითს შეეცვლის ბარდაველიძე კარლო და ა. შ. შიმშილობაში ჩაებმებიან ახალ-ახალი მონაწილენი, ვიდრე არ განთავისუფლდება გ. კულუმბეგაშვილი.

წყალტუბოს პროცესის დროს დაპატიმრებულიქნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი კახა დობორჯგინიძე, რომელიც იმყოფება თბილისის საგამომძიებლო იზოლატორში.

17 იანვარს საშიმშილო გაფიცვა გამოაცხადა თბილისელმა მუშამ და სამართალდამცველმა ზურაბ ჯანყარაშვილმა საპროტესტოდ იმისა, რომ ვიზების და რეგისტრაციის განყოფილება მას არ აძლევს შეერთებულ შტატებში ემიგრირების უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ მას იქ მცხოვრებ ნათესავებისაგან მიღებული აქვს საჭირო მოწვევა. ზ. ჯანყარაშვილმა გასული წლის დასაწყისში უარი თქვა მოქალაქეობაზე და მოითხოვა საბჭ. კავშირიდან გასვლის უფლება. მის განცხადებაში პრესისადმი ნათქვამია:

„ ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია საბჭ. კავშირში გაბატონებული ათეისტური იდეოლოგია; — არ ვეთანხმები საბჭ. კავშირში არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემას და წარმოებულ ეროვნულ პოლიტიკას; — ხელისუფლების მიერ გამოცხადებული და ფართოდ რეკლამირებული „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ პოლიტიკა, ჩემის ღრმა რწმენით, წარმოადგენს აბსოლუტური სიცრუის ნახევარი სიმართლით შეცვლას და საზოგადოებრივ აზროვნებაზე მოქმედებს, როგორც ნელი მოქმედების იდეოლოგიური შხამი.

საბჭ. კავშირში წინანდებულად სდევნიან და ავიწროებენ ეროვნულ და სამართალდაცვით მოძრაობებს, რისი საუკეთესო მაგალითია საქართველო, სადაც არ წყდება ეროვნული მოძრაობის აქტივისტთა დევნა, დაპატიმრება და ცილისწამების კამპანია.



დანაშაულებრივია ხელისუფლების მოქმედება იმის გამო, რომ მსდ-ის პატიმრებულთა „ყარაბახის კომიტეტის“ მთელი შემადგენლობა გრძელდება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და ჰელსინკის შეთანხმებებში დაფიქსირებული ადამიანის ელემენტარული უფლებების დარღვევა.

ამ წლის 16 იანვარს, საქ. სსრ ვიზებისა და რეგისტრაციის განყოფილებამ უარი მიიხრა ოფიციალურად საბჭოთა კავშირიდან შეერთებულ შტატებში გამგზავრებაზე, რასაც არაკანონიერად ვთვლი და იგი მიმაჩნია ჩემი დევნა-შევიწროების მორიგ ფაქტად, ჩემი რწმენისა და საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. მიუღებლად მიმაჩნია საბჭოთა კავშირში დარჩენა და 17 იანვრიდან ვიწყებ უვადო საპროტესტო შიმშილობასო.“

გ. წ. 25 დეკემბერს საქ. კავებეს თანამშრომლებმა ჩხრეკა განახორციელეს ქ. რუსთავის მცხოვრებ ვაჟა მთავრიშვილის ბინაში. იგი ი. ქავკავაძის საზოგადოება-მეთხე დასის ადგილობრივი ფილიალის აქტივისტია. ჩხრეკის შედეგად მას კონფისკაცია უქნეს თვითგამოცემითი ვაზეთის „თავისუფლების“ უკანასკნელი (მესამე) ნომრის 50 ეგზემპლარი. იგი დააპატიმრეს, ჯერ შეუტოვნიეს სისხლის სამართლის ბრალდება „საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებაზე ცილისწამება“, მაგრამ ბოლოს მათ გაახსენდათ, რომ გორბაჩოვის „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ პოლიტიკისათვის ეს იქნებოდა მეტად საზიანო და ის შეუტვალეს „ცივი იარაღის ტარების“ ბრალდებით. იგივე ბრალდებით დააპატიმრეს ზემოხსენებული ბათუმელი აქტივისტი ნოდარ იმნაძე და იმყოფება კ.გ.ბ. -ს იზოლატორში, თბილისში. სამართალდაცვითი საზოგადოება გამოვიდა ამ ორი უდანაშაულო მამულიშვილის დასაცავად, რის შედეგადაც ვაჟა მთავრიშვილი გაანთავისუფლეს ფსიქიატრულ საავადმყოფოდან. უნდა აღინიშნოს, რომ მანაც, გასულ წლის დასაწყისში უარი თქვა საბჭოთა მოქალაქეობაზე. მის მიმართ წაყენებული ბრალდება კვლავ ძალაშია. რაც შეეხება ნოდარ იმნაძეს, მას არ ანთავისუფლებენ.

და ბოლოს, ორიოდ სიტყვა რუსთავში მომხდარ ამბებზე. 21 იანვარს ეროვნულ-სამართალდაცვითი მოძრაობის წარმომადგენლები შეეცადნენ რუსთავში მიტინგის მოწყობას. ხელისუფლებამ მკაცრად გარეკა მიტინგზე შეკრებილნი და დააპატიმრა 17 აქტივისტი. რამოდენიმე საათის შემდეგ ყველა გაანთავისუფლეს, ხო-

ლო ყოფილ პოლიტპატიმარს, საქ. ერ. დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს რუსთავეში, გურამ გოგბაიძეს სამსახურში მისი ჯარიმა დააკისრეს.

21 იანვრის მიტინგი მიზნად ისახავდა: ქართ. ხალხის ეროვნულ უფლებების დაცვას, რუსთავის ეკოლოგიური პრობლემების განხილვას და პროტესტს ქართ. მამულიშვილთა დენის წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის დეკემბერში სწორედ ქ. რუსთავეში იქნა მიღებული კომპარტიის საქალაქო კომიტეტის რეზოლუცია „ექსტრემიზმთან ბრძოლის შესახებ“, რომელიც მოწოდებაა საქართველოს პატრიოტებთან და სამართალდამცველებთან ანგარიშის გასწორებისაკენ.

თენგიზ გულავა

ნიუ-იორკი, თებერვალი 1989.

*** *** *** ** *** ***

ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი მ ნ ა ძ ი ს რ ე ც ე ნ ზ ი ა *)

1988 წლის 27 დეკემბერს საქართველოს ტელევიზიის შეიდასარეცენზიო თათბირზე შემდეგი განაცხადა. ავთანდილ იმნაძემ:

„პირდაპირ მოგახსენებთ: უაზროდ მიმაჩნია რაიმე რეცენზიის გაკეთება, ვინაიდან ვისაც ვებები და ვინც უნდა ისმინოს ეს რეცენზია, მათ ამ თათბირზე ვერ ვხვდავთ. ის კი, რაც ამ ბოლო დღეებში გადაიცემა ტელევიზიით, ჩვენზე, რიგით თანამშრომლებზე კი არა, ჩვენი კომიტეტის ხელმძღვანელობის კომპეტენციაზეც გაცილებით მაღლაა. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, არავითარი შედეგი ამას არ ექნება. მაშ, ვისთვის და რისთვის ვაკეთოთ რეცენზიები? სათქმელი კი საკმაოდ ბევრია და რომ არ ვთქვათ, ისიც არ შეიძლება.

აწ შევეუდგები იმ გადაცემების განხილვას, სადაც გურამ გვერდ-წითელი, როგორც წამყვანი, გვარწმუნებდა: „ყველაფერი კარგადააო“. მთავარი არის პოზიცია, რომელიც განსაკუთრებით გამოიკვეთა ამას წინაღ, თბილისში, მთავრობის სასახლის წინ ჩატარებული მიმშვილობის აქციის შემდეგ; თუმცა ეს უკვე პოზიცია არაა, ესაა კამპანია და საკმაოდ სამარცხვინო კამპანია. დღე არ გავა, რომ ტელეეკრანიდან ჩვენი ახალგაზრდობისადმი ცილისწამება არ

*) ყოფილი პოლიტპატიმარი, ტელევიზიის რეჟისორი, ავთანდილ იმნაძე ამ გამოსვლის შემდეგ მოხსნილია სამსახურიდან.



გადაიცეს და ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩემი სარეცენზიო დღე იყო. რა ხდება ბატონებო? რას ერჩით ახალგაზრდებს?

დავეუკვირდეთ: ხომ არ ჰგავს ეს პროცესი ოციანი და შემდგომი წლების კამპანიას ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ, როდესაც ჩაჰკლეს ადამიანებში რწმენა და სამაგიეროდ არაფერი მისცეს. თუ რა გამოიწვია ამან, ყველამ კარგად დავინახეთ, ახლა, როცა ვკლავთ ამ ახალგაზრდებში რწმენას, რწმენას ამაღლებულისას, რწმენას ეროვნულისას, სამაგიეროდ რას ვთავაზობთ? ამაზე თუ გიფიქრიათ?

არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არ ვთქვა ბათუმის მიტინგზე გადაცემის გამო. ჯერ მინდა მოგახსენოთ ჩემი პოზიცია. დღესაც ვთვლი, რომ აქარღებთან ძალზე ფრთხილი ურთიერთობაა საჭირო. ისინი, რაღა თქმა უნდა, ეჭვიც არავის ეპარება, რომ ნამდვილი ქართველები არიან, მაგრამ მათი სარწმუნოება გვაიძულებს ძალზე შემოქმედებით მივუდგეთ. საკითხი ასე უნდა იყოს დასმული: რატომ აქვს ამ კუთხეს მინიჭებული ავტონომია რელიგიურ საფუძველზე? აი ამ მხრივ შეიძლებოდა ამ პრობლემის გაშუქება და არა უბადრუკი კომენტარებით, რომლებიც ბათუმის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გააკეთეს. იგრძნობოდა, რომ დაპროგრამებული საუბრობდნენ და მიზანი ერთი ჰქონდათ: სამარცხვინო ბოძზე გაეკრათ ზვიად გამსახურდია და მისი ჯგუფი. ეს ყველაფერი დააგვირგვინა პროფესორ ნოდო ლომათურის ყოვლად უსინდისო გამოსვლამ. რას იტყოდა ბატონი პროფესორი თვით ილია ჭავჭავაძეზე ამ სამოცი წლის წინად, როცა ილიას სახელის ხსენებაც აკრძალული იყო, ის რომ მაშინ ამავე ასაკისა და მდგომარეობისა ყოფილიყო? დარწმუნებული ვარ იგივეს, რაც დღეს ქაქუცა ჩოლოყაშვილზე განაცხადა. ჩემი ღრმა რწმენით კი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი საქართველოს ეროვნული გმირია, იგი ნამდვილი წამებული რაინდია და თუ საქართველოს მომავალი უწყერია, მე მგონი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად იქნება შერაცხული.

მე მსურს გავხსენო ჩემი სარეცენზიო უკანასკნელი გადაცემა „აქტუალური ეკრანი“, სადაც ჩვენი ქალაქის წამყვანი სკოლების დირექტორები საუბრობდნენ მრგვალი მაგიდის გარშემო. მათათვის ორიოდ მეტნაკლებად ღირსეულმა მონაწილემ ამ გადაცემისა და მართლაც რა გვეშველება?! ვის ხელშია ჩვენი მომავალი თაობის



აღზრდა? მაგრამ მაღლობა ღმერთს, რომ ყველაფერი დირექტორში არაა დამოკიდებული მოსწავლის აღზრდის საქმეში, თორემ არაა მოქალაქე უნდა აღზარდოს ანზორ ჩაფიძემ და ამ გადაცემის სხვა მონაწილეებმა, რომლებსაც ღირსებად მიაჩნიათ და ამაყობენ იმით, რომ არ გაუშვეს ბავშვები მოშიმშილეებთან?! მეორე, ყველგვარ ლოლიკას მოკლებული იყო მათი ნათქვამი, როდესაც ისინი არაფორმალური გაერთიანებების პროგრამებს შეეხნენ და განაცხადეს, რომ არ იცნობენ ამ პროგრამებს. სასურველი კია გაეცნონ, რათა გამოიმუშაონ მათ საწინააღმდეგო მოქმედების გეგმა: არ ეკადრებათ სკოლის დირექტორებს ასეთი უმეცრება: წინასწარ უპირისპირდები იმას, რასაც არ იცნობ. რატომ? ჯერ გაეცანი, იქნებ ეთანხმები. მაგრამ ყველაფერ ამას ერთი დიდი შეცდომა უდევს საფუძვლად, რა ვიცი შეგნებულად თუ შეუგნებლად, კერძოდ ის, რომ ყველა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ პირს მიაჩნია, რომ ყველა არაფორმალური გაერთიანების თუ საერთოდ ეროვნული მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდიაა. თითქოს ამ შიმშილობის აქციის ორგანიზატორიც ზვიად გამსახურდია იყო. მე, როგორც ერთ-ერთი ფორმალური გაერთიანების, კერძოდ საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კარგად ვიცი, რომ ასე არ არის. ეს აქცია—მე მხედველობაში მაქვს შიმშილობის აქცია—მოაწყო ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ და მისმა 64-მა წევრმა, პარტიის თავმჯდომარის, გიორგი ჭანტურიას მეთაურობით. ზვიად გამსახურდიას კი ამ აქციასთან ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა, როგორც სხვა ნებისმიერ არაფორმალს, თუნდაც პირადად მე.

გამომსვლელებიც ისეთები უნდა იყვნენ, რომ მათ მორალურ სახეში ეჭვი არავის შეუვიდეს. დაუკვირდით, ამ მხრით ყველაფერი რიგზეა? მე შეგნებულად არ ვეხები ზოგიერთი გამომსვლელის მორალურ რეპუტაციას, იმ ხმებს, რაც ქალაქში მათზეა გავრცელებული, რადგან ეს ჩემი მხრიდან იგივე ბინძური ხერხი იქნებოდა, რისგანაც თავად არ იხევენ უკან. გარდა ამისა, შეიძლება გააკრიტიკო ნებისმიერი ადამიანი, იქნება ეს ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვია ჭანტურია თუ სხვა, მაგრამ აუცილებელია ასეთ შემთხვევაში შენს თავთან მაინც იყო მართალი, თორემ როგორ არ უნდა ეცადო, ნემსის ყურწში რომ გაძვრე, ახალგაზრდობა არ დაგიჯერებს. ყველაზე საშინელი კი, კიდევ ვიმეორებ, ახ-



ალგაზრდების სულში ხელების ფათურია და აქ უნდა ვიყოთ ყველაზე ფრთხილად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავკლავთ მათში ყველაფერს წმინდას და მივიღებთ უსულგულო, კასტრირებულ თაობას, ისეთივეს, როგორიც ჩემი და ჩემი წინა თაობაა, რომლებმაც ოც-იანი და ოცდაათიანი და შემდგომი წლების საშინელებანი გამოიარეს. სჯობს ტელერადიოს კომიტეტის ხელმძღვანელობამ და მათზე მაღლა მდგომმა გამგებლებმა ამას მიაქციონ ყურადღება და არ იმას, რომ ისეთ ნახევრად მაინც შემოქმედებით დაწესებულებაში, როგორიც ჩვენია, არ ეცადონ დაამკვიდრონ პოლიციური რეჟიმი და ურთიერთდაბეზღების ატმოსფერო. და ბოლოს, მოვიშველიებ სახარებას და ვიტყვი: ყველაფერი შეგვიძლია გავაკეთოთ თუკი საფუძვლად სიყვარული იქნება და არა სიძულვილი, როგორც ეს დღემდე ვლინდება. საჭიროა დიალოგი, გულწრფელი, პატიოსანი დიალოგი. ვინც გაუბრძის ამ დიალოგს, ის დამარცხებულია.“

თვითგამოცემის მასალებიდან

*** *** *** *** ***

პ ა რ ი ზ შ ი რ ვ ა ი ა ნ ვ რ ი ს კ რ ე ბ ა

ამ წლის რვა იანვარს, „გუშაგის“ მოწვევით, პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის ბინაზე, გაიმართა ქართული ემიგრაციის კრება. კრებამ, რომელსაც ბ-ნი ტარიელ ზურაბიშვილი თავმჯდომარეობდა და ეთერი წერეთელი მდივნობდა, მოისმინა ბ-ნ გიორგი წერეთლის საინფორმაციო მოხსენება: „საქართველოს უკანასკნელი ამბები და ჩვენი ემიგრაციის გადაუდებელი მოვალეობა“.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა გასულ წელში სამშობლოში მომხდარ მნიშვნელოვან ამბებზე საერთოდ და კერძოდ ეროვნული და სამართალდაცვითი მოძრაობების შესახებ. აღნიშნა რეჟიმის ახალი პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ხაზი გაუსვა, რომ –ნოემბრის 22-დან 29-ის 13 საათამდე, თბილისში მთავრობის სასახლის წინ გამართული გრანდიოზული მანიფესტაციები, რომელშიც ასობით ათასი კაცი მონაწილეობდა და ათასზე მეტი ახალგაზრდა შიმშილობდა; მოქმედ კონსტიტუციაში არსებულ რესპუბლიკათა სუვერენობის უფლებათა დაცვის მიზნით, რასაც ახალი კანონპროექტი ემუქრებოდა, –უდავოდ წარმოადგენდა ქართველი ხალხის მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის ამკარა გამოვლინებას. ასევე შეაფასა ის საბჭოთა ხელისუფლებამ და დაუყოვნებლივ გააჩაღა ბრძოლა მის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

დეკემბრის პირველი რიცხვებიდანვე დაიწყო ეროვნულ-სამხარობრივი მოძრაობების აქტივისტების დენა-შევიწროება. შექარხის, ცემის, დროებითი დაპატიმრებების შემდეგ, ძველებურად კვლავ პასუხისგებაში აძლევენ მათ ყალბი ბრალდებებით. მაგალითად, ქუთაისში მოწყობილ სამი დეკემბრის მშვიდობიანი მანიფესტაციების შემდეგ დაპატიმრეს და შეთითხნილი ბრალდებებით პასუხისგებაში იმყოფებიან: გიორგი კულუმბეგაშვილი, გია ქემოკლიძე, თენგიზ ორჯონიკიძე და სოსო მამალაძე. ესენი ნამდვილი პოლიტატიმრები არიან და ჩვენმა ემიგრაციამ ხმა უნდა აღიმადლოს მათ დასაცავადო. შემდგომად ამისა მომხსენებელმა მოკლედ დაახასიათა ემიგრაციის პოლიტიკური მდგომარეობა და კრებას მოუწოდა გადადგას ნაბიჯი ყველა სასიცოცხლო ძალების ერთად დასარაზმავად.

მოხსენების ირგვლივ სიტყვებით გამოვიდნენ: ლევან ფაღავა, ზაქარია ლაშქარაშვილი, თამაზ ნასყიდაშვილი, შალვა თაყაიშვილი, თამარ კინსკისა-ამილახვარი, რამაზ პაპუაშვილი, ალექსანდრე ქარჩავა, ვიქტორ ხომერიკი, ოთარ ამილახვარი, ჯანრი კაშია.

კრებამ მიიღო რეზოლუცია:

1. ჩვენ, საფრანგეთში თავშეფარებული პოლიტდევნილები და მათი შთამომავლები, რომლებიც დღეს, 1989 წლის რვა იანვარს, შევიკრიბეთ პარიზის ქართ. ეკლესიის ბინაში, საჯაროდ ხმამაღლა ვაცხადებთ ჩვენს ურყევ ერთგულებას ხალხთა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებისადმი: თვით განაგოს თავისი ბედი, კერძოდ კი ქართველი ხალხის უფლებებისადმი — აღიდგინოს ძალით წართმეული ეროვნული დამოუკიდებლობა.

კრება კმაყოფილებით ეგებება იმ ფაქტს, რომ გასულ წელს ადგილი ჰქონდა ამ მიმართულებით წარმოებული სახალხო მოძრაობის დიდ აღმავლობას. მაგრამ კრება შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ბ-ნ მ. გორბაჩოვის „წესრიგის დამცველი ორგანოები“ მშვიდობიან დემონსტრანტების წინააღმდეგ კვლავ მიმართავენ ცილისწამების, დაშინების, ცემისა და ყალბი ბრალდებებით პასუხისგებაში მიცემის ძველ, „გარდაქმნის“ წინადროინდელ მეთოდებს. კრება განსაკუთრებით გმობს, გასული წლის 3-4 დეკემბრის ქუთაისის მშვიდობიანი მანიფესტაციების მონაწილეების: გიორგი კულუმბეგაშვილის, გია ქემოკლიძის, თენგიზ ორჯონიკიძის და სოსო მამალაძის, დაპატიმრებასა და პოლიციის მიერ შეთითხნილ ყალბ



ბრალდებით მათ პასუხისგებაში მიცემას. კრება მოითხოვს მათ დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, 1989 წლის 17 იანვარს მათი საკითხი ადამიანის უფლებათა და ჰელსინკის ხელშეკრულებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე დაკერძოდ ამნესტი ინტერნაციონალის წინაშე.

2. მეორე მხრივ, კრება იზიარებს მომხსენებლის აზრს, რომ საჭიროა, განურჩევლად პარტიულობისა, სარწმუნოებისა და ქვეშევრდომობისა, ერთ საერთო საქართველოს დამოუკიდებლობის ფონტში დაირაზმოს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული ქართული ემიგრაცია და მისი მემკვიდრეები. ამ მიზნის განსახორციელებლად, კრება ქმნის სამუშაო უჯრედს, შემდეგი შემადგენლობით: (ანბანის მიხედვით) **თამარ ამილახვარი-კინსკისა, ოთარ ამილახვარი, თათრახან ანთაძე, ზაქარია ლაშქარაშვილი, თამაზ ნასყიდაშვილი, ლევან ფაღავა, გიორგი წერეთელი.** რომელიც მანამდე თვალყურს ადევნებს სამშობლოში მიმდინარე ამბებს და მოქმედებს ჩვენი ემიგრაციის სახელით.

P.S. აღნიშნული კრების რეზოლუციის პირველი ნაწილი შეტყობინებული იქნა „ფრანს-პრესის“ სააგენტოს, **გ.ე.ო.**-ს ადამიანის უფლებებისა და მცირე ერთა უფლებების დაცვის უწყებებს, ამნესტი ინტერნაციონალს და სხ. ამნესტი ინტერნაციონალი გვატყობინებს, რომ ჩვენი განცხადება მიღებულია და შეტანილია სამოქმედო გეგმაში. ჩვენ დაუყოვნებლივ შევატყობინეთ ამ ორგანიზმს წყალტუბოს სასამართლოს განაჩენი. **ს. უ.**

*** **

მ ს ო ფ ლ ი ო მ თ ა ვ რ ო ბ ე ბ ი ს ა და ხალხებისადმი საბჭოთა კავშირის დაპყრობილი ერების თავისუფლების ქარტია

1989 წლის 28 და 29 იანვარს შევიკრიბეთ რა ქ. ვილნიუსში, ჩვენ, სომხეთის, ბელორუსიის, საქართველოს, ლატვიის, ლიტვის, უკრაინისა და ესტონეთის სახალხო-გამანთავისუფლებელი მოძრაობების წარმომადგენლები, ვაცხადებთ ერთიანი კომიტეტის შექმნის შესახებ, რათა გაერთიანებული ძალებით ვიბრძოლოთ ეროვნულ თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნისათვის. ისტორიამ გვიჩვენა, რომ მრავალ ეროვნული იმპერიების თვით არსებობა ანაქრონიზმს წარმოადგენს, რომელიც აუტანელ პირო-



ბებს უქმნის მასში მოქცეულ ერებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პლიურალიზმი წარმოადგენს ძირითად პრინციპს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობაში, ასევე ადამიანის უფლებათა სფეროში. თითოეულ ერს გააჩნია განვითარების საკუთარი გზის უფლება. ჩვენ წარმოვადგენთ მოძრაობას ხალხებისა, რომლებიც ათწლეულთა მანძილზე იბრძვიან ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ თავს არავის არ ვახვევთ ჩვენს შეხედულებებს სახელმწიფო წყობასა და სუვერენიტეტზე, მაგრამ ხალხებისათვის მიუღებლად მიგვაჩნია არა მარტო არსებობა იმპერიის ჩარჩოებში, არამედ ფედერატიული და კონფედერატიული წყობაც. ჩვენს მოძრაობას ესაჭიროება ყველა სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მხარდაჭერა. ვიმედოვნებთ, რომ მთელი მსოფლიო შეუერთდება მცნებას, რომ ამ ხალხების მხოლოდ თავისუფალ და დამოუკიდებელ არსებობას შეუძლია ხელი შეუწყოს კაცობრიობის სტაბილურ და მშვიდობიან განვითარებას.

ჩვენ მოვუწოდებთ იმპერიის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს, შექმნან მსგავსი კომიტეტი და ჩვენთან მჭიდროდ ითანამშრომლონ, საერთო მიზნის მისაღწევად.

ჩვენ ვთხოვთ პარტიურ აირიკიანს, იყოს ჩვენი წარმომადგენელი საზღვარგარეთ და ხელი შეუწყოს ასეთი კომიტეტის შექმნას.

ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი ხალხები მოიპოვებენ დამოუკიდებლობას და ვიმედოვნებთ, რომ ამას მივალწევთ უახლოეს მომავალში, ძალმომრეობის გარეშე.

ამ ქარტიას ხელს აწერენ შესავალში დასახელებული ერების ეროვნულ-გამანათავისუფლებელი მოძრაობების წარმომადგენლები. საქართველოდან მას ხელს აწერენ: **მერაბ კოსტავა**, წმინდა ილია მართლის სახელობის საზოგადოების სახელით, **ტარიელ ღვინიაშვილი**, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სახელით, და **გიორგი ახალაია**, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით.

ვილნიუსის ეს თათბირი, სსრკ -ს აპარტუს ხალხთა ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობათა წარმომადგენლების, იყო რიგით მეხუთე და მასში ზემოდ დასახელებულ ხალხთა გარდა იყვენ ყირიმელი თათრების წარმომადგენლებიც.

ვილნიუსის თათბირმა გარდა ზემორე „თავისუფლების ქარტიისა“, მიმართა რუსის ინტელიგენციას და გამოაქვეყნა განცხადე-



ბა, რომელშიც გაანალიზებულია თათბირზე წარმოდგენილი რესპუბლიკების პოლიტიკური მდგომარეობა ცალკალკე. საქართველოს სახებ იქ ნათქვამია შემდეგი:

„გასული წლის შემოდგომასა და დეკემბერში საქართველოში არ წყდებოდა მშფოთვარე მოვლენები. იგრძნობოდა ეროვნული თვითშეგნების ვეებერთელა ზრდა. მიმდინარეობდა ბრძოლა არა მარტო ეროვნული ხსნისა და აღორძინებისათვის, არამედ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვისაც. მოეწყო მრავალი მიტინგი და დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ყველა არაფორმალური ორგანიზაცია – ეროვნული სამართლიანობის კავშირი, წმინდა ილია მართალის საზოგადოება, ილია ქაგვაძის საზოგადოება, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ჰელსინკის ქართული ჯგუფი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესკლუბი. მოძრაობამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია ნოემბრის უკანასკნელ კვირამი, რომლის დროს ქართველმა ხალხმა მიაღწია კონსტიტუციის შესწორებების უარყოფას, შესწორებებისა, რომლებიც საქართველოს ართმევდა თვითგამორკვევის უფლებას. იმ დღეებში, მთავრობის სასახლის წინ შიმშილობდა ათასამდე კაცი, საქართველოს ყველა კუთხიდან თბილისში ჩადიოდნენ დელეგაციები ეროვნული ღირსების დასაცავად. მთავრობის სასახლიდან, მოქალაქეთა ვეებერთელა კოლონებმა მოაწყვეს შთამბეჭდავი მსვლელობები და მიტინგები მთელს ქალაქში, განსაკუთრებით მუშათა უბნებში.

მთავრობამ რეპრესიებით უპასუხა ამ მასობრივ აქციებს. დაიწყო შიმშილობისა და მიტინგების მონაწილეთა, არაფორმალურ ორგანიზაციების წევრთა გამოძახება პროკურატურასა და მილიციაში. დაიწყო კამპანია მათ წინააღმდეგ ტელევიზიასა და პრესაში.

მიუხედავად მთავრობის ცდებისა, დააშინოს სამართალდამცველები, გრძელდება ბრძოლა საქართველოს ხსნისა და განთავისუფლებისათვის. მიმდინარეობს ბრძოლა პოლიტპარტიმართა გასანთავისუფლებად“.

ჰელსინკის ქართული ჯგუფის კრება

სამშობლოდან მიღებული უკანასკნელი ცნობის მიხედვით, თბილისში, ამ წლის ხუთ თებერვალს გაიმართა ჰელსინკის ქართული ჯგუფის კრება ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, თეიმურაზ ჯა-



ნელიძის, გიორგი ჭანტურიას, თეიმურაზ ჭორიძის, ირინა ქსანიძის, ვანო ხუხუნიანიშვილის, მამუკა გიორგაძის, იასონ ფავლენიშვილის, გურამ გოგბაიძის მონაწილეობით. კრებას თავმჯდომარეობდა გიორგი ჭანტურია, მდივნობდა თეიმურაზ ჭორიძე.

კრებამ მოისმინა ჯგუფის ხელმძღვანელის, ზვიად გამსახურდიას ინფორმაცია ჯგუფის მუშაობაზე და მის წინაშე მდგარ ამოცანებზე, საქართველოს ეროვნულ-სამართალდაცვითი მოძრაობის აქტივისტთა გაძლიერებულ დევნა-შევიწროებასთან დაკავშირებით.

გადაწყდა დაწვრილებითი ანგარიშის შედგენა აქტივისტთა დევნის თაობაზე.

ჭელსინკის ქართული ჯგუფის თავმჯდომარედ კვლავ იქნა არჩეული **ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა**.

ე რ ო ვ ნ უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ის კ ო ნ გ რ ე ს ი და მ ის მიერ მიღებული პროგრამა და წესდება.

[ბ-ნ თენგიზ გუდავას, რომელსაც აქ მაღლობას ვწირავ, წყალობით, მივიღე წერილი-კომუნიკე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, ბ-ნ გიორგი ჭანტურიასაგან, პარტიის კონგრესის ჩატარების შესახებ და კონგრესის მიერ დამტკიცებული ე.დ.პ. პროგრამისა და წესდების ტექსტი.

კომუნიკეში სხვათა შორის ნათქვამია:

„**30** ნოემბერს და **1** დეკემბერს გაიმართა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის **I** კონგრესი – დამფუძნებელი ყრილობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პარტიის **45**-მა დელეგატმა და ათეულობით სტუმარმა. კონგრესის მიერ დამტკიცდა პარტიის პროგრამა და წესდება. კონგრესის გადაწყვეტილებით მთავარი კომიტეტის წევრთა რიცხვი ცხრამდე გაიზარდა. თავმჯდომარედ კონგრესმა დაამტკიცა გიორგი ჭანტურია, პოლიტიკურ მდივნად არჩეულია მამუკა გიორგაძე, მდივნად – ირაკლი ქადაგიშვილი, პრეს-მდივნად დამტკიცდა ირინა სარიშვილი, პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს მდივნად დამტკიცდა თენგიზ გუდავა“. რედ.]



ძ ი რ ი თ ა დ ი ნ ა წ ი ლ ი

1. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არის ილია ჭავჭავაძის საზოგადოება-IV დასის ავანგარდი, საქართველოს ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა ყველაზე რადიკალური ნაწილის პოლიტიკური გაერთიანება.
2. ს. ე. დ. პარტიის მიზანია მშვიდობიანი გზით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, პლიურალიზმის დანერგვა ცხოვრების პოლიტიკურ-საზოგადოებრივ და ეკონომიკურ სფეროებში.
3. ჩვენი პარტიის იდეოლოგიურ ბაზისს წარმოადგენს **თ ე ო დ ე-მ ო კ რ ა ტ ი ა**, რაც ტრადიციული დემოკრატიული ღირებულებების გარდა გულისხმობს ეკლესიის წამყვან როლს ერის ცხოვრების მორალურ საკითხებში.
4. ჩვენი დევიზია - **ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს ა-თ ვ ი ს!** რაც არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ერთეულების უფლებების შელახვასა და პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვას.
5. ჩვენ ვთანამშრომლობთ და ვითანამშრომლებთ სსრკ-ში არსებულ დემოკრატიულ და ეროვნულ ძალებთან, ჩვენი მიზანი ერთია და თავისუფლებასაც ერთად მივალწევთ.
6. ჩვენ უზარმაზარ მნიშვნელობას ვანიჭებთ თანამშრომლობას არა მარტო სსრკ-ში არსებულ დემოკრატიულ ძალებთან, არამედ საზღვარგარეთის ჭეშმარიტად პროგრესულ, ანტიტოტალიტარულ ძალებთანაც.

ისტორიული კანონზომიერება და ობიექტური რეალობა ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩაგრულ ერთა განთავისუფლება მოახლოებულია, საჭიროა ხალხის ორგანიზება, ძალთა გაერთიანება და მოქმედების კოორდინირება.

6. პარტია უარყოფს ყოველგვარ ძალადობას, პარტია იბრძოლებს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით. მიტინგი, დემონსტრაცია, გაფიცვა, თვითგამოცემითი ლიტერატურის გავრცელება, პროკლამაცია, ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ მოწოდება და ამ დაუმორჩილებლობის განხორციელება - აი, ჩვენი ბრძოლის ფორმები. ჩვენი პარტია დიდ ყურადღებას უთმობს და იმედს ამყარებს რეფერენდუმზე, ხალხის ნების გამომხატველ ამ სამართლებრივ აქტზე. ჩვენ დავნერგავთ რეფერენდუმის პრაქტიკას. ჩვენ მოვითხოვთ რეფერენდუმის ჩატარებას ქართველი ერისათვის საჭირობო-



ტო და უაღრესად მნიშვნელოვან ყველა საკითხზე.

7. ე. დ. პ. იბრძვის ილია ჭავჭავაძის საზოგადოება - IV უკეთესო ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანებისა და ამ საზოგადოების რჩეული ნაწილის პარტიულ მუშაობაში ჩასაბმელად.

8. ე. დ. პ. არ ემსახურება რომელიმე კლასს თუ ჯგუფს, ის მთელი ქართველი ერის ინტერესების დაცვისათვის იბრძვის. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ზეკლასობრივი პარტიაა.

9. ე. დ. პ. არასდროს არ წავა არავითარ კომპრომისზე საბჭოთა ხელისუფლებასთან.

10. ე. დ. პ. სცნობს საკუთრების ოთხ ფორმას: სახელმწიფოს, კოოპერაციულს, კერძოს და შერეულს. ეკონომიკის დეცენტრალიზაცია და ბაზის ინტერესების გათვალისწინება არის ჯანსაღი ეკონომიკის საწინდარი მომავალ საქართველოში.

11. ე. დ. პ. არის უშუალო გამგრძელებელი იმ პოლიტიკური ხაზისა, რომელსაც ატარებდა ამ საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ყველაზე ეროვნული ძალა იმ პერიოდში და ამიტომ ვთვლით, რომ მოხდა არა ახალი პარტიის შექმნა, არამედ ძველის რესტავრაცია. რაც შეეხება მთელ რიგ განსხვავებებს „ძველი“ და „ახალი“ პარტიის პროგრამულ პრინციპებს შორის, ეს ჟამთა სვლისა და ახალი პოლიტიკური სიტუაციის შედეგია.

*

ჩვენ ვაღიარებთ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ემიგრაციაში და ვითხოვთ ჩვენი მოქმედებების კოორდინირების შესაძლებლობის შესწავლას.

ე. დ. პარტიის წესდება

1. ე. დ. პ. არის ერთპარტიულ პოზიციაზე მყოფი ეროვნულ-ვანმთავისუფლებელი ორგანიზაციების გაერთიანება.

2. ე. დ. პ. -ს უმაღლესი მმართველი ორგანო არის პარტიის კონგრესი, კონგრესებს შორის - პარტიის მთავარი კომიტეტი.

I პარტიის წევრები

3. პარტიაში ახალი წევრის მიღება ხდება მთავარი კომიტეტის მიერ, პარტიის ნამდვილი წევრის რეკომენდაციის საფუძველზე.

4. ე. დ. პ. წევრი რჩება ილია ჭავჭავაძის საზოგადოება-IV დას-



ის წევრად.

- 5. ე.დ.პ. წევრს ეკრძალება სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციაში, აგრეთვე სხვა თუ პარტიაში ყოფნა.
- 6. ე.დ.პ. წევრს ეკრძალება პარტიის სახელით მოქმედება, ადგილობრივი კომიტეტისა და მთავარი კომიტეტის თანხმობის გარეშე.
- 7. პარტიის წევრს ეკრძალება ელბ -ს თაობაზე ჩვენების მიცემა.
- 8. წესდების დარღვევის ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში მთავარ კომიტეტს უფლება აქვს პარტიის წევრის ელბ -ს რიგებიდან გარიცხვისა.
- 9. ელბ ყველანაირად ეხმარება პარტიის რეპრესირებულ წევრს და მის ოჯახს.

II კომიტეტები

- 10. პარტია იყოფა კომიტეტებად, პირველად პარტიულ ორგანიზაციებად. თითოეულ კომიტეტში გაერთიანებულია ხუთი —ათი პირი.
- 11. პარტიის კომიტეტები ემორჩილებიან უშუალოდ მთავარ კომიტეტს.
- 12. თითოეულ კომიტეტს ხელმძღვანელობს კომიტეტის მიერვე არჩეული მდივანი.

III მთავარი კომიტეტი

- 13. მთავარი კომიტეტი არის პარტიის ხელმძღვანელი ორგანო.
- 14. მთავარ კომიტეტში გაერთიანებულია ხუთიდან ცხრა კაცამდე.
- 15. მთავარ კომიტეტს ჰყავს პარტიის თავმჯდომარე, პოლიტიკური მდივანი, პარტიის მდივანი და პრეს-მდივანი, რომელთა არჩევა ხდება წელიწადში ერთხელ პარტიის კონგრესის მიერ.
- 16. მთავარი კომიტეტის სხდომა ეწყობა ორ კვირაში ერთხელ.
- 17. მთავარი კომიტეტის ნებისმიერი გადაწყვეტილება აუცილებელია პარტიის ყოველი წევრისათვის.

IV კონგრესი

- 18. პარტიის კონგრესი უფლებამოსილია მაშინ, როდესაც მას პარტიის დელეგატთა ორი მესამედი მაინც ესწრება.
- 19. პარტიის კონგრესი უნდა გაიმართოს წელიწადში ერთხელ. დასაშვებია რიგგარეშე ყრილობის მოწვევა.
- 20. პარტიის კონგრესზე ვეტოს უფლებით არავინ არ სარგებლობს.
- 21. პარტიის კონგრესზე ილია ჭავჭავაძის საზოგადოება—IV დასი-



დან მოწვეული დელეგატები სარგებლობენ სათათბირო ხმის მიწოდებით.

22. პარტიაში აკრძალულია ყოველგვარი ფრაქციულობა და მის ნებისმიერ გამოვლენას აღკვეთს პარტიის კონგრესი და მთავარი კომიტეტი.

V პარტიის ფინანსები

23. პარტიის ფინანსებს შეადგენს პარტიის წევრთა ყოველთვიური საწევროები, ასევე ილია ჭავჭავაძის საზოგადოება-IV დასის შემოსავლის ნაწილი.

24 პარტია შემოწირულებებს იღებს.

25 პარტიის ფულადი სახსრები ხმარდება თვითგამოცემით ლიტერატურას, აქციებისა და ღონისძიებების მომზადებას, მივლინებებს პარტიული დავალებით, პარტიის რეპრესირებულ წევრსა და მის ოჯახს.

26 პარტიის სალარო აბარია პოლიტიკურ მდივანს. თვეში ერთხელ პოლიტიკური მდივანი შემოსავალ-გასავლის თაობაზე ანგარიშს აბარებს მთავარ კომიტეტს.

VI პარტიული პრესა

27. პარტიის მთავარი ბეჭდვითი ორგანო არის ყურნალი მთავარი, რომელიც ორ თვეში ერთხელ გამოდის.

28 გაზეთი ქართული ქრონიკა არის პარტიის ორგანო და გამოდის ათ დღეში ერთხელ.

XXXXXXXXXXXXXXXXXX

მ ც ი რ ე კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კონგრესის მიერ მიღებული პარტიის პროგრამისა და წესდების ტექსტი შეიცავს: სამ მთავარ ნაწილს: პრეამბულას, ძირითად ნაწილს და წესდებას.

პრეამბულა აქ გამოვტოვეთ, რადგანაც იგი სრულიად იგივეა, რაც გუშაგის ამის წინა ნომერში დაბეჭდილი პროგრამა 1-დან 14 მუხლამდე, მაშასადამე, ცხადია, რომ ე. დ. პ. სრული ტექსტის მისაღებად საჭიროა, ზემოდ დაბეჭდილ ტექსტს წინ წაემძღვაროს პროგრამის თოთხმეტი მუხლი.

ყოველგვარი გაუგებლობის თავიდან აცდენის მიზნით აქ ხაზგა-



სმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს კომენტარი მხოლოდ „გუშაგის“ და მისი რედაქტორის აზრია, რადგანაც „გუშაგი“ არცერთ პარტიას არ ემსახურება, არამედ ყველასთან თანამშრომლობს, ვისთვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა ძვირფასია და ილწვის კიდევაც მისთვის.

ამის წინა ნომერში, როცა ე.დ.პ. ინიციატორების მოწოდება და პროგრამა-წესდების პროექტი გამოვაცქვეყნეთ, ჩვენი წესის წინააღმდეგ, უკომენტაროდ დავბეჭდეთ, თუმცა რიგ საკითხებში არ ვეთანხმებოდით. როგორც მაშინ აცხადებდნენ, პარტიის დამფუძნებელი ყრილობა წლის ბოლომდე იქნება მოწვეული, ჩვენც მას დავგელოდეთ და, ჩანს, ცუდად არ მოვქცეულვართ, რადგანაც კონგრესის მიერ მიღებული ტექსტი მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული. მაგალითად, 1) ე. დ. პ. მთავარი კომიტეტის წევრები ვეტოს უფლებით აღარ სარგებლობენ და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის საქმიანობის ეფექტიურობისათვის, 2) ე. დ. პ. მიღება შეიძლება ილია ჭავჭავაძის საზოგადოება-IV დასის წევრობის გარეშეც, 3) ქართველი ხალხის ეროვნული გამორკვევა აღარაა სარეფერენდუმოდ გამოცხადებული და სამართლიანადაც, რადგანაც, ქართველმა ხალხმა თავი უკვე 1918 წლის 26 მაისის აქტით გამოიკვია, რომელიც მას ძალმომრეობით მოუსპო უცხო ძალამ. საჭიროა ბრძოლა მისი ავტონომიური აღდგენისათვის და არა რეფერენდუმისათვის, თუმცა ჩვენ არავითარი ეჭვი არ გვებარება ქართველი ხალხის განაჩენში, თუ, რა თქმა უნდა, რეფერენდუმი ჩატარდება პატიოსნად, დემოკრატიისა და მრავალპარტიულობის პატივისცემის პირობებში, რასაც ჯერჯერობით ვერ ვხედავთ საბჭოთა სინამდვილეში, მიუხედავად მის ხელისუფალთა განცხადებებისა; 4) და რომ „თეოდემოკრატია“ გულისხმობს მხოლოდ „ეკლესიის წამყვან როლს ერის ცხოვრების მორალურ საკითხებში“ და არა „პოლიტიკურ კონტროლს“-აც, როგორც ეს იყო ადრე პროგრამის პროექტში. ამ ცვლილებას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგანაც, თუ ეკლესიის როლისა და მნიშვნელობის გაზრდა ადამიანური ღირებულებების დარგში მისასაღმებელია, მისთვის პოლიტიკური კონტროლის უფლების აღიარება არც სასარგებლოდ მიგვაჩნია და არც დემოკრატიულად.

ჩვენ ასედაც წინააღმდეგი ვართ მესამე მუხლის ფორმულირების: დემოკრატიის პრინციპის ადგილას თეოდემოკრატიის პრინციპის აღიარებისა. ჩვენი მოსაზრების გასაგებად ჯერ გავიხსენოთ თუ

რა ხილია დემოკრატია? როგორც სამართლიანად ბრძანებდა ნიკო ქორძანი: „დემოკრატია ეტიმოლოგიურათ შესდგება ორ ბუნებრივ სიტყვიდან: დემოს—ხალხი, კრატოს—მართველობა და ნიშნავს ხალხის მართველობას. ხალხი შედგება მრავალი კლასებისაგან, სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისაგან. ის მთელი საზოგადოებაა. დემოკრატია ნიშნავს, მაშასადამე, ყველას მართველობას, საზოგადოების ხელისუფლებას“. (იხ. ნ. ქორძანი: **პოლიტიკა. პარიზი 1926**)

გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ყველგან, სადაც კი მოინდომეს დემოკრატიის ამ კლასიკურ გაგებაში ახალი აზრის ჩადება, ყველა დაგვირგვინდა მახინჯი ტირანიით. ამის მაგალითები შორეული წარსულიდან დღევანდლობამდე უთვალავია, მათ შორის დავასახელოთ: საბჭოური ანუ პროლეტარული დემოკრატია, ფაშისტური დემოკრატია, ნაციონალ-სოციალისტური დემოკრატია, სახალხო დემოკრატები და უკანასკნელი ყაიღის: ირანის ისლამური დემოკრატია.

როდესაც ამას სხვებს ვუწუნებთ, ჩვენს ხალხსაც ვერ ვუსურვებთ. ეს მით უფრო, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ომოგენური არ არის, პირიქით, იგი აჭრელებულია სხვადასხვა ერის შვილისა და სარწმუნოების მიმდევრებისაგან, რომ აღარაფერი ვთქვათ ურწმუნოთა შესახებ. ვფიქრობთ, ამ საკითხს აქ გაღრმავება აღარ ესაჭიროება. საკითხი ისედაც ცხადია: ჩვენი ქვეყნის ინტერესი მოითხოვს, რომ ეკლესია გამოყოფილი იყოს სახელმწიფოსაგან და არცერთი არ ერეოდეს მეორის საქმეებში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მამამთავრები, დიდი ილიიდან დაწყებული, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენს მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიას და მისი ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში მეწინავენი იყვნენ, მაგრამ იგი პარტიის საპროგრამოდ არ გაუხდიათ.

ეს ჩვენი ახალი ეროვნული დემოკრატები ჩვენს სიმპატიებსა და პატივისცემასაც იმსახურებენ იმით, რომ: თითქმის შვიდი ათეული წლის უსაშველო სახელმწიფო ტერორით თავზარდაცემულ ჩვენს ხალხში, ისინი პირველები გამოჩნდნენ, საშუალო საუკუნეების რაინდებივით, რომლებმაც აშკარად ააფრიალეს საქართველოს დამოუკიდებლობის სამფეროვანი დროშა. დღიდან ასპარეზზე გამოსვლისა იბრძვიან ისე, როგორც ეს ქვეშაარტ უხორცო რაინდებს შეეგონით და ესაა მთავარი! რაც შეეხება პროგრამის ზოგიერთ ნაწილებს, ისინი თანდათან დაიხვეწებიან და დაზუსტდებიან.



აქ სულ მოკლედ, სქემატიურად წარმოვადგენთ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს პოლიტიკურ მდგომარეობას ამ სახალისო მდგეს. თანამედროვე საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა მიხეილ გორბაჩოვის სახელთან იგივედება. არის თუ არა იგი მართლაც სსრკ ერთპიროვნული მბრძანებელი, ამის ძიებას აქ ნუ დავიწყებთ.

სამინაო ხაზით, გორბაჩოვმა კონსტიტუციური გზით მიაღწია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თაემჯდომარეობასაც და ამრიგად თავის ხელში მოაქცია: ქვეყნის კომპარტიის გენერალური მდივნის, პრეზიდენტის და შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლის უზარმაზარი ძალაუფლებები. მისივე ინიციატივით შესწორდა კონსტიტუცია ისე, რომ იგი დაუახლოვდეს რეალობას, მაგრამ არავითარი ზიანი არ მიადგეს საბჭოთა სახელმწიფოს ცენტრალიზმს. ეს აშკარადაა ნათქვამი უმაღლესი საბჭოს 1988 წლის 1 დეკემბრის დადგენილებაში, რომელსაც ხელს აწერს გორბაჩოვი: „... მხედველობაში იქონიონ რესპუბლიკების კომპეტენციის გაფართოების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთობაში ზედმეტი ცენტრალიზაციის აღმოხვრის ღონისძიებანი და ამავე დროს გაითვალისწინონ სსრ კავშირის იმ უფლებამოსილებათა შემდგომი შენარჩუნების ღონისძიებები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს მას უზრუნველყოფდეს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ძირეული საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას, ხელმძღვანელობდეს ქვეყნის ეკონომიკას, როგორც ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს, აწყოზდეს სსრ კავშირის თავდაცვას, წარმოადგენდეს მას საერთაშორისო ურთიერთობაში და წყვეტდეს საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სხვა საკითხებს.“ (იხ. „კომუნისტი“ 1988 წლის 2 დეკემბრის)

როგორც ხედავთ, აქ ნატამალი აღარ რჩება „მოკავშირე“ რესპუბლიკების არამც თუ სუვერენობისათვის, არამედ მათ რეალურ ავტონომიისათვისაც კი. არც საბჭოთა სისტემაშია ცვლილება დემოკრატიზაცია მხოლოდ ცარიელი სიტყვაა. ადგილი არა აქვს არავითარ პლიურალიზმს „გარდაქმნებს“, რომელთაც ადგილი ჰქონდა ეკონომიკაში, ჯერჯერობით მაინც არავითარი სიკეთე არ მოუტანია ხალხისთვის, ძველებურად, და ზოგ დარგში მეტადაც, ცხოვრების დონე უაღრესად დაბალია.

შედარებით გაუმჯობესებულია აზრის საჯაროდ გამოთქმის თავი-

აკრძალვა და ა. შ. ასეთი ქვეყნისათვის თითქოს აღარაფერი უკრუნდა იყოს შეუძლებელი. ასე ფიქრობდა იგი თავადაც და ამერიკელით მადაგალვიძებული კაცობრიობის ყველაზე დიდ განძს—დემოკრატიას წაებოტინა; დემოკრატიას, რომელიც ღვთის მიერ ბოძებული თავისუფლების ერთადერთი საწინდარია. წაებოტინა და ხელებიც დაეწვა, რატომ?

„ქვევიდან“ წამოსული ნებისმიერი ინიციატივა დემოკრატიისა და თავისუფლების მოპოვებისკენ მიმართული ძალადობისა და განუკითხაობის შვიდი ათეული წლით ძირგამაგრებულ კედელს ეჯახება. სტალინი კი „დაიგმო“, მაგრამ სტალინიზმი ცოცხალია და „საჯაროობის“ ნიღბის მორგებასაც ცდილობს. დისიდენტებს, ქვეშაობრივ მებრძოლებს დემოკრატიის დამკვიდრებისათვის, ბრალად ედებათ დემოკრატიზაციის პროცესის ხელყოფა?! უმძიმესი ბრალდებაა, ვერაფერს იტყვი! სადღაც, ჩვენგან შორს, რაღაც უხილავი ძალებით მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი პროცესი—დემოკრატიზაცია; არარსებული რეფორმატორები „ებრძვიან“ არარსებულ კონსერვატორებს კრემლში და ჩვენ ამას ვერ ვგრძნობთ, ხელს ვუშლით! დემოკრატიზაციის პროცესი მიმდინარეობსო, რომ გვითხრეს, ალბათ, იმასაც მოგვასხენებენ, თუ როდის დასრულდება ეს პროცესი (სოციალიზმის აშენების მოხარების არ იყოს). მეტი რაღა ქნან, რაღას ვითხოვთ? რაც მოგვეთხოვება, ისაა, რომ ხელი არ შევეშალოთ ამ პროცესს, რომელიც უმკაცრესი კონსპირაციის პირობებში მიმდინარეობს, გაფიცვები, დემონსტრაციები, მიტინგები—უკმაყოფილებისა და ხალხის პოლიტიკური თავისუფლების გამოხატვის ეს ტრადიციული ფორმები მხოლოდ აფერხებს მას. ეს უკანასკნელი „დებულება“ იმდენად კუროიოზულია, რომ შეიძლება ვერც კი დაუშვა ის აზრი, რაც მის უკან ძვეს—დემოკრატიის გამოვლინება ხელს უშლის დემოკრატიზაციის პროცესს—ეს ნონსენსი გახლავთ რეკორდი დემაგოგიაში, თუმც ნამდვილად ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ დონე, რომელსაც სსრკ-მა ამ დარგში მიაღწია, კიდევ შეიძლებოდა აწეულიყო... მაგრამ ტოტალიტარიზმისა და დემოკრატიის „დამეგობრება“ თვით ასეთი უმაღლესი დონის დემაგოგიისთვისაც შეუძლებელი აღმოჩნდა და სწორედ ამით აიხსნება უკვე თითქმის დაუფარავი და შეუნიღბავი რებრესიები, რომლის მიზანია შიშით დაზაფრულ ხალხებში კერპთაყვანისმცემლობის ხელახლა დანერგვა.

... როცა იმის პრეტენზია გაქვს, რომ ყველაფერს თავისი სახელი



უწოდო, „ახლებურად იაზროვნო“ და თანაც უტიფრად დემოკრატიას დემოკრატიზაციის მტრად, ასეთ დროს ის ნილაბზე ჩაბლაუჭების თავიცი აღარ გრჩება და ნილაბიც ძირს ვარდება.

... არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი ...

ირინა სარიშვილი

*) ეს სტატია გადმობეჭდილია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის „მომხმე“ №7-დან, რომელიც 1988 წლის 27 სექტემბერიდან დათარიღებულია.

თ ა ვ ი I I

და ვ ი დ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი - 9 0 0

1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე აღის თექვსმეტი წლის ქაბუკი, მეფე გიორგი მეორეს „მარტოდ შობილი“ ძე, დავითი, რომელსა შემდეგ ჩვენი ხალხის ისტორიამ დავით აღმაშენებელი უწოდა.

დავით მეფემ სამემკვიდროდ მიიღო თათართა მოხარკე, იავარქმნილი და ისიც მხოლოდ დასავლეთი ნაწილი სრულიად საქართველოსა. 36 წლის მეფობის შემდეგ, როცა იგი გარდაიცვლება, ის თვის მემკვიდრეთ უტოვებს ახლო-აღმოსავლეთის უმძლავრეს სახელმწიფოს, მომცველს მთელი ამიერკავკასიისა, გარდა სრულიად საქართველოსა, სომხეთისა და დღევანდელი აზერბაიჯანის მიწა-წყალს. ეს დავით აღმაშენებელმა ხმლით, გარჯითა და გონით მოამზადა ნიადაგი, რომელზედაც იხარა და აღყვავდა ოქროს ხანად წოდებული, თამარ დედოფლისა და შოთა რუსთაველის საქართველო.



თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი, დიდი ბატონი ივანე ბრძანებდა:

„ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავ ჰყო დიდებულ მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებლის და აღმაშენებლის, მისი



პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქმნელის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი საქართველო ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჭხარის მას ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოსა.

ახალი სტილით რვა თებერვალს, მისი გახელმწიფების ცხრაას წლისთავზე მადლიერმა ჩვენმა ხალხმა დავით აღმაშენებელს გულის წიაღიდან მომავალი ლოცვა-ვედრება აღუვლინა და გულმხურვალე ლიტანიობა გაუმართა. ჩვენც ასევე ვუერთდებით მას და ვამბობთ: ა მ ი ნ ! ა მ ი ნ !

გ უ შ ა გ ი

დავით აღმაშენებელი
შესავალი

საქართველოს ისტორიას რომ ვკითხულობ, გული კრთება, შურისგებით აჟრჟოლებულს ზოგჯერ რისხვა აღმომხდება, რატომ ხდება, კაცის სული მხეცივით რომ აბორგდება! მებრძოლს ომში მემომართან შერკინება მოუხდება, მაგრამ ცოდვა-უცოდველთა თავზე რისხვად დაატყდება!

მუსულმანურმა ქვეყნებმა სისხლით გაითქვეს სახელი, მუსრავდნენ, ვინც კი არ იყო მაჰმადის თანამზრახველი, ვერ იოკებდნენ სიხარბეს, სხვათა ქონების მნახველი, არ აწუხებდათ ველურებს ცოდვა, დარდი და ნადველი, სახეზე ჰქონდათ მიმხმარი სისხლი, ქაფი და ნახველი.

ბავშვებს, ქალებს რატომ ხოცავთ, რატომ აჰკლავთ უცოდველსა! რად იმატებთ რჯულში ცოდვას, რად იმრავლებთ კაცის მკვლელსა; მუხანათურ ჩვევებს ნერგავთ, ზრდით მჯღიბავს და მომწამვლელსა, არ თაკილობთ ჰარამხანებს, უწლოვანთა წამბილწველსა, განგება არ გაპატიებთ არც ახალს და არც ძველსა!

თემურლენგს ყაჩაღს, ირანში, კოშკი ჰქონია „ნაქები“, სამოცდაათი ათასი თავის ქალადან ნაგები, ოთხი ათასი ტყვე, ცოცხლად, საფლავში „ჩანალაგები“,



კოდებს ვერ იტევს ალახის მსახურთა სარკოფაგები, ეჩინეული
ქარბად აცხიათ ხელეზზე ბავშვების სისხლის ლაქები. ზიზღილითაა

I

მე გაგაცნობთ დავით მეფის ეზოს მოძღვარს, არსენ ბერსა,
მის მონათხრობს ქარიშხლიანს, ზოგჯერ სიოდ მონაბერსა,
სიტყვა-სიტყვით ლექსად აღვწერ მართალს ძნელად დასაჯერსა,
მაშინდელი საქართველოს მიწას, სისხლით განაჯერსა,
მუსულმანის მოხრილ ხმალით, ნაჰქერ-ნაჰქერ დანაჰქერსა.

დავითის გამეფებამდე, გიორგი მეფის ხანასა,
თურქთა აგვიკლეს, დაგვამხეს, ყელზე გვაბჯენდნენ დანასა;
ქვეყანა დაცარიელდა, მკლავი არ ყავდა ყანასა,
არ შესწრებია ქართველი ჯოჯოხეთს ამისთანასა,
თავს ვერ ართმევდა სიძნელეს, ამ უცხო ამოცანასა.

თურქ-სელჩუკთა მფლობელობამ, ცენტრით ისპაჰანიდანა,
მოაოხრა ქვეყნები და შიგ მახვილი შეიტანა;
კავკასიას არ უნახავს ბარბარიზმი ამისთანა,
ახალ სისხლში აბანავეს, ჯერ ძველი არ მოებანა,
საქართველოს მთლიანობა გაასწორეს მიწასთანა.

წყეულმც იყოს ხსენება სულთანის აღფარსლანისა,
„დიდი თურქობიშ“ დამწყების, მისი ღროსი და ხანისა,
ქართველთა ქვეყნის ამკლების, თავზე დამქცევის ბანისა;
სადამდეც მიწვდა გაულიტა მხენელი და მკელი ყანისა,
მოქამა, დაწვა დოვლათი, გარდა თან წასატანისა.

ქუთაისი, არტანუჯი და კლარჯეთის მონასტრები
ერთ ღლეს დაწვეს, თან გაძარცვეს, იქცეოდნენ ხარბად მტრები,
ნაძარცვისგან გორა დადგეს, იმ ერთი ღლის მონასწრები,
ხვეკდნენ, კრეფდნენ, არ ჰყოფნიდათ მონახვევი, მონაკრეფი,
სხვისას სჭამდნენ, სხვისას სვამდნენ, ნებივრობდნენ გარეწრები!



კალიბრებით მოედგნენ თურქები არემარესა,
შავშეთს, არგვეთას, ქართლს, სამცხეს, მერე აჭარის
სამოქალაქოს, ჭყონდიდსა სთესავდნენ სიმწუხარესა;
ყურძენი ჭამეს, მტარვალთა, ვაზები ამოყარესა,
ხოცეს დიდი და პატარა, სიკვდილი დაამყარესა!

გახიზნულებს დაეძებდნენ, ჩხრეკდნენ გამოქვაბულებსა,
გამოჰყავდათ, ხანჯლით ჩეხდნენ მშივრებს, შეცივებულებსა;
ვინც ჯალათებს გადაურჩნენ, სისხლით გაბრუებულებსა,
ზამთრის სუსხი მუსრს ავლებდა, შიშით გაოგნებულებსა;
სახლებს ქარი დასტიროდათ, დამწვრებს, გაშავებულებსა!

ყოველ წელს გაზაფხულიდან ზამთრამდე იბოგინებდნენ,
არ დაინდობდნენ მოხუცებს, ქალწულებს შეაგინებდნენ,
ქაბუტებს ამოწყვეტავდნენ, პატარებს მოიტაცებდნენ;
რაც თვალში მოუვიდოდათ ჯორებს, აქლემებს ჰკიდებდნენ,
ხმლებზე, ხანჯლებზე შემხმარ სისხლს ქასურით აპრიალებდნენ.

შესაქმელად არ ჰყოფნიდათ ცხერის ფარები, ნახირები,
ნაკადულთა ნაცვლად ყველგან, სისხლი ჩქეფდა ნადინები;
გაპარტახდა, მთლად ტყედ იქცა ხმელეთი, ზღვის ნაპირები,
ნასოფლარზე მგელი ყმუის, მოეჩვივნენ ნადირები,
ცოდვისაგან ქვა იწვოდა, ქვა ცოდვისგან ნატირები!

ნაყოფი ჭამეს სიციცხლის, ხე ძირით ამოთხარესა,
ქვეყანა პირქვე დაამხეს, ზედ მიწა დააყარესა;
ხალხის წივილი აქრობდა მზის სხივებს მოელვარესა,
მაჰმადი სისხლით დაათვრეს, აამეს, ანეტარესა,
კვლის ჟინის ხმა და ხორხოცი მისწვდა ნახევარ მთვარესა!

II

„ვუმასპინძლოთ ყურნი ჩვენნი“ - არსენ ბერის განამხელსა,
დავით აღმაშენებლის ისტორიის აღმწერელსა,
-დავით მეფე „ტახტზე დაჯდა“, მოელოდა ხალხი მხსნელსა,
თექვსმეტი წლის გვირგვინოსანს უმშვენებდა ხმალი წელსა,
მაგრამ, განა განგებისგან აიციდინებ განსაცდელსა?!



ქვეყანა იმ წელს ძლიერად შეირყა მითით და ბარითა, ქალაქი, ციხე, სოფელი, დამარხა სახლით, კარითა, შიგ მოჰყვა მოსახლეობა თავისი მონაგართა; დაიქცნენ ეკლესიები დამშვენებული ჯვართა, საგულდაგულოდ ნაგებნი ქვითა და კირით მყართა.

როცა სოფელს ბედის ჩარხი უკუ გადაუბრუნდება, წყალი, ცეცხლი, ყველაფერი თავზე რისხვად დაატყდება, მაშინ ხალხი, ხსნის იმედით, სალოცავებს მიადგება, მაგრამ, როცა ზეცის ნებით ეკლესია ნადგურდება, ღმერთის რწმენაშერყეული ხალხი სულით დაბუნდება.

ზედ დაემატა მიწისძვრით ქვეყანას უბედურება, თითქოს ჰკლებოდეს მტერთაგან რბევა და განადგურება; კაცს შეზარავდა ნანგრევთა, ნასოფლარების ყურება, ნასახლარებზე ნადირთა ყმული, დასადგურება. ვინ დარჩა, ვილას შეეძლო განწირულთ მომსახურება?!

სელჩუკები, უზარმაზარ იმპერიებს როცა ქმნიდნენ, შემხვედრ ქვეყნებს იპყრობდნენ და ძარცვა-გლეჯით აოხრებდნენ, მოდიოდნენ ოჯახებით სხვის მიწებზე სახლდებოდნენ, ნახირებს და ცხვრების ფარებს სხვის ყანებში აძოვებდნენ, გაუხიზნავ ხალხსა ქლეტდნენ, პატარებსაც არ ინდობდნენ.

დავითს ხვდა მემკვიდრეობით ქვეყანა ნაპარტახალი, მტერთა ლაშქარი ურიცხვი, უღევი, ახალახალი, თავადნი ურჩნი, ურჩობით ძმა ძმაზე შემონახალი, ცხოვრება ჩანავლებული, ჩამქრალი, როგორც მაყალი, ბედის სიმუხთლით შემკრთალი ქართველის სული მაღალი.

გინახიათ, ცეცხლის ალი ქარის ქროლით როგორ კრთება? ზოგჯერ ქარი მომძლავრდება, მაშინ ცეცხლიც ძლიერდება, ზოგჯერ ხდება, ალი ქრება, ნაკვერჩხალი კვლავ ღვივდება, ხან სიმბოლოს სიცოცხლისას – შექს განგება ეხმარება, გმირს მოავლენს ქვეყანაზე, ქარს რომ მკერდით ეგებება.



დავითმა ტკბილი სიტყვებით, იმედით, მოფერებითა, სახიზართაგან მოკრიბა „ძუ ვეფხენი, ბოკვერებითა“, „ნაბუნაგარი“ მოძებნეს დამწვარი ნანგრევებითა, ცეცხლი დაანთეს, მოგროვდნენ გარშემო შემოკრებითა, ტაშფანდურაზე გაფიცდა ცეკვები სიმღერებითა!

III

მეთერთმეტე საუკუნე, ათას ოთხმოცდაცხრა წელი, ღმერთმა მოგვცა, როგორც ქრისტე, დავით აღმაშენებელი, ქვეყნის ბურჯი, მტერთა რისხვა, ერის მწვერთნელი და აღმზრდელი, სასიკვდილოდ განწირული, ნათურქალი ქვეყნის მხსნელი, საქართველოს ისტორიის შუქი, დამამშვენებელი.

დავით მეოთხის ხმალს ვაჭებ, ბასრსა, სპილოსძღვის ტარითა, სამშობლოს საზღვრებს მოხაზულს ხმლის წვერით, სისხლის ღვარითა, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ცითა, მითთა და ბარითა, ნიკოფსიიდან გავლებულს თვით დარუბანდის კარიითა, გოგს და მაგოგს რომ ჰკეტავდა, ქართული ხმლით და ფარითა.

მეფეთმეფეს ხალხი გლოცავს, როგორც რჯულთა შემწყნარებელს, ანტიკური რენესანსის ახლად აღმომღორძინებელს, ჰუმანიზმის მეკვლეს, მოძღვარს და გელათის აღმშენებელს, ქრისტიანულ ქვეყანათა წინა ბურჯს და დასაყრდენელს, საქართველოს გადამრჩენელს, აღმშენებელს, ამყვავებელს!

ღმერთმა გაკურთხა ალახის მსახურთა ბედისწერადა, მძლავრი „მესიის მახვილი“ მტერთა მკერდს დასაძგერადა, შენი მახვილი გადასწვდა საქრისტიანოს მხსნელადა, ერთი სიცოცხლე არ კმარა შენს ღვაწლთა აღსაწერადა, თვით მზე ყოვნდება გელათში შენი სურათის ცქერადა.

IV

„დიდგორს“ მოადგა ლაშქარი სამასი ათასიანი, მტერის მოიყოლეს ღრუბელი, ღდე დააბნელეს მზიანი, წინ მოუძლოდა ილაზი, ხმალ - ოქროს ქარქაშიანი, გვერდს უმშვენებენ მცველები ჯაჭვიან-სამკლავიანი, შავფერად ბზინავს ულაყი, შუბლზე თეთრ ვარსკვლავიანი.



ილღაზ სარდალს ყველა იცნობს, ვით ბაღდადის გამგებელსა, ჯვაროსანთა წინააღმდეგ ომში სახელმომხვეველსა, სულთანს მისი იმედი აქვს, ანებივრებს სისხლის მსმელსა; აი, ეხლა კარავთან დგას, უმზერს ველსა, საბრძოლველსა, ჰგავს ქრელს გველსა, მომშხამველსა, თავის ხვრელში ჩასაკველსა.

შავქრელად შემოეფინენ თათრები ქართლის მხარესა, დიდგორს, მანგლისს და თრიალეთს, მახლობელ არე-მარესა; ყიყინა დასცეს მომხდურთა, პირს ჭაფი მოიყარესა, სისხლის ღვრის უინის ოცნებით დარდები უკუყარესა, მათი ხორხოცი ცას მისწვდა, ალახი გაახარესა.

თათრებს სურდათ ემოქმედათ ფსიქიური მანევრითა, ისტერიის კერა შექმნეს თვით საბრძოლო არენითა; მთა და ბარი ზანზარებდა ირგვლივ შემოგარენითა; დავითი ჯარს ამხნევებდა მშვიდი სახის მანერითა, გამარჯვების მტკიცე რწმენით, ხმითა ფოლანდარევითა.

მეფემ და ჯარმა ქართველთა ღმერთს მისცეს აღთქმა, პირობა— შენი შეწევნით, უფალო, გიჩვენოთ გარჯა-გმირობა, უძლეველ ლაშქრის დამხობა, მკვდრის-მკვდარზე შემოყრილობა, ხმალთა არ გვიშლის სიმოკლე, არცა ლაშქართა მცირობა, „მესიის მახვილს“ თანა სდევს განგების გადმობრილობა!

დავით მეფის დარიგება მხედართ გულზე მოიჭიდეს— ერთხელ დაჰკარ ორსა სჯობდეს, ორჯერ დარტყმა არ დასჭირდეს, ფეხი უკან არ გადადგა, როგორც უნდა გაგიჭირდეს, ისე დაჰკარ, რომ ფოლადი მტრის ჩაჩქანზე ცეცხლებს ჰყრიდეს, შენი ჭეჭა ჭეხილს ჰგავდეს, მტარვალს შიშის ურუოლას ჰგვრიდეს!

დავითი მხედრებს ამშვიდებს, ლომი მჭეხარე ხმიანი, უხდება ჩაჩქან-ბევთარი, ქართული ხმალი ფხიანი, მეფეს არ ემორჩილება ლურჯა ლურჯფაფარიანი, სიტყვას არ აცდის, ჭიხვინებს, წასვლა არ უყვარს გვიანი, ტორით მიწას სთხრის, ცეცხლს კვესავს ნიჩბისის რიყე ჭვიანი.



ნიჩბისის ხეცს ჯარი ხერგავს, ხეცსა უკან დასახევსა,
დავით მეფე მტერს უმზადებს საქმეს თავბრუდასახვევსა.
ორას მხედარს წინ გაუშვებს, მტრის ბანაკში შესაღწევსა,
ილღაზ ფიქრობს : მომართმევენ შარბათს ტკბილად დასაღვესა,
გულში როგორ გაივლებენ ფიქრსა ჩემსა დასაძლევსა.

შუა ბანაკში შეუშვებს მხედრები მშვიდად, წყნარადა,
მიუახლოვდნენ სარდლობას და ხმლებმაც ამოანათა,
მიჰხვეტეს მტერი, მიკაფეს, ჩეხეს ცხენ-მხედრიანადა;
რალას დაგაკლებს ურჩხული, დიდიც რომ იყოს ტანადა,
თავს თუ კი დაუზიანებ ილღაზის ჯარისთანათა!

ქართველთ ჯარი ადგილს მოსწყდა, ვით მეწყერი მაღლის მთისა,
მტერს გრიგალი დაატეხა, გრგვინვა ისმის დავითისა,
ვისაც ხმალი მიაწვდინა ყველა მიწას მიათვისა;
თათრის ჯარი დაიფანტა, დაფრთხა, როგორც ფარა თხისა;
აქ გაუწყრათ მაღლი დღისა, მაჰმადის და ალახისა!

დემეტრეს ჯარმა თავს დასცა შიშის ზათქი და ზარია,
მოულოდნელად ეკვთა, თან მოიყოლა ქარია,
მამა და შვილი სისხლს ღვრიან, ბობოქრობს ქართველთ ჯარია,
საკუთარ მიწას იცავენ, მტერთა ნურც მოსახმარია,
ღმერთმა დალოცა ქართველნი, ჯარს გადასწერა ჯგარია.

თვით ბუნება არ შეუნდობს სხვის ქონების მომხვეჭელს,
სხვა ხალხების დამარბეველს, დარბეულთა გადამხვეჭველს,
მოსწყვეტს მეწყერს უმოწყალო თავაწყვეტილთ ამომწყვეტელს,
საკუთარ სახლს თავზე დასცემს, ზედ დაანგრევს სახლს და კედელს,
გზას ჩაუქცევს მიზგითისკენ, სალოცავად შესახვეწველს!

ქართველთ გატეხეს მომხდურნი, ძლიერი დარტყმით, სწორითა,
წითლად შეღებებს ველები სისხლისა დანატბორითა,
გაშმაგებული ცხენები გზას იკაფავენ ტორითა,
გადაშაგჭრელდა მიდამო გაჟღეტილ თათართ მძორითა,
გარბიან თავქუდმოგლეჯით ტყითა, მითითა და გორითა.



მეფეს წელში სისხლი სდგმოდა, ხმლიდან უკუ მონადენი, ქამრის შეხსნით საცნაურ ჰყო, მიწას კოლტად მონადენი, იმ დღეს მეფეს ბრძოლის ველზე გამოუკლეს სამი ცხენი, მეოთხეთი გადაწყვიტა მტერთა ბედის განაჩენი; ის დღე გახდა ქრისტიანულ მსოფლიოსთვის გადამარჩენი!

ცხენდაცხენ სდიეს რბეულთა, ჩეხდნენ და ჟღერდნენ მკვლელებსა, ფებით თელავდნენ ცხენები დახოცილთ გვამებს, წელეებსა, დაჭრილთა კენესა სწვდებოდა ირგვლივ მთებსა და ველებსა, დაჭრილი ილღაზ იმშრალეებს თვალთ ცრემლით დანასცელებსა, ებრძვის და ვერ მორევია სირცხვილის დარდებს მწველებსა.

მთავარსარდალს ილღაზს დაჭრილს, ავად გაშავებდებულს, მტერის ღრუბელი შავად მისდევს, შავი ცხენით გაქენებულს, ერთ დროს ჯვაროსნებთან იმში გაბრწყინებულს, სახელდებულს, ეხლა შიშის შრეოლა უვლის, მტრისგან მკაცრად დამარცხებულს, სახელს დარდობს, ლაყე კვერცხად ბელით ქვაზე დანარცხებულს.

= = =

დიდგორის ველზე დაჭრილებს ღრუბელი მოუჩრდილებდა, უუუუნა წვიმით ქრილობებს მოჰბანდა, მოუგრილებდა, სამშობლოსათვის დაცემულთ ქარი ზედ დაჰფოფინებდა, ჩუმი ჩურჩულით მოსთქვამდა, ზოგჯერ ყრუდ დაიგმინებდა, ამდენი გმირის სიცოცხლეს რა ქარი დაიტირებდა!

= = =

სირიას და პალესტინას იმ დროს ჯვაროსნები ფლობდნენ, მუსულმანნი მის დალაშქვრას ვერ ბედავდნენ, ყოყმანობდნენ, ქართველების ეშინოდათ, ზურგში ჩართყმას მოელოდნენ, დიდგორს მოდგნენ, ფიქრობდნენ, რომ ჯერ გურჯისტანს დაიპყრობდნენ, რომ მოეგოთ, საქართველოს სისხლის ზღვაში ჩაადრჩობდნენ!

= = =

მსოფლიო შემოიარა ხმამ, დაუღლელმა ქებითა, დიდგორის ველზე ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებითა, ლათინურ-სომხურ-არაბულ-სპარსული ლეგენდებითა,



ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი

„მესიის მახვილს“ –დიდ დავითს აქებდნენ გაკვირვებითა
მუსულმანთ უძლეველობის მითი დაემხო რქებითა.

V

მეფე დალაშქრავს თბილისსა, ნაძარცვსა, დამონებულსა;
ათას ას ოცდაორ წელში, ოთხას წელს ტყვედქმნილს, ვნებულსა,
მტერს მოუწირიხავს კისერსა, სიხარბით გაწუწუკებულსა.
თბილისის ციდან გაფანტავს შავი ღრუბლების კრებულსა,
სატახტოდ გამოაცხადებს, მზის სხვებს მონატრებულსა!

სასომხეთის მატინანე, თვით სომეხი უპირადელი,
გვაძლევს ცნობას, რომ სომხეთში ომი მოხდა საკვირველი,
დავით მეფემ გაუთენა სომხებს დილა სანატრელი,
სამოცი წლის ტყვედქმნილ ანისს მოველინა გამომხსნელი
და მეჩეთად ქცეულ ტაძრის ლოცვა-წირვის აღმდგენელი.

დავითმა თურქებს სომხეთში თავს დაატეხა გრივალი,
წაართვა ძველი ციხენი: გაგი და ტორენაკალი,
მანასგომნი და ქავაზნი, ნორბელი, ტალინჯაქარი.
ოცი ათას თურქს გაუღეტილს აღარ აღირსა სახლ-კარი,
სასომხეთიდან ქართველთა ისპაჰანს დასცეს თავზარი.

*** **

„ვინ ნაქარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარეთ გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა, გულზედან ხელი დამესხნეს“.

ნო შ რ ე ვ ა ნ გ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

სანტა-როზა. კალიფორნია (ა.შ.შ.)

*** **

თ ა ვ ი III

პ ო ე ზ ი ა ს ა კ ვ ე ბ ი ა ს უ ლ ი ს ა



სახელი, დიდება და თაყვანი
ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს

შენ მოგვიშუშე წყლული მტკივანი,
ქართველს ხრმალი შენ გამოუპირე,
სახელი შენდა, დიდო ივანე,
ჩვენო ხანძთელო და ეფრემ მცირე.

ჩვენ არ გახლავართ ბედის მჩივანი,
სამშობლოს თავი რადგან შესწირე,
დიდება შენდა, მხნეო ივანე,
ჩვენო ხანძთელო და ეფრემ მცირე.

გამარჯვებისკენ მძლედ მომყივანეე,
შენ დასცი ივერთ მოპირდაპირე,
თაყვანი შენდა, წმინდა ივანეე,
ჩვენო ხანძთელო და ეფრემ მცირეე.

აპრილი 27, 1984.

* * *

ი ყ ო ს უ ლ ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი

საცოდავი ტერენტი,
უბედური გრანელი,
ფიქრიანი-ჯერ ერთი,
მერე: ჩუმი, რა ნელი...

*

ის სიკვდილის მსტოვარი
იყო „გასაკვირალი“,
დასტოვა სახსოვარი
ლექსი: „მთასა მყვირალი“...

*

ბარად ჩამოვარდნილი,
უმეუღლოდ, ცალადა,
ქარიშხლად მოვარდნილი
მითიური ბალადა...

სულ საფლავს ნატრობდა,
სევდა-ნაღვლით მოცული,
პოეზია ათრობდა,
ზენაარით მოსული...

*

მას თბილისი უყვარდა
და სიკვდილიც აქ სურდა,
ცხოვრებამ არ უვარდა
და რაც სურდა აღსრულდა...

*

მოკვდა ახლოს თბილისთან,
საფლავიც აქ იპოვა,
უკვდავების თილისმა
მაინც არ მოითხოვა...



მაგრამ ხალხმა მოძებნა
დაკარგული საფლავი,
იქ ღრუბლები ძონძებად
მოჩანდა, გულსაკლავი...

*

ძვლები ამოლაგეს,
(სევდებმა დაიგუბეს)
სხვაგან გადალაგეს:
მიაბარეს დიდუბეს!..

*

მას სიკვდილი უნდოდა,
მაგრამ გახდა უკვდავი;

არ მოსულა უღვთოდ
დიდება აუწყავი... ზიზღითყა

*

მაგრამ მაინც მარტოა
აქ ტერენტი გრანელი,
რა ულორტი და რა რტოა,
რა წყნარი და რა ნელი!..

*

სული სიმპათიური,
სიტყვა ნაირ-ნაირი,
გამოხედვა ღვთიური,
იყო სულ სხვანაირი...

გივი შაორელი

აპრილის 14, 1988 ვაშინგტონი-ტაკომაპარკი.

არ გვინდა ფიქრი

არ გვინდა ფიქრი, არ გვინდა
გლოვა,
ეს სიკვდილი ხომ ჩვენთანაც
მოვა.
კარგად მისმინე შირაზის
ვარდო,
აღარ იფიქრო, აღარ იდარდო.
რიღასთვის სტირი, გაშალე წარბი,

იყავ გულღია და არა ხარბი,
თორემ დასკვნები, ვით ბალ-
ჩის ვარდი.
არას გიშველის წარსულზე
დარდი.
მა, გამიღიმე, გაშალე გული,
გამოიყენე დრო დაკარგული.

რა არის ჩვენი სიცოცხლე

რა სწრაფად ქრება სიცოცხლე, მიდის და მიიპარება.
გაივლის მრავალი წელი, საფლავიც დაიბარება.
ამოვა ხე და მის ნაყოფს იგემებს ნორჩი თაობა.
რა არის ჩვენი სიცოცხლე? – ფუჭი და არარაობა.



გ უ გ უ ნ ე ბ ს თ ბ ი ლ ის ი

გუგუნებს, გუგუნებს თბილისის ქუჩები. ყვავილი, ყვავილი ასი. ჰა, ჩამოვიკა ქართველის დედამაც, თან ხელში უპყრია თასი. სახე არ უღიმის, ნაღვლიანია, რისთვის ჩაუტყვამს თაღხი?! რეკავან ზარები, სამშობლოს უხმობენ, ბობოქრობს, ბობოქრობს ხალხი.

ზამთრის სურათი

უკვე გამოზაფხულდა

თოვს...თოვს...როგორ თოვს!
თოვლის ფიფქი კაბას ქსოვს.
ფანტელების მაქმანები
იკეცება მეტრებად,
ჩემ სამშობლოს ღამაზე ზამთარს,
ნატავ რა შეედრება?!

ბაღში კვირტმა იფეთქა,
გამოაღეთ კარია.
გოგოვ, დროა იმღერო
სიყვარულის არია.
უკვე გამოზაფხულდა,
ხედავ კარგი დარია,
ალბათ, ეს მახალისებს,
ალბათ, ეს მიხარია.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

სიმშვენიერე?! არ ნახულია. აფეთქდა ნუში, ყვავილობს ია, მინდორი ყველა გადახნულია. გარეთ გამოდით, გაზაფხულია!

თ ი ნ ა ჩ ი ა ნ ი

1988. X. პარაზი

ქ რ ის ქ ა რ ი

ღმუის ქარი, მთის აფთარი,
კორდებიდან წამომდგარი,
არბევს ქალებს, არბევს ზეგნებს
თავაწყვეტით უდგარი.
უსვენარი, ფრთებ მაგარი
ცეკვავს ველზე ბობოქარი,
ტყე-ღრეების მდგმურ ჭინკებთან
ღრეობს ვნებით ჯადოქარი.

დაქრის ქარი, შფოთვის დარი,
მთა-ხევეებით ნამუხლარი,
საფლავებთან ბნელ ღამეში
ოხვრა-კენესით მოუბარი.
უსტვენს ქარი გულმწუხარი,
ობოლ სულის მეგობარი,
ბორგავს ზღვებზე, მყინვარებთან
დაძრწის ოხვრით უსაფარი.



უცხო მგზავრი, გაუხარი,
დაქრის ქარი, ბობოქარი,

უთვისტომოს ძმობს და აუბრუნელნი
მწუხარ სულის მეგობარნი

ჩ ე მ ი წ უ ხ ი ლ ი

თუნდ იცხოვრე საუკუნე,
თუნდაც მხოლოდ ათი წელი,
ჰე, ძმობილო, მითხარ ერთი:
რაა ქვეყნად სანატრელი?

მას ვეძებდი, რასაც ჰქვია
ერთობა და სიყვარული
და ჩემს გულშიც ამისათვის
სითბოც მქონდა შენახული.

მჯეროდა, რომ ეს ქვეყანა
მართლაც იყო ღვთისნიერი,
გარედან ხომ ისე მოჩანს,
ვით სამოთხე მშვენიერი.

მაგრამ, ძმაო, სადაც ვიყავ,
ვერსად ვნახე, რაც მე მწამდა
და ცხოვრების შუა გზაზე
ლღე მზიანი დამიღამდა.

მაგრამ, თურმე, რომ გაქექავ,
იგრძნობ, არის ცრუ, ოხერი,
თვალთმაქცობით მოელვარე,
მატყუარა და ცბიერი.

დაქეცა სურვა და ხალისიც
და თვით გულის ლოცვა წმინდა,
ვეგრძნობ, რომ ყველა იმედები
სიზმარივით გამიფრინდა.

მე სიმართლის ძალა მწამდა,
მას ვეძებდი ქვეყნად მხოლოდ,
ვთქვი: ამისთვის მე არ ვმიშობ,
თუნდ დროებით ჩავიქოლო.

და, ვიგრძენი, რომ ქვეყანა
მთლად ყოფილა უკუღმართი,
და, ამისთვის არ მშორდება
მწუხნარება, ჭირი, დარდი.

სოშო, 1937.

გიორგი ტოგონიძე

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა

ახალგაზრდობავ, ტკბილო ვარდობავ!
ჯანსაღი ტანით, უმანკო სულით -
როცა გიხსენებ, გული მიტკბება,
მოხუცს გადასულს ეჭვებით სრულით.

*

აღვის ხე იყო ის, ანაყარი,
იმედით სავსე, მომავლის მდომი,



ფზიზელი გრძნობა, თან გამკრიახი,
ფეხები მარდი, ვნებით სანდომი.

*

ქრება ყოველი, გზა მიილია,
ცხოვრებამ თვისი წილი დალია,
გავილი ალარ დაგვიბრუნდება,
კერა ცივდება, ბოლო ალია!..

*

როს გაგინსენებ, მიყვარხარ, გელი,
თითქოს ზღაპარი იყო ყოველი,
არ იკარგება თითქოს ნექტარი,
კვლავ ქვეყნის ცქერით შვებას მოველი.

*

წყაროს სიცოცხლის და უკვდავების
სადღაც ფარულად ისმის შრიალი.
დამშვიდდი გულო, იკმარე სულო!
ახალგაზრდობის მმართვეს მე ვალი.

ქ ი ა თ უ რ ა ს

შაფ-ქალაქი შავი ქვისა,
ჩემი მშობლების კუთხისა,
ბავშვობიდან შემითვისა,
ყველა მახსოვს ჩემი ხნისა.

შრომა იყო მისი დროშა,
მოქმედება გონიერი,
ხალხი მხნე და გულგახსნილი,
წარმოება ღონიერი.

შუა ქალაქს ხიდი იყო,
დღეში ორჯერ გავდიოდი;
მე ვსწავლობდი იქ ბეჯითად
და სკოლაში დავდიოდი.

სადაც წავალ თან დამყვება
მთა-გორ ზემო იმერეთი,
მიყვარდა, არ დავივიწყებ
მე იმ კეკლესს, ჩემთვის ერთი.

იმ ხიდზე რომ მხნედ ვილოდი,
ქვეშ ყვირილა არ ისვენებს;
გაატარეს ყველა ჩემნი
მალა საფლავს განისვენებს.

მათ ჩამოვთვლი სათითაოდ,
მიძინებულთ სამუდამოდ,
მათ თავს ადგათ ფექრის გორა...
ხსოვნამ სევდა მოაგორა.



მეც წავალ და გავცილდები,
შემეძცევა ჭია თუ რა!
მაგრამ თქვენ ხომ მანდ დარჩებით,
იარსებებს ჭიათურა.

ქიის ხვედრი გვედღებო
თუ ვერ მოველ და გვედღებო
ნუ გამომყოფთ ჩემს მშობლებთან,
მათ ხსოვნასთან შემინახეთ.

ბრიუსელი 1988. ირ. ოთხმეზური

*** **

კ ვ ლ ა ვ ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო

სხვა საქართველო ვერ ნახო,
ვერც უფლისციხე, ვარძია.
ქართლოსიანთა სამკვიდროვ,
ხარ ედემისა ვარდია!

მომწყვტეს შენს ტკბილ ძუძუებს,
შორიდან გეალერსები.

ძნელი ყოფილა სიბერე,
სიკვდილთან შებმა-კვეთება,
ვისაც არ უყვარს სიცოცხლე,
სხვა როგორ შეუყვარდება.

მოვიდა ახალი წელი,
წინ გვიდევს ბუნიაობა,
სამშობლოვ, ღმერთმაც დაგლოცოს,
გიმრავლოს შევითა თაობა;

ათასი მქონდეს, თოლიგე,
ყველა თავს შემოგვლებია;
შენია, შენვე მიილე,
სამშობლოვ, რაც კი მშთენია.

შენს ვაყებს გული ფოლადის,
ქალებსა უხვი დედობა,
შენს მტერთა სნება შეჰყროდეთ,
ვერვინ შეგკადროს მტერობა.

მამულო, ვინც ვერ ვიგუებს,
მან ნურც მოვიძღვნას ლექსები,

შვილთა ამაგით აგვსოდეს:
ბელელ-მარნები, სახლობა,
გედგეს ნათლობა ქორწილი,
პურობა, ნადიმ-ლხინობა!..

პარიზი 1989. პერვეისელი

*** **

ს უ ლ ო დ ა ი ც ა . . .

საით მიილტვი სულო, დაიცა,
სულო მბორგავო შესდექ,
ცხრა კართავენი თუნდაც დაეცეს,
უნდა ელოდე შემდეგს.

სულო ვასდიე სალი კლდის არწივს,
ლაყვარდში შეება იცან,
ვარსკვლავთა წალკოტს ოცნებით
ასწვდი
და ეამბორე მიწას.



აუწყებთ კლდით პრომეთეს,
დამცხარა მთებში ზვავი,
ადგენებიხარ ცაში კომეტებს
ზევსთან შეკრული ზავით.

სკვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს,
მნათობთა ბადეს გაშლილს;
განგებას შენთვის დაურახტია
ცეცხლის მფრქვეველი რაში.

ჰა, გარიყრემა ცეცხლი დაგინთო
აღდგომა კვირის დამდგეს,
ხამს სინანულის ზღვაში ჩაყვინთო,
მოკვდი და მკვდრეთით აღსდექ!

რა უკვდავების ქნარით გვიგალობ,
ეს რა სამკვიდრო გერგო,
ბოროტებასთან შეურიგალო,
მარადისობის ნერგო.

საით მიისწრაფი სულო, დაიცა,
სულო მბორგავო შესდექ,
წმინდა ლაყვარდიც უნდა გაიცრას,
რომ მიემთხვიოს ედემს.

მ ე ლ რ ე ბ ა

შენ გევედრები სულით გლახაკი,
ვინმე დეენილი სიმართლისათვის,
თუმც ვერ ვამრავლე სამსხვერპლო ხარკი,
ველარ გავიღე თავი ღვთისათვის.

გამოუთქმელო წმინდა საბაოთ,
თვალაპყრობილი მოგმართავ ზენარს,
მასმინე სიტყვა დაუსაბამო,
ნუ ამარიდებ მშობლიურ მზერას.

არ მითხოვია შავი დღისათვის:
თვალის წილ თვალი, კბილის წილ კბილი,
არ განმიკითხო ცოდვებისათვის,
არ განმიტეო უძღები შვილი.



ოდეს გირეკდე, განმიღე კარი.
ელვაგ, ღრუბლებში შემოპარულო
და განმიახლე სულის საყდარი,
სასოებაო და სიხარულო.

ოდეს გაისმა: „იყავნ ნათელი“,
აღენტო ჭალი მზიანი ღამის,
აელდა თვალი, ტაძრის საკმელი,
განმმარტებელი სანთელი გვამის.

შენ მიანიჭე ნათელი იმ მზეს,
რადგან გწადია, ჩვენც გაგიმზვედეთ,
რომ იმავ თვალით, რომლითაც გვიმზერ,
შენვე გხედავდეთ, შენვე გვიმზერდეთ.

მაშ რაღას ვაქნევ წელთა სიბერეს,
რაღას დამაკლებს ჟამთა დინება,
თუკი მეოხად ხმა შენმიერი
და შენი მადლი მომეფინება.

სული შარტილი აღვაპყარ შენდა,
ოდითგან ქმნილი შენეულ ხატად,
გულის სიღრმეში დაფარულს ხედავ,
დაფარულთათვის მომაგებ ცხადად.

და დაღარული თუ გაცხადდების,
იმ პირველსიტყვის მადლით მთოვარო,
ღირსად მყავ შენი გამოცხადების,
დამბადებულო და მაცხოვარო.

თუ სიღიადე იმ პირველთქმულის,
საღვთო სინედლის არის პირობა,
მომმადლე ლექსით აღვსებულ გულის
დაუშრეტელი ოქროპირობა.

ცდაში მარჯვენა არ მომიცარო,
აბჯრად ამასხი ძალი თმენისა,
უკვდავებისა შთამასვი წყარო,
შემასხი ფრთენი აღმაფრენისა.

და მაშინ ვიტყვი, მსხვერპლი შენთვისაც
ეკლიან გზებზე ავათავთავე,
რადგან, ვით სულის, ნაღდი ლექსისაც
სასუფეველი არის სათავე.



იმედი იგი ყოვლის მძლეველი,
მეოხად ჩვენდა შენგან ისახვის,
რადგან კაცთაგან შეუძლებელი,
შასაძლებელი არის ღვთისათვის.

ქეშმარიტების მიჯნურთა მწდეთ,
ბჭეთა დახშულთა ლოცვავ ფარულთ,
მარადი მამის მარადო ძეთ,
რწმენავ, იმედო და სიყვარულთ.

მ ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა

თ ა ვ ი IV

ქ ა რ თ უ ლ ი ხ უ რ ო თ მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა

საქართველო მდიდარი წარსულის ქვეყანაა. მას მეტად დიდი ხნის ისტორია აქვს. ქართველები, განსხვავებით ბევრ სხვა ხალხთაგან, ის ერია, რომელიც არსაიდან მოსულა; მათი წინაპრები ყოველთვის აქ ცხოვრობდნენ და აქვე დარჩნენ. ისტორიული მეცნიერების სხვადასხვა დარგების მიღწევებს თუ გავითვალისწინებთ, ვნახავთ, რომ ქართველების წინაპრებს განვითარების ყოველი საფეხური აქა აქვთ გავლილი. არქეოლოგებმა მრავალ ადგილას მიაკვლიეს ადამიანის საცხოვრებელს, დაწყებული პალეოლითური ხანიდან. მათი საცხოვრებლების განხილვა მხოლოდ მშენებლობის თვალსაზრისითაა საინტერესო. არქიტექტურის ისტორია კი ფაქტიურად იწყება ჩვენს ერამდე V - IV ათასწლეულებიდან. ეს ის ეპოქაა, როდესაც ადამიანმა მეურნეობას ხელი მოჰკიდა და დასახლდა ისეთ შემადლებებზე, რომელთაც სამი მხრიდან ხევი აკრავდათ, ხოლო მეოთხე თვითონ გადაჭრა. ასეთი თხრილით და ხევებით შემოფარგლული ტერიტორია თავისთავად სიმაგრეს წარმოადგენდა. შიგ მდებარე სოფელი, ერთ-ერთი მათგანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (ქ ვ ა ც ხ ე ლ ე ბ ი ს), შედგებოდა წრიული და ოთხკუთხა შენობებისაგან, რომელთაც ალიზისაგან აგებდნენ, ან დაწული, ხის სარებით გამაგრებული და ორივე მხრიდან შეღესილი კედლებით. სახლი ერთი მოზრდილი ოთახისა და აივნისაგან შედგებოდა. ოთახის ცენტრში კერაა. იქვეა დედაბოძი, რომელზედაც ბრტყელი სახურავი ეყრდნობა. ეს შენობა ერთგვარ



სიახლოვეს იჩენს ეგეოსის ზღვის არეში გავრცელებული მენობის ტიპთან.

დაახლოებით მესამე ათასწლეულს მიეკუთვნება აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ე. წ. ციკლოპური ნაგებობები. დარჩენილია ნასახლარები და ნაციხარები, სადაც განცვიფრებთ რამდენიმე ტონიანი ქვით ნაგები უზარმაზარი კედლები.

დაახლოებით იმავე ხანებში იდგმებოდა მენჰირები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით დღესაც ბევრია შემორჩენილი.

გავრცელებული ყოფილა დოლმენის ტიპის სამარხებიც. ხუთი დიდი ქვით ნაგები დოლმენები ბლომადაა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. ისინი საცხოვრებელი ნაგებობების იერსაც ატარებენ.

ჯერ ბრინჯაოსა და შემდეგ რკინის იარაღის შემოღებამ თანდათანობით შეცვალა ქვის დამუშავების საკითხი და თვით არქიტექტურაც.

გარდატეხა შესამჩნევი ხდება საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI - IV საუკუნეებში ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ. ეს იყო ი ბ ე რ ი ა (აღმოსავლეთი საქართველო) და კ ო ლ ხ ე თ ი (დასავლეთი საქართველო). სახელმწიფოს ჩამოყალიბებას თან სდევს ქალაქების გაჩენა.

არქეოლოგიურმა გათხრებმა ანტიკური პერიოდის მრავალი ქალაქი გამოავლინა და დაადასტურა ადგილობრივი თუ უცხოური ისტორიული წყაროების ცნობები მათ შესახებ. კერძოდ, ბერძენი და რომაელი ავტორები: ქსენოფონტე (ძვ. წ. V - IV სს), სტრაბონი (ძვ. და ახ. წ. მიჯნაზე), ვიტრუვიუსი (ძვ. წ. I ს) და სხვები გვატყობინებენ, რომ იმ დროის საქართველოში იყვნენ დიდი გამაგრებული ქალაქები, სასახლეები, კოშკები, საცხოვრებელი სახლები და სხ.

სტრაბონის სიტყვებით, იბერიაში სოფლები და ქალაქები კარგად იყვნენ გაშენებულნი და სახლებს კრამიტის სახურავი ჰქონდათ. მისივე ცნობით, იმავე პერიოდის გალიასა და ესპანეთში სახლები ჩალითა და ყავრით იყო დახურული. ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი კოლხური სახლი კი ჩვენამდე მოღწეული ე. წ. გლეხის დარბაზის პროტოტიპი უნდა იყოს.

როგორც ირკვევა, ქართული არქიტექტურისათვის ცენტრალური გადაწყვეტა აღრიდანვე იყო დამახასიათებელი.

ანტიკური იბერიის დედაქალაქი მცხეთა მდებარეობდა მტკვრისა და არაგვის შესართავთან. ამ ცენტრს სამი ხეობა ადგება და

სამივე ცხე-ქალაქით იყო გამაგრებული. ამ ძეგლების გათხრებმა ბევრი საინტერესო არქიტექტურული ძეგლი გამოავლინა. მათგანის, არმაზციხის ტერიტორია 30 ჰექტარი ფართობით, თლილი ქვისა და ალიზის სქელი კედლებით იყო შემოსაზღვრული; შიგნით კი სხვადასხვა ხასიათის მრავალ ნაგებობაში გამოირჩევა ე. წ. სვეტებიანი დარბაზი.

ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე-მესამე საუკუნეებით თარიღდება არმაზისხევის აბანო, რომელიც ცენტრალური გათბობის სისტემაზეა აგებული და თავის ძირით რომაულ თერმებს უკავშირდება.

აღრეანტიკური ხანის ქალაქებიდან აღსანიშნავია ვანის ნაქალაქარი, დასავლეთ საქართველოში. აქ მიკვლეული ქალაქის ნაშთები მეტყველებენ მშენებლობის მაღალ ტექნიკაზე. ზოგი არქიტექტურული დეტალი კი აშკარად მოწმობს ვანელთა მჭიდრო კავშირს ელინისტურ სამყაროსთან.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება აგრეთვე კლდეში ნაკვეთი ქალაქი **უფლისციხე**, რომელიც მდებარეობს შუა ქართლში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

კლდეში კვეთა საერთოდ წინააზიურ არქიტექტურას უკავშირდება. კერძოდ, ტექნიკური კავშირი კი ურარტუსთან უფრო შეინიშნება. მთლიანად კლდეში ნაკვეთი უფლისციხეს ნანგრევებში კარგად ემჩნევა ერთიანი დაგეგმარება. შერჩენილი დარბაზებიდან აღსანიშნავია სამხრეთით მდებარე, მაღალი და განიერი, კამაროვანი დარბაზი. იგი კამარის კესონური დამუშავებით **II - III** საუკუნეების რომაულ არქიტექტურას უახლოვდება. არის კიდევ დიდი და პატარა რამდენიმე დარბაზი, რომელთაც კოჭოვანი გადახურვა აქვთ. ეს დარბაზები ხის არქიტექტურის მიბაძვითაა გაკეთებული და ამდენად ჩვენ საშუალება გვძლევს იმ დროის საცხოვრებელი ნაგებობებიც წარმოვიდგინოთ.

ასევე, გვიანანტიკური ხანის დასაწყისის სახლებზე ერთგვარ წარმოდგენას იძლევა პირველი საუკუნის ბოლოს აგებული მცხეთის აკლდამა. ამ დიდი ქვით ნაგები პატარა ნაგებობის ფასადი შეიცავს ისეთ დამახასიათებელ ფორმებს, რომლებსაც ვხედავთ მომდევნო ეპოქის არქიტექტურაშიაც.

ქრისტიანული ხანა. საქართველოს ისტორიაში საერთოდ და კერძოდ ხელოვნებაში რადიკალური გარდატეხა ხდება წარმართული რელიგიის ქრისტიანული რელიგიით შეცვლისას. ქრისტიანული

რელიგიის ოფიციალური აღიარება მოხდა **IV** საუკუნის ოცდამეექვსე წლებში და ამავე პერიოდს ემთხვევა აგრეთვე ფეოდალიზმის განხორციელება რომლის სრული გამარჯვება ხდება **VI** საუკ. დასაწყისში.

განსხვავებით წინა საუკუნეებისა, შუა საუკუნეების არქიტექტურული ნაგებობები უფრო მეტია შერჩენილი და უკეთადაა დაცული. შუა საუკუნეების არქიტ. იყოფა შემდეგ ძირითად ეტაპად:

1) ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურა **IV** საუკუნიდან **VII** ს-ის შუა წლებამდე. ეს ქართული არქიტექტურის პირველი ბრწყინვალე პერიოდაა.

2) ე. წ. გარდამავალი ხანის არქიტექტურა **VII** ს-ს მეორე ნახევრიდან მეათე ს-ს ნახევრამდე. ამ პერიოდში ჩანს ძველი ფორმების უკუგდება, ძიებები და ახალი სტილის შექმნა.

3) განვითარებული შუა საუკუნეების არქიტექტურა ანუ შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მეორე აყვავების ხანა — მეათე საუკ. მეორე ნახევრიდან **XIII - XIV** საუკუნეთა მიჯნამდე. ქრონოლოგიურად იგი ემთხვევა დასავლეთ ევროპაში რომანული ხელოვნების საუკუნეებს და გოთური ხელოვნების დასაწყისს.

4) გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურა **XIV - XVIII** საუკუნეები. ეს ის ხანაა, როდესაც აგრესიული ძალებით გარშემორტყმული ქვეყანა, სამეფო-სამთავრობად დაქუცმაცებული, მხოლოდღა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის იბრძვის, დასავლეთი კი ამ დროს შესამჩნევად წინაა წასული, იქ რენესანსი ვითარდება.

IV-VII ს-ში ფაქტიურად ყალიბდება ეროვნული კულტურა. ამ სფეროდან აღსანიშნავია დამწერლობა, რომელიც **V** ს-ს მიეკუთვნება. შერჩენილი ნიმუშებიდან ერთი მდებარეობს ჩვენს ტერიტორიაზე, ბოლნისის ბაზილიკის კედელზე, მეორე კი პალესტინის ქართული ტაძრის იატაკზეა და იგი **1950**-ან წლებში იტალიელებმა აღმოაჩინეს.

ქრისტიანობის შემოდებამ ახალი ამოცანები დაუყენა ქართულ არქიტექტურასა და საერთოდ ხელოვნებას. ამ ახალ რელიგიას სხვა ქვეყნებიდან თან მოჰყვა კულტის მსახურებისათვის საჭირო ნაგებობათა ფორმებიც. ასეთი იყო ბაზილიკის თემა. ეს შენობა თვისი ტიპით გრძელია და პრინციპშივე განსხვავდება საქართველოში მანამდე გავრცელებული ცენტრალური გადაწყვეტის, კვადრატს მიახლოებული ფორმისაგან. ამიტომ იგი ქართველმა ოსტატმა კი მიიღო, მაგრამ ადგილობრივ ტრადიციებს დაუახლოვა — დაამოკლა. ბაზილი-

კისათვის დამახასიათებელი დასავლეთის კარი გააუქმა და მხოლოდ გვერდების დასტოვა. ამ თემას მან დაახლოებით ორი საუკუნე უტოვია და შემდეგ მასზე უარი თქვა და დაუბრუნდა ცენტრალურ კომპოზიციას—გუმბათოვან ნაგებობას. ეს ფორმა მისთვის ღვიძლი იყო და შემდეგ იგი არც მოუცილებია. შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა ფაქტიურად გუმბათოვანი არქიტექტურაა.

ქართული ბაზილიკებიდან ყველაზე სრულყოფილია ბოლნისისა, რომლის მშენებლობა დაამთავრა დავით ეპისკოპოსმა 493 წელს. ბაზილიკა სამ ნავეიანია, შესასვლელებით გვერდებზე. მისი საკუთხეველი მხოლოდ ერთი აფსიდისაგან შედგება, რადგან ჯერ კიდევ არ იყო საეკლესიო რიტუალი ჩამოყალიბებული. მისი დამხმარე სათავსოები სხვა ეკლესიებში მომდევნო წლებში შეიქმნა. ამ ეპოქაში ეკლესიების ინტერიერის მორთვის საკითხი იდგა დღის წესრიგში, ფასადებისა კი:— არა.

გავიდა კიდევ ერთი საუკუნე და ქართულმა არქიტექტურამ მიადწია თავისი განვითარების მაღალ წერტილს: შეიქმნა მცხეთის ჯგვარი, ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობის სრულყოფილი ნიმუში. იგი გეგმის კომპაქტურობით, კომპოზიციის ჰარმონიულობით, ინტერიერის და ექსტერიერის მორთულობით ქართული არქიტექტურის კლასიკური ძეგლია. მცხეთის ჯვარი აგებულია სტეფანოზ ერისმთავრის მიერ 586 - 604 წლებში. იგი დგას არაგვისა და მტკვრის შესართავთან და მაღლიდან დაჰყურებს მცხეთას. მისი ავტორი იმდენად დიდი გემოვნებისა იყო, რომ მაღალი მთის წვერზე სანახევროდ ხელოვნურად შექმნა საფუძველი, რათა მთის სილუეტი კომპოზიციურად დაემთავრებია. მართლაც, ასეთი შეწყობილი კომპოზიცია იშვიათად შეუქმნია ადამიანის ხელს.

ტაძარი შიგნით ტეტრაკონქია გეგმით, მის შუაში დგას იმ ვაზის ჯვრის კვარცხლბეკი, რომელიც, გადმოცემით, ალუმართავს წმ ნინოს IV საუკუნის ოციან წლებში, ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების პირველ მომენტში. ცენტრში აღმართულია გუმბათი, რომელიც კედლებს ეყრდნობა. შენობის კუთხეები სხვადასხვა დანიშნულების თითო კვადრატული სათავსოა.

ტაძრის გარეგნული სახე ნათლად ასახავს სივრცის შიგა დანაწევრებას. შიგა და გარე ფორმები მხატვრულადაა გააზრებული, ურთიერთ შეხამებული. არქიტექტორს ფასადების მორთვა კარგად აქვს გააზრებული. დასავლეთის ფასადს მორთვა არ სჭირდებოდა, რადგ-

ან ქარაფზე დგას. ჩრდილოეთის ფასადს ადრე აქ აგებულე ეკლესია ფარავდა, ხოლო აღმოსავლეთისა და სამხრეთის წინ თეგვიფიფიქა ლი მოედნები იყო და ამიტომ სათანადოდაც მოურთავს.

აღმოსავლეთის შვერილ აფსიდზე სამი ბარელიეფია განლაგებული, ხოლო სამხრეთით, იმავე ღონეზე, ერთი ბარელიეფია. ესენი მშენებელ-დამკვეთთა გამოსახულებებია. თავისთავად რელიეფები ადრექრისტიანული ხანის პლასტიკური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებია. ერთი ბარელიეფი გუმბათის ყელზეა, სამხრეთის მხარეს, თუ ტაძრის ქვედა კორპუსზე დიდებულები მდიდრულ ტანსაცმელშია და წარწერებითაა, გუმბათზე უბრალო ტანსაცმელშია და წარწერის გარეშე. ეტყობა, აქ ხუროთმოძღვარმა თავისთავი გამოსახა, მუხლმოყრილი, ვედრების პოზაში.

მცხეთის ჯვრის ტაძრის ტიპი გავრცელდა მეშვიდე საუკუნის პირველი მეოთხედის მაშინდელ საქართველოში. ასეთებიდან აღსანიშნავია ატენის სიონი, რომელმაც მეათე საუკუნეში ფასადების რეკონსტრუქცია განიცადა, მარტვილის ეკლესია დასავლეთ საქართველოში და ორიც შუამთაში, რომელიც კახეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. თითოეულ ამ ძეგლთაგანს ბევრი საერთო აქვს მცხეთასთან, მაგრამ ამავე დროს ატარებენ თავიანთ ინდივიდუალურ სახეებს.

ქართული არქიტექტურის განვითარების გზაზე შემდეგ დიდ ნაბიჯს ვხედავთ წრომის ტაძარში, რომელიც აგებულია 626 - 634 წლებში. ჯვარის ეკლესიისაგან განსხვავებით, იგი ვაკეზე დგას და კომპოზიციაც სათანადოაა შერჩეული. ესაა გეგმით გრძელ სწორკუთხედში ჩაწერილი ჯვარი, რომლის მხოლოდ საკუთხეველი მთავრდება აფსიდით. წრომის არქიტექტორმა ამ ნაგებობაში ბევრი ისეთი ახალი შემოიღო, რომელმაც ერთგვარად განსაზღვრა მომავალ საუკუნეების გეზი. ამ სიახლეებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს გუმბათისათვის ოთხი თავისუფლად მდგარი საყრდენის შემოღება. ამით კედლები გათავისუფლდა გუმბათისაგან და შიდა სივრცეს ზომები განუსაზღვრელი გახდა. ამავე ტაძარში პირველად ვხვდებით დასავლეთით პატრონიკეს მეორე სართულზე, რომელიც განკუთვნილი იყო დიდებულთათვის, ქალებისათვის, ან მგალობულთათვის. იქვე გამოყენებულია ახალი მესამე ელემენტი—აღმოსავლეთის ფასადზე მდებარე ორი ნიშა. ამ ნიშებს სხვადასხვა ვარიანტით ვხვდებით საუკუნეების განმავლობაში.



წრომში ვხედავთ ნამდვილ ქვის არქიტექტურას. მისი გარე კედლები შემოსილია იშვიათად კარგად თლილი ქვით. დეკორი შიგნით მცირეა. ძირითადად ესაა მოზაიკით დაფარული კონქი და რამდენიმე გრაფიკული ჯვარი. ფასადებზე კი მორთულობის მთავარი ელემენტები გამოყენებულია კარების ირგვლივ. ფასადებიდან გვერდითები მრავალფეროვანია, ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთისა — მარტივი და ლაკონიური. თავისი მხატვრული სრულყოფით გამოირჩევა აღმოსავლეთის ფასადი; დასავლეთისა უფრო მკაცრია კარ-სარკმელების რიტმიული განლაგებით. ტაძარს საუკუნეების განმავლობაში აღარ შერჩა გუმბათი. ახლა რესტავრატორები ცდილობენ მის აღდგენას.

V-VI საუკუნეების საერო არქიტექტურიდან უკეთ შემოგვრჩა ნაქალაქარ უჯარმის ციტადელი, რომელიც სახელგანთქმული მეფის, ვახტანგ გორგასლის მიერაა აგებული. აქ იყო მისი მეორე რეზიდენცია. უჯარმა მდებარეობს კახეთში, მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე. იგი შედგება ზედა ციხისა და ქვედა ვრცელი გალავნისგან. ზედა ციხის ტერიტორიაზე იდგა ეკლესია, სასახლე და სხვა დამხმარე ნაგებობები.

მეშვიდე საუკუნის შუა წლებში საქართველოს არაბები შემოესივნენ და ქვეყანას რამდენიმე საუკუნეში უხდებოდა თავდაცვა. პოლიტიკური სისუსტისა და ეკონომიურად დაქვეითების პერიოდში, ცალკე სამეფო-სამთავროებად დაყოფილ ქვეყანას, ხელოვნებაში დიდი გაქანების საშუალება არ ჰქონდა. მეათე საუკუნის შუა წლებამდე ე. წ. გარდამავალი პერიოლია. იგი ფაქტიურად ახლის ძიების ხანაა. ქართველი, როგორც კი მცირედ ამოისუნთქავდა, მაშინვე აშენებდა ქალაქს, ვაჰყავდა გზები, აგებდა ხიდებს. სამხრეთ საქართველოში, დასავლეთში ე. წ. აფხაზეთის სამეფოში და კახეთშიც კი ბლომად იქნა აგებული ეკლესია-მონასტრები, სადაც იქმნებოდა ორიგინალური თხზულებები და ითარგმნებოდა უცხოური.

აქტიური მოღვაწეობა ამ პერიოდშიც არ შეუწყვეტია უცხო ქვეყნებში მდებარე ქართულ მონასტრებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქართველთა მჭიდრო სულიერ კონტაქტებს წინა აზიისა და დასავლეთის ქვეყნებთან. ადრე არსებულ სამონასტრო ცენტრებს ემატება ახლები. ასეთებიდან აღსანიშნავია **IX** ს-ის ულუმბოს ქართ. მონასტერი მცირე აზიაში, ხოლო **X** ს. მეორე ნახევარში — სინას ნახევარკუნძულზე და ათონის მთაზე.



გარდამავალ ხანაში, ძიების პერიოდში, არქიტექტურაში თადად ძველი რჩება, მაგრამ მიდგომა და გადაწყვეტა ახლებურია. გუმბათოვანი ძეგლებიდან თითოეული ორიგინალურია. ამათგან აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს – გურჯაანის ყველაწმინდას, რომელიც VIII ს- შია აგებული. იგი ორგუმბათოვანია და ერთადერთია მთელს საქართველოში. როგორც ვთქვით, ქართული ტაძრები, როგორც წესი, ერთგუმბათოვანია. ტაძრის გეგმისა და სივრცის გადაწყვეტა ბაზილიკურია და გუმბათებითაა დაგვირგვინებული. შიგნით ცენტრალური დარბაზი ძალზე მაღალია, ხოლო გვერდითი ნაგები ორსართულიანია. ფასადები მცირედაა მორთული. ამ შემთხვევაში გამოიყოფა აღმოსავლეთის ფასადი, რომელიც თაღებითაა დამუშავებული. გუმბათები დაბალყელიანებია და საერთო კომპოზიციას ისე არ აგვირგვინებს, როგორც ამას ვხედავთ სხვა ძეგლებზე. ქართველ ოსტატს მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული ცენტრალური გადაწყვეტა, კომპოზიცია ასხმული ერთ ვერტიკალზე, ამიტომ მან არ მიიღო ნაგებობის ორგუმბათოვანება. ამ ტაძრის ავტორს მიმბაძველი არ გასჩენია.

მომდევნო ხანის საეტაპო ძეგლს წარმოადგენს კ უ მ მ უ რ დ ო ს ტაძარი, რომელიც აგებულია 964 წელს. იგი მდებარეობს ჯავახეთის პლატოზე (ახალციხისა და ვარძიის მიდამოები) და შეიძლება ჩაითვალოს ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ მიღწევად, ხოლო მისი ავტორი, საოცარი–დიდი შემოქმედებითი გაქანების ადამიანად. მისი ნაწარმოები ორი ეპოქის მიჯნაზე დგას. ინტერიერში იგი იყენებს წინა ეპოქაში მიღებულ ხუთაფსიდიან გადაწყვეტას, დასავლეთის გრძელი სწორკუთხედით, ხოლო გარეთ გამოვლენილია სწორკუთხა ჯვარი. ესაა ერთი ამ ახალთაგანი, რომელიც მიღებული იქნა მომდევნო თაობების მიერ. ფასადების მორთვაც ახლებურია. კარ-სარკმელებს შემოყოლილი ჩუქურთმა და რელიეფები ფაქიზადაა შესრულებული. დეკორის ასეთი ფორმა ადრე არ გვხვდება. მორთულობის ფონს კი წარმოადგენს კარგად თლილი ფერადი ქვით შემოსილი კედლები. სამწუხაროდ, ძეგლმა დაზიანებული სახით მოაღწია ჩვენამდე. განსაკუთრებით დასანანია გუმბათის ჩამონგრევა.

X საუკუნის ბოლოს აგებული ერთი საინტერესო ძეგლი დგას შავი ზღვის სანაპიროზე, აფხაზეთის ტერიტორიაზე, ბ ი ჭ ვ ი ნ თ ა - შ ი. ამ პუნქტს საერთოდ დიდი წარსული აქვს. აქ იყო პირველი საუკუნეების საკმაოდ მნიშვნელოვანი ქალაქი. თვით ბიჭვინთის ტაძარში კი XIV - XVI საუკუნეებში იყო დასავლეთ საქართველოს



კათალიკოსთა ტახტი. ტაძარი დიდი ზომისაა. ამ გუმბათოვან ტაძარს სამი შვერილი აფსიდი აქვს და დასავლეთით – ნართებით დასავლეთის მონაკვეთი ორსართულიანია. ზედა სართული პატრონიკეს წარმოადგენდა. გარედან ტაძარი – მაღალი ქვედა ტანით, შვერილი აფრებით, დაბალი გუმბათის ყელით, – იმ ეპოქის სხვა აფხაზეთის ძეგლებთან ერთად, ერთგვარ მსგავსებას იჩენს ბიზანტიურ ნაგებობებთან. სხვა მხრივ კი ისინი ქართული არქიტექტურის განვითარების ერთიან ხაზს მისდევენ.

(გაგრძელება – შემდეგ ნომერში)

ი რ ი ნ ე დ ა ვ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი

*** *** *** *** *** ***

ფ ი ქ რ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ი ს ი ა ზ ე

როდესაც ქართველი ერის ბედზე ფიქრობ, მრავალუცხოვნიან განტოლებას ხედავდე თითქო. გგონია, აჰა, აღზევდა აზრი, არწივივით მოედო ხსოვნის კაბადონს, მოიხილა მიზეზ-შედეგთა ასხმა წარსულიდან აწმყომდე, აწმყოსაც გასცდა და გაანათა გაურკვევლობით მოცული თვალსაწიერი მომავლისა. სინამდვილეში კი მატლივით უტოცია იქ, სადაც საქმე მყობადს შეეხება. წარსულის ანალოგიები მომავალს აღარ გამოადგა, ფანტაზია და ოცნება სინამდვილეში აგვერია და ვერ მიგმხვდარვართ რომ ბედი ერისა კიდევ უფრო ბნელითაა მოცული, ვიდრე ცალკეული ადამიანის ბედი, ვინაიდან ჩვენი ხედვის არეში და ისიც ნაწილობრივ, მარტოოდენ გარდასული ეამი და აწმყოა მოქცეული. მოულოდნელობებით აღსავსე მომავალი კი ისე გვიანხოვდებდა, რომ არ კი ვუწყით, თუ რა მოაქვს, რა არის დაფარული მის წიალში. ადამიანმა არ იცის, თუ ვინ სად სიკეთეს უმზადებს, ან დანას ლესავს მისთვის. ასევე მოვლენათა ფარულმა პროცესმა შესაძლოა, მოულოდნელად ჩინებული ტაროსი დაუყენოს ერის ცხოვრებისა და კულტურის სავარგულებს, ან პირიქით, დასათავთუხებელ ჯეჯილს ლახვარივით ჩასცეს სეტყვა. ადამიანმა დაახლოებით მაინც იცის თავისი სიცოცხლის ხანგრძლივობის შესაძლებელი ფარგლები: ან სჯერა სულის უკვდავებისა, ან ჰგონია, რომ ერთიანად მიწაა, მიწადვე იქცევა და ამის მიხედვით იჭერს თადარიგს. ერის სიცოცხლის ხანგრძლივობის ფარგლებზე კი ვინ მიგვი-

თითოს? ან თუ დასჭირდა, სად ვპოვოთ სენტა მისთა განსაზღვრებულ წამალი? თუმცა თავს გარდასახდენი იღუმალებითაა მოცულნი, მაგრამ ეგ როდი ნიშნავს გულხელდაკრეფილი დაეხვდეთ მომავალს, ნიჩბებს ხელი ვეშვათ და დინებას მივენდოთ.

რადგან საქმე კონკრეტულად ქართველი ერის ბედს შეეხება, ისიც აღვნიშნოთ შემთხვევით რომ არ უთქვამთ ქართველებზე: „მებრძოლი შავი ბედისა“. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება, სანამ ბედისწერას ჩვენთვის ძნელად გასაძლისი გამოცდები არ მოგზავრდება. ღმერთმა სიკეთე ნუ მოგვაცლოს, მაგრამ თუ მომავალში თავს გარდასახდენი ფათერაკი გარდუვალია, თუ კი ისედაც ბინდის ფერი სოფელი, უფრო და უფრო დაგვიბინდდება, ნუმც მომხდარიყოს ის, რაც აროდეს მომხდარა. დაე, განსაცდელთან მებრძოლებად დავრჩეთ მარად, რომ „შეუპოვრად კვლავ ჰუნე ჩვენი შავის ბედის წინ გამოგვიქროლდეს“. უარესისათვის მზად ყოფნა ხომ უკეთესის საწინდარია! ამიტომ მხიარულის გულით ამასაც ვიტყვით: უფალს ვინც უყვარს, განსაცდელსაც მას უმზადებს, ვინაიდან განსაცდელთა ემბაზში განბანილთა ქვრეტაა მისი განცვიფრებისა და აღფრთოვანების უშრეტე წყარო.

წარსული და აწმყო ჩვენი ერისა მეტად თუ ნაკლებად ცნობილია, ათასგზის და ათასგვარად გაანალიზებული, ქართველის ბუნება და ხასიათი ასე თუ ისე გარკვეული და საქართველოს ისტორიული მისიაც რამდენადმდე გათვალსაჩინოებული მათთვის, ვინც ეროვნებათა ისტორიას, მსოფლიოს ერთიან ისტორიასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. ერის მისია კი განისაზღვრება სხვებისაგან გამოსარჩევი იმ თავისებურებებით, მის ხასიათში, მის საქმიანობაში, მისგან მომდინარე იდეებში რომაა მოცემული და რომელიც მას მიაქვს მსოფლიო კულტურის სამსხვერპლოზე როგორც შეთავაზებული, ზოგჯერ კი, საუბედუროდ, როგორც თავს მოხვეული ძღვენი.

დიახ, ასე თუ ისე ძალგვიძს განსაზღვრა იმისა, რითაც წარსულმა გვიმასპინძლა, თუ რანი ვიყავით უწინ და რანი ვართ ამჟამად. მაგრამ წარსულზე ფიქრი, მომავლისათვის მზაობასაც ხომ ნიშნავს?! ჩვენ კი გვაწვალებს არა იმდენად წარსული, რამდენადაც გარდასახდენი. რა გველის მომავალში? როგორი ვიქნებით მერმისში? კვლავაც იმგვარი შემართებით შევეგებებით ბედს, თუკი მრუმე ფერით შეიმოსება იგი? კვლავ თავის შენარჩუნებაზე გვექნება საფიქრალი, თუ იმდენად აღვემართებით, ისეთ ძალას მოვიკ-



რებით, რომ სხვათა იმედად და ხელის მომმართველადაც კარგად ვიქცევით. კმარა წვლებზე ფეხის დგმით თავის შენარჩუნებასზე ფიქრი. დროა დიდ ერად ქცევაზე ოცნების უამმა დარეკოს. დაე, არწივის გაფრენას ედაროს ოცნება იგი, რათა ოცნება მიზნად იქცეს, მიზანი კი საქმედ.

მოდით, ორიოდ სიტყვა ვთქვათ „დიდი ერის“ ჩვენეული გაგებისათვის. „დიდის“ ქვეშ ვგულისხმობთ მისაბაძს, სამაგალითოს და არა სამუდამო პრივილეგიას, ვგულისხმობთ იმ უპირატესობას, ამა თუ იმ ეროვნებასა თუ ხალხს თავისი მონდომებით, ქცევითა თუ საქმიანობით, ხასიათად და მაღალ უნარად რომ უქცევია. ეს თვისებები მისაბაძი ხდება სხვებისათვის და იმ ხალხებმა, დღეს რომ მისგან სწავლობენ და ბევრით არიან დავალებული, ხვალ შესაძლოა გაუთანასწორდნენ ან გადაასწორონ კიდევ მას, რისი მაგალითებიც უამრავია ისტორიაში. ბევრი რამ შეიძლება იყოს მისაბაძი: სიმამაცე, გამტანობა, ერთგულება, სიყვარული, სიბრძნე, შემოქმედებითი უნარი, თავისუფლების მოყვარეობა, ქედუხრელობა, შემწყვალბელობა, ხელგაშლილობა, სიუხვე, კონცენტრაციის, შრომისა და სიძნელეთა გადალახვის უნარი, ორგანიზებულება, მეობის, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის, ამავე დროს სხვათა უფლებებისადმი პატივისცემის გრძნობა და ა. შ.

შესაძლოა გვითხრან: რაოდენობით არა, სულიერი სიმტკიცით, ისტორიითა და კულტურით ისედაც დიდი ერი ხართო. მართლაც, სისასტიკითა და ხანგრძლივობით რომელი ქალაქისა თუ ქვეყნის ბლოკადა შეედრება იმ ბლოკადას, ჩვენს შესამუსრად ალესილმა უსასრულო წყვდიადმან მტრისამან რომ მოგვიწყო და საუკუნეების მანძილზე მოგვწყვიტა ერთმორწმუნე ევროპას. ბლოკადა, არა მარტოდენ სისხლისმღვრელი, არამედ ანტიკულტურულიც; სარწმუნოების, მეობის, კულტურის, სახელმწიფოებრივობის და არსებობის შესანარჩუნებლად ბრძოლისათვის თუ კი შეიძლება რომელიმე ერს „დიდი“ ეწოდოს, უპირველეს ყოვლისა — საქართველოს. არც ერთ მიწას არ განუტღია ასეთი დაწოლა. კავკასიონის მთების საგაზაფხულო წყალდიდობაც ვერ შეედრება აქ დანთხეული სისხლის მდინარეებს, რომელთა ავბედით კალაპოტს განუწყვეტლივ ადავსებდნენ მის მყინვარებზე არანაკლებ მარადიული ომები. განუზომლად დიდია იმ პრიციპების ღირებულება, რისთვისაც საქართველომ ეს სისხლი გაიღო.

მაგრამ ზემოთქმულისათვის „დიდ ერად“ არავის შევეურაცხივართ,



რადგან დიდ ერად მიაჩნიათ არა ის, ვინც საკუთარ ღირსებასა და მეობას იცავს მხოლოდ, რაგინდ ვაჟაკურადაც არსებობს, არაა ძოდან იგი, არამედ ის, ვინც თავისი კულტურითა და იდეებით ხანგრძლივად და ინტენსიურად ზემოქმედებს სხვა ხალხებზე და განაპირობებს მათ განვითარებას. მაგრამ აქამდე რომ ვერ მოვხვდით მსოფლიოს მეთაურ ერთა მცირერიცხოვან ნუსხაში, ეს როდი ნიშნავს, არ ძალგვედვა, ან მომავლისათვის არ ძალგვიძს ამგვარი რამ. საკუთარი მეობისა და ღირსების დაცვისათვის ბრძოლაში სამაგალითო ერს, სხვებზე ნაკლებად როდი ხელეწიფებოდა მეთაურ ერად გადაქცევა, მაგრამ განგებამ და ისტორიამ სულ სხვა მისია დაგვაკისრა. ჩვენი მეობის, რწმენისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებით, რამდენადმე უნდა გაგვეთიშა მუსულმანური გარემოცვა, ჩაგვეკეტა კავკასიონის კარიბჭე და აღგვეკვეთა ანტიკულტურული იმპულსების შეჭრა სამხრეთიდან აღმოსავლეთ ევროპაში. ეს გახლდათ საქართველოს სამეფოს, ასე ვთქვათ, ფარული მისია, ძნელად აღსასრულებელი და საკუთარი კეთილდღეობისათვის არასახარბილო, მაგრამ მსოფლიო კულტურის განვითარებისათვის აუცილებელი. ამ მისიას რომ წარმატებით გაართვა თავი ქართველმა ერმა, მხოლოდ ამისათვის შეიძლება ეწოდოს მას დიდი ერი და ეს ალბათ ასეცაა უფლის თვალში. მაგრამ მსოფლიო ხალხების თვალში ჯერჯერობით ის კი არა ჩანს უფრო, თუ საქმეთა შენთა გამო რისი გაკეთება ვერ შესძლეს საპირისპირო ძალებმა, არამედ ვინ უფრო განავრცო თვისი იდეები და კულტურა სხვა ხალხებში და ამით ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა მიანიჭა მათ. ჩანს უფრო ხილული და არა ფარული სიკეთე.

კულტურულ-ისტორიული მისიის თვალსაზრისით საქართველო უფრო დაფარული სიკეთის ქვეყანაა, რომლის დანიშნულება თვით მის მრავალ საუკეთესო შვილსაც კი არ ჰქონია ბოლომდე გაცნობიერებული. ცნობილია ევროპულ ფილოსოფიაში არსებული აზრი კავკასიის უძველესი მისიის შესახებ, სახელდობრ, რომ კავკასია ევროპის ხალხთა აკვანია. ცნობილია ემანუილ კანტის არც თუ უსაფუძვლო აზრი ქართველთა და ჩერქეზთა როლისათვის ახლოაღმოსავლეთის ხალხთა გაკეთილშობილების საქმეში. მაგრამ ის ამბავი, რომ ოდით-განვე საქართველო იდგა უძველეს სამხრეთელ და უახლეს ჩრდილოელ ხალხებს შორის და თავისი მეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლით არ აძლევდა მათ აღრევის საშუალებას, რათა არ დარღვეულიყო



ხალხების კულტურათა მონაცვლეობისა და თანამიმდევრობის მსოფლიო კანონი, უწყოდნენ მხოლოდ მათ, ვისაც დროისა და ერის სულთა ფარულ, ურთიერთშეთანხმებულ ქმედებათა წვდომა ძალეღვა. კულტურათა მონაცვლეობის ეს წრიული მდინარება ჯერ სამხრეთიდან მოერკალა საქართველოს, ანტიურ პერიოდში დასავლეთიდან მოექცა მას, შემდეგ შუა ევროპაში გადაინაცვლა და როდესაც უკვე გლობალურ მასშტაბებამდე აღზევებული ევროპული კულტურის შესისხლხორცებას შეუღდა, რუსეთი ჩრდილოეთიდან წამოადგა თავს. ასე რომ საქართველო კულტურათა თანამიმდევრობისა და ცნობიერების ევოლუციის ამ წრიული მდინარების ცენტრში იმყოფებოდა. იგი არა მარტოდენ სივრცულ, არამედ განგებით დროთა გამყოფსა და გამწესებელსაც წარმოადგენდა, რადგან ამ ხალხების კულტურათა განვითარებას თავთავისი დრო ჰქონდა განწესებული და მათი აღრევა არც თითოეული მათგანის მისიისა და არც ერთიანი მსოფლიო კულტურის განვითარებისათვის იქნებოდა მიზანშეწონილი.

დიახ, ნებისმიერ ხალხს გააჩნია საკუთარი მისია და თავისი დრო შემოქმედებისა ჟამთა ღინებაში განფენილი ერთიანი საკაცობრიო კულტურის გრადაციის უვრცეს სხმულში. ოდითგან ასე იყო: როდესაც ერთი ხალხი ქმნიდა კულტურას და შემოქმედებითი ენერჯის ხარჯვის პროცესში იმყოფებოდა, მეორე იცდიდა, გარკვეულ დრომდე ცნობიერების ბავშვურ დონეს ინარჩუნებდა და შემოქმედებით ენერჯიას ინახავდა შემდგომისათვის, რათა მარცვლი წინა კულტურათა მონაპოვარისა მიეღო თავის სუფთა, ხელუხლებელ წიაღში, მომავლისათვის ცნობიერების უფრო აღმატებულ დონეზე დასაუფლებლად. უხსოვარი დროიდან ინდოეთის, სპარსეთის, შუამდინარეთის, ეგვიპტის, ისრაელის და არაბეთის სამხრეთელმა ხალხებმა, ურთიერთის მიმდევრობით შექმნეს მსოფლიოს უდიდესი რელიგიები და მათთან დაკავშირებული კულტურები, რომელთაც იგავურ-სიმბოლური, სურათ-ხატოვანი აზროვნება მიუსადაგეს. ცნობიერების ამგვარი დონისათვის უფრო სამხრეთის უზამთრო, მთელი წლის მანძილზე მზით გამთბარი-გასხივოსნებული, შეგრძნების ორგანოებზე ინტენსიურად ზემოქმედი გარემო იყო მიზანშეწონილი და კაცობრიობის ბავშვობისა და სიყრმის ასაკიც უფრო სამხრეთის ხალხების აქტივობასთანაა დამოკიდებული. მუღმივი ზაფხული, ფერთა და ფორმათა განუწყვეტელი მეტამორფოზა გარესამყაროში აღაგზნებდა სამხრეთელთა სამშვინველს, ხოლო გონებას რამდენადმე აბინდებდა. საგანზე ფიქ-

რი კი მაშინ აღიძვრის, როგორც კი მზერას მოაცილებს მისიანს. დროს ჯერ ამ საგნის სურათ-ხატი იშვის ადამიანში, ხოლო შემდეგ აზრები იწყებენ აღმოცენებას, არა უშუალოდ საგნებიდან, არამედ ამგვარ სურათ-ხატებთან დაკავშირებული აზრების მეშვეობით აღგენს ადამიანი სხვაობასა თუ მსგავსებას ფორმათა თუ მოვლენათა შორის, ივითარებს განსჯისა და ცნობადობის უნარს. შეგარძნების ორგანოთა განუწყვეტელი და ინტენსიური დატვირთვა ნაწილობრივ გამორიცხავდა ამგვარ შესაძლებლობას სამხრეთელ ხალხებთან, სურათხატებიდან კვლავ საგნებთან აბრუნებდა მათ, რითაც აფერხებდა აზრების აღმოცენებას. [სამხრეთული, არამისტერიული აზროვნება უფრო საგნისმიერია. ემპირიზმი და მეცნიერული მატერიალიზმი, ყველაფერი, რაც მეტაფიზიკას და წმინდა გონებას დაუპირდაპირდა, ან სკეპტიკურად განეწყო მისადმი, არაბიზმიდან აღმოცენდა. არაბიზმისათვის უცხოა მეტაფიზიკა.] ამიტომ არიან დღესაც სამხრეთელი ხალხები რამდენადმე ინერტილები აზროვნებაში, ვინაიდან გარემოდან გამოთავისუფლების ნაკლები შესაძლებლობა გააჩნიათ. სამაგიეროდ მათ გამახვილებული აქვთ გრძნობები და ხატოვანი აზროვნება. პოეზია და ლოცვითი ექსტაზია მათთვის მეტადრე ახლობელი. გარემოდან ხელოვნურ იზოლირებას ისინი ოდითგანვე ქებაბურების ან უდაბნოთა მეშვეობით ახერხებდნენ, რომელთა სიმკაცრე და ერთფეროვნება რამდენადმე ანელებდა შეგარძნების ორგანოებზე ზემოქმედებას და სამედიტაციოდ განაწყობდა მათ. არსებობდა სხვა ხელოვნული საშუალებებიც. წმინდა აზროვნებას იმყამად მოკლე მედიტაციურ ფორმულებზე კონცენტრაციით ახერხებდნენ, რასაც ხელდასხმული მოძღვრები ხელმძღვანელობდნენ. იმ ხანებში საღი ცნობიერება მხოლოდ მისტერიებს ზიარებული მცირერიცხოვანი ელიტის საკუთრებას წარმოადგენდა.

თანამედროვე განსჯითი და გონითი აზროვნების განვითარებას კი უფრო იმგვარი გარემო შეესატყვისებოდა, სადაც ზაფხული და ზამთარი რამდენადმე გაწონასწორებულია. შემთხვევით როდი მიეწერება ფილოსოფიური და მეცნიერული სისტემების შექმნა ჩრდილოეთის ხალხთა დამსახურებას. კაცობრიობის სიჭარბავისა და დაბრძენების ასაკი სწორედ მათი აქტიურობის ხანას ემთხვევა. დავუკვირდეთ იმ ამბავსაც, რომ წელიწადის ციკლში ადამიანის აზროვნების ინტენსივობის პერიოდი შემოდგომა და ზამთარია. შემთხვევითი არაა, რომ სწავლება ყველგან ზაფხულის პერიოდში წყდებ

ბა და მხოლოდ შემოდგომაზე ახლდება. კაცობრიობა არა განკარგულ
 ბული თეორიების, არამედ ხანგრძლივი ცხოვრებისეული დაკვირვებე-
 ბის შედეგად მივიდა ამგვარ გადაწყვეტილებამდე, ანუ დასკვნამ-
 დე, რომ ზაფხულიდან შემოდგომასა და ზამთარზე გადასვლა გრძნო-
 ბისმიერიდან ცნობიერ ცხოვრებაზე გადასვლას შეესატყვისება და
 არც ამოდ ჩაივლის გაზაფხულისა და ზაფხულის მათეტიტიზებული,
 სამშენიველის ექსტაზში მომყვანი პროცესი. გრძნობათა ორგანო-
 ბის არხებით მართლაცდა ექსტაზად გადმოღვრილი და გარე სამყა-
 როსთან შერწყმისაგან ცნობამიხდილი სამშენიველი, შემოდგომასა
 და ზამთარში კვლავ ადამიანის წიაღს უბრუნდება და ზაფხულის
 მაკროკოსმიურ გრძნობად შთაბეჭდილებებს მიკროკოსმოსად, ანუ მე
 ცნობიერებად გარდაქმნის. სწორედ შემოდგომა და ზამთარია ადა-
 მიანის აზროვნებითი ინტენსივობის პერიოდი, რადგან სითბო, სინა-
 თლე და ფერთა ელვარება კლებულობს, გარე სამყარო იძარცვება და
 შეგრძნების ორგანოებზე ზემოქმედებას ანელებს, რაც თვითჩაღრ-
 მავებასა და „მე“ -ს აქტივობას იწვევს.

ლოგიკური და მეცნიერული აზროვნების განვითარებისათვის ერთობ
 ხელშემწყობი პირობები გააჩნდა ევროპას. გოლფშტრომის თბილი
 დინება, ჩრდილოეთიდან რომ უვლიდა გარს და არხანგელსკთან მთა-
 ვრდებოდა, ზომიერი ჰავით აუნჯებდა და ტუნდრად გადაქცევის
 საშუალებას არ აძლევდა მის ჩრდილოეთ სანაპიროს, ხოლო ხმელთ-
 აშუა ზღვა აგრილებდა, სინესტით მსკვალავდა აფრიკის უდაბნოდან
 მონაბერ ცხელ-მშრალ ქარებს და უდაბნოდ გადაქცევისაგან იფარავ-
 და მისსავე სამხრეთ სანაპიროს. მთელს ევროპაში მეტ-ნაკლებად
 გაწონასწორებული გახლდათ ზაფხულისა და ზამთრის პერიოდები და
 განსჯისმიერი აზროვნების აკვანიც აქ დაირწო.

გარდამავალ პერიოდს ხატოვანიდან განსჯისმიერ აზროვნებაზე
 გადასვლისა ანტიური ხანა წარმოადგენდა. უფრო ძველმა, წინააზ-
 იის, ეგვიპტისა და კრეტის კულტურებმა მისცეს ოდესღაც ბიძგი
 ბერძნული ხატოვან-მითოლოგიური აზროვნების განვითარებას, რომელ-
 ლმაც შემდეგში-შემოქმედებით ძალთა მაქსიმალური ინტენსივობის
 შედეგად, უმაღლესი გამოხატულება ჰპოვა ლიტერატურასა და ხელ-
 ოვნებაში: ჰომეროსის, ჰესიოდეს, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს,
 პრაქსიტელეს, ფიდიასის და სხვათა შემოქმედებაში.

მაგრამ ბერძნებმა გარიყრაყი ხატოვანი აზროვნებით რომ აღნი-
 შნეს, მიმწუხრი თავიანთი კულტურისა ფილოსოფიით დაავიკრვი-

ნეს. შემთხვევით როდი ეკრძალებოდათ პლატონის აკადემიის მშენებლებს ჰომეროსის კითხვა. ჰომეროსის პოეზია ერთთავად ვერცხვამისებრი ლულია მითოლოგიური სახეებით. არაფერი შეგვეშლება თუ კი ვიტყვით, რომ იგი საოცარი პოეტური ფორმით გამოხატული მსოფლიოს სიმბოლურ-მითოლოგიური აზროვნებისა და საკრალური სიბრძნით დაუნჯებელი, ზემთავონებული ზუსტი ფანტაზიის მწვერვალთაგანია. მითოლოგიის ხატოვანი აზროვნება, ოდითგანვე პოეზიისა და ხელოვნების მასაზრდოებელ წყაროს რომ წარმოადგენდა, განუყრელია პოლითეიზმთან. რაც შეეხება წმინდა აზროვნების სპეციფიკას (როგორც ამას ფილოსოფიის განვითარების ისტორია ცხადყოფს), ერთი მხრით, იგი მითოლოგიურ ღმერთებს შესაბამისი ცნებებით ცვლის (მაგალითად, აფროდიტეს, ათენას, არესს სიყვარულის, სიბრძნის და ვაჟკაცობის ცნებით და ა. შ.) და ამკვიდრებს მხოლოდ სამყაროს შემომქმედ ღმერთს, დემიურგს, აბსოლუტურ იდეას, რითაც მონოთეიზმთან მიგვაახლებს. მეორეს მხრივ, სუბიექტურ სამყაროსთან დაკავშირებით მას მეს გაგებამდე მივყავართ. /მხოლოდ ევროპული თეოლოგია, განსაკუთრებით კი თეოსოფია ამთლიანებს სამებად წარმოჩენილ მონოთეიზმსა და ანგელოსთა იერარქიულ კიბედ გარდაქმნილ პოლითეიზმს/. პლატონის აკადემიის ძირეული მიზანი გახლდათ კაცობრიობის (კონკრეტულ შემთხვევაში ბერძნების) მონოთეიზმთან მიყვანა და ამის განმანორციელებელი უებარი საშუალების, წმინდა, ლოგიკური (კონკრეტულ შემთხვევაში, განსჯითი) აზროვნების დანერგვა. ამადაც ჰომეროსის პოემების ხატოვან ენას ხელი არ უნდა შეეშალა აკადემიის შევირდებისათვის ლოგიკური აზროვნების ათვისების საქმეში, რომელიც იმეამად მსოფლიო კულტურის სავესებით ახალ მონაპოვარს წარმოადგენდა. სწორედ ამ აკადემიის შევირდი, არისტოტელე იყო თანამედროვე გაგებით პირველი ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი, რომელმაც შეიმუშავა მეცნიერული აზროვნების მეთოდი, ანუ გამომსახველი საშუალება ფილოსოფიური და მეცნიერული სისტემების გადმოსაცემად. ცნობიერების ამ ახალმა ეტაპმა შვა სიბრძნის საყოველთაო საკუთრებად ქცევის შესაძლებლობა.

როდესაც ანტიური კულტურის მიმწუხრისას ბერძნული ფილოსოფია და რომის იურიპარუდენცია არნახულ პროგრესს განიცდიდა, ჩრდილო და შუა ევროპის ხალხები ჯერ ისევ ბავშვური, ხატოვანი აზროვნების დონეზე იმყოფებოდნენ. წარმართობიდან ქრისტეს სჯულ-



ლად მოქცევის შემდეგ საკმაოდ დიდი უნდა გაეგო, ვიღაცის მიერ ბოლო მათში მარცხალი არა მარტოდენ ბერძნულ-ლათინური, არაბული აგრეთვე არაბული კულტურის მონაპოვარისა. ეროვნული კულტურების აღორძინება ამ რეგიონში რეფორმაციის ეპოქის შემდეგ დაიწყო, რასაც ხელი შეუწყო ბიბლიის თარგმნამ და ლმერთმსახურების შემოღებამ ამ ხალხთა მშობლიურ ენებზე, ლათინური ენის ბატონობისაგან თავის დაღწევამ და მეცნიერული აზროვნების გამოთავისუფლებამ ვატიკანის ზედამხედველობისაგან. წმინდა გონითი და ახლად აღორძინებული ემპირიული მეთოდების გვერდიგვერდ არსებობამ, ემპირიული, განსჯითი და გონითი საწყისების გამთლიანებამ და შემეცნების სამსახურში დაყენებამ უზარმაზარი ძვრები მოახდინა ადამიანის თვითშემეცნებისა და მსოფლშემეცნების სფეროში, რამაც მძლავრი ნახტომი გამოიწვია ფილოსოფიის, მეცნიერებისა და ტექნიკური გამომგონებლობის საქმეში. ტექნიკის განვითარებამ გაზარდა დედამიწაზე გადაადგილების ტემპები და უსაფრთხოება. ამ უკანასკნელმა კი დააჩქარა ახალი მიწების აღმოჩენა, ათვისება, კოლონიზება და გააძლიერა კონტაქტები დედამიწის უმორეს კუთხეებს შორის. თანდათან მთელი მსოფლიო მოექცა ევროპელთა ხედვის არეში, თავისი ხალხებით, ფლორით, ფაუნითა და მინერალურ-წიაღისეული საუფლოთი. ევროპის კულტურამ ერთობ ფართე, გლობალური მასშტაბები მიიღო, რასაც ხელს უწყობდა ზეეროვნული ბუნება და ყოვლისმომცველობა აზროვნებისა. აქედან გამომდინარე, არნახული გაქანება მიიღო ფაქტობრივი მასალების დაგროვებამ, ისტორიის, არქეოლოგიის, გეოგრაფიის, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და სხვა მეცნიერების განვითარებამ. სხვადასხვა ხალხთა და ეპოქათა კულტურები ერთ სიბრტყეზე მოექცა და ადამიანებს მიეცათ მათი რეტროსპექტიური ჰერეტიკის შესაძლებლობა. ანალიზური და სინთეზური აზროვნების ინტენსიფიკაციამ შექმნა საფუძველი სამყაროს მრავალმხრივი შემეცნების ერთიანობაში მოქცევისა და სისტემატიზებისა. დაიძლია გარკვეული სკეპსისი გრძნობათა ორგანოებისა და აზროვნების მიმართ, გახდა ნათელი, რომ დაკვირვების როგორც ფიზიკური, ისე სულიერი ობიექტი არის რეალობა, რომ აზროვნებას ძალუძს შეიმეცნოს საგანი თავისთავად, რომ მეცნიერება უმაღლეს ღონეზე სხვა არაფერია, თუ არა სამყაროთმცოდნეობა, რომელსაც თავად შემოქმედის ლაბორატორიაში შეყავხარ, რომ აზროვნება ერთდროულად არის ობი-

ექტური სამყაროს, ანუ სულიერი და ფიზიკური რეალობის შემცვენების საშუალებაც და როგორც სუბიექტური პროცესი, ელემენტარული მე-ს გამოხატულებაც. ემპირიული დაკვირვებისა და ცდის ობიექტად იქცა არა მარტოდენ ბუნება და გარესამყარო, არამედ თავად აზრები და აზროვნების პროცესი, რამაც გაზარდა მედიტაციის უნარი და სიმახვილე ინტუიტიური წვდომისა, ამ უკანასკნელმა კი გააღრმავა ცოდნა ადამიანისა და მისი სამყაროსადმი მიმართების შესახებ. კაცობრიობა თანდათან უახლოვდებოდა ცნობიერების ახალი ეტაპისა და ახალი უნივერსალური მეცნიერების, ანთროპოსოფიის კარიბჭეს.

მსოფლიოს წამყვან კულტურათა თანამიმდევრობის ქამს ზღაპრების საუფლოში მიკარგული და მხოლოდ კიევისა და ნოვგოროდის სამთავროთა შექმნიდან რუსეთად სახელდებული სკვითეთი იცდიდა. ბერძნული მართლმადიდებლობის მიღებამ თუმცა რამდენადმე გამოაცოცხლა, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოიყვანა იგი ატავისტური ძილქუშიდან, ვერ მოაბრუნა იგი დღის ცნობიერებისაკენ. მისთვის გაწვევებულ დროს ელოდა იგი, ელოდა ვიდრე მსოფლიო კულტურა გლობალურ მასშტაბებს მიაღწევდა, რათა ეროვნული სამშენებლის გაუკვლავ ყამირზე მიეღო იმპულსები მხოლოდ გლობალური ახლებროპული კულტურისა. მანამდე კი იგი დაცული უნდა ყოფილიყო ქრისტიანამდელი რელიგიებისა და კულტურების ზეგავლენისაგან. აქ უნდა ვეძიოთ ერთადერთი ახსნა უკანასკნელის პირველად ქცევის სახარებისეული გამონათქვამისა. ხალხი, რომელიც კულტურათა თანამიმდევრობის პროცესში ყველაზე მეტს იცდის და ინახავს შემოქმედებით ენერგიას, უფრო მასშტაბური კულტურის იმპულსთა მისაღებად ამზადებს თავს და ცხადია წინარე, უკვე კონსერვირებული კულტურების მქონე ხალხებთან შედარებით, მომდევნო ეტაპზე მან სულიერი განვითარების კიდევ უფრო მაღალ დონეს უნდა მიაღწიოს. ოდესღაც მეზობლების მიმართ არააგრესიული, მაგრამ აგრესორთა წინააღმდეგ ნიადაგ მდგრად მებრძოლი საქართველო თითქმის გამორიცხავდა სკვითეთში სამხრეთელი ხალხის შეჭრას და სლავურ მოსახლეობაზე მათი უძველესი კულტურების ზეგავლენას, კულტურებისა, რომელნიც უფრო ეროვნული, ლოკალური ხასიათისანი იყვნენ და რომელთა ზეგავლენა ხელს შეუშლიდა რუსეთს თავისი კუთვნილი და საბოლოო მისიის განხორციელებაში.

შემდგომშიც ჩვენ და სომხები ვიდექით კავკასიონის კარიბჭის



დარაჯებად, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წაწეულ ეთნობუნ-
ტები ქრისტიანობისა და ვაკავებდით ისლამურ ურდოებს. ჩვენს ფა-
რზე ბლაგვდებოდა სიბასრე მათი მახვილისა, ჩვენ ვაცლიდით მათ
კავკასიონის იმიერ მოქმედების უნარს. თუმცა მეათე საუკუნის შემ-
დეგ სომხეთი, როგორც სამეფო აღარ არსებობდა, მაგრამ სომხების
სასახლოდ უნდა ითქვას, რომ საუკუნეების მანძილზე აუტანელი
რელიგიური დევნის მიუხედავად, მათ მაინც შეძლეს ქრისტიანობის
შენარჩუნება. ზემოხსენებულ ისლამურ ურდოებს ისევე ხანგრძლი-
ვად რომ ეთარეშათ რუსეთში, როგორც კავკასიაში დათარეშობდ-
ნენ, შესძლებდა კია იგი ქრისტიანობის შენარჩუნებას? გაუძლებდა
იგი იმგვარ რელიგიურ დევნას, ჩვენ რომ ვიწვინეთ, მით უმეტეს,
რომ ქრისტიანობა რუსეთში არც თუ დიდი ხნის წინათ გახლდათ
ფეხმოკიდებული? ხომ შესძლეს სამხრეთელმა დამპყრობლებმა ჩრდილ-
ოეთ კავკასიის გამუსულმანება? ამგვარი ხვედრი შესაძლოა რუსე-
თსაც არ ასცდნოდა, რადგან ეს ურდოები არა მარტო დამპყრობ-
ლურ, არამედ გააფთრებულ რელიგიურ ომებსაც ეწეოდნენ და თავი-
ანთ რელიგიას ფანატური გულმოდგინებით ახვევდნენ თავს არამუ-
სულმან ხალხებს. ქრისტიანობის დაკარგვით კი წერტილი დაესმე-
ბოდა რუსეთის კულტურის შემდეგ ევოლუციას.

მოგვიანებით თურქეთის იმპერიას, ევროპას რომ აზანზარებ-
და, სამი დაბრკოლება უღობავდა გზას რუსეთისაკენ: შავი ზღვა,
კავკასიონი და საქართველო. ბიზანტიის მსგავსად მათ რომ საქარ-
თველოს სამეფოს მოშლა მოეხერხებიათ, ან ქართველები გაემუსულ-
მანებიათ, ვინდა შეუშლიდათ ხელს ამიერკავკასიის ხალხებთან ერ-
თად თავიანთი იმპერიისათვის შემოემტკიცებინათ ჩრდილოეთ კავ-
კასიის მუსულმანი ხალხები და უშუალოდ, მჭიდროდ დაკავშირებო-
დნენ ხმელეთიდან ყირიმის სახანოს. მაშინ ხომ მთელის ძალებით
და ფართე ფრონტით მიადგებოდნენ რუსეთს, პეტრე პირველამდელ
რუსეთის სამეფოს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰყავდა ევროპულ
ყაიდაზე გაწვრთნილი რეგულარული ჯარები და ყირიმის სახანოსაც
კი ძლივს უმკლავდებოდა?

მხოლოდ პეტრე დიდის რეფორმების შედეგად მოიპოო სამხრე-
თიდან მოსალოდნელი საშიშროება. მისი ენერგიული მცდელობის
შედეგით, არნახული ნახტომი გააკეთა რუსეთმა თავისი განვითარ-
ების გზაზე. ბიზანტიური კულტურის გეზიდან ახალევროპულ გე-
ზისაკენ გადაიხარა იგი. ბალტიის, ხოლო შემდეგ შავ ზღვაზე

გასვლით საბოლოოდ დამკვიდრდა ევროპის ქვეყნების რეგონში, როგორც ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო, ახალი ევროპული მინისტრატული აპარატით, ძლიერი ფლოტით და ევროპულ გაწვრთნილი რეგულარული ჯარით, აღმშენებლობის, მეცნიერებისა და ვაჭრობის ახალი მასშტაბებით.

პეტრე დიდს რომ დაუნანებლად არ გაეწირა ძველი ახლისათვის*), რომ არ შემოეტანა რუსეთში ქრისტიანულ-ანტიურ-არაბული კულტურების სინთეზზე აღმოცენებული ახალი ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის მონაპოვარი, მაშინ რუსეთის მისიაც ამოწურულად ჩაითვლებოდა, როგორც ერთ დროს ბიზანტიისა, რომელმაც ვერ შესძლო ქრისტიანობის ანტიურ კულტურასთან შეწყვილება და გლობალურობისაკენ საეტაპო ნაბიჯის გადადგმა და ამით ქრისტიანობასაც ვერ ჩასწვდა იმ დონეზე, რა დონესაც ეპოქა მოითხოვდა; ქრისტიანული კულტურის ქვეშაირი გაგება სცილდება ბიბლიის ფარგლებს, რამეთუ მაღალი გაგებით იგი კულტურათა სინთეზის კულტურაა. პეტრე დიდმა დაიწყო იქ, სადაც ბიზანტიის ერის სულმა დაასრულა თავისი მოქმედება და ძილქუშიდან იძულებით გამოყვანილ რუსეთს, ევროპული მღვიძარებითა და ქმედითობით აუცრა სამშენებელი, რითაც მისი მომავალი უზრუნველყო: პეტრე დიდის გარეშე ხომ არც ლომონოსოვი**) იქნებოდა. ლომონოსოვის გარეშე კი არც მთელი შემდგომი რუსული ლიტერატურა და მეცნიერება.

ასე რომ, პეტრე დიდის რეფორმებთან ერთად დასრულდა საქართველოს ფარული მისია რუსეთის მიმართ, გარეგნულად თითქმის მთელი მისი ისტორიის მანძილზე, უმძიმეს პირობებში საკუთარი ღირსების, მეობის, სარწმუნოებისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში რომ გამოიხატებოდა. ამ მისიას, როგორც ადრე აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო კულტურის შემდგომი ევოლუციისათვის. ამის შემდეგ ქართველი ხალხის მომავალი მთლიანად არის და იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შესძლებს იგი თავისი ახალი, არაფარული, არამედ უკვე თვალსაჩინო მისიის განხორციელებას, რათა მსოფლიოს ხალხთა თვალშიც იქცეს მისაბამი ვერად. დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია თავის ერთ-ერთ ადრინდელ წერილში აღნიშნავდა: ქართველი ხალხი უფრო აღმქმელი, მსოფლიო კულტურის უფრო მაღალ დონეზე ამთავისებელიაო, ვიდრე სხვა ხალხთა კულტურებზე აქტიურად ზემომქმედი. მართლაც, ოდითგანვე ქართველობამ მაღალ დონეზე

 ათვისა და ურთიერთთან შეაჯერა დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურები. სხვადასხვა კულტურების ურთიერთთან შეჯერების საშუალო ძველთაგანვე მოსდგამდა მას და ამიტომაც რენესანსის ერთ-ერთი პიონერები ქართველები იყვნენ. რენესანსის კულტურის თავური იდეა, წარმართული კულტურის განახლება და აღორძინება, ქრისტიანობასთან მისი მორიგებით, ქართველ ხალხში იმთავითვე იყო გამჯდარი არა როგორც რაიმე აბსტრაქცია, არამედ ვითარცა მისივე ბუნების გამომხატველი არსისეული საწყისი. არსად ისე არ შეზრდია ქრისტიანობას ადგილობრივი წარმართობა, როგორც საქართველოში. ქართველ კაცს არ მიუღია ქრისტიანობა თავისი კოსმიური და კაცობრიული წარმოდგენებისაგან მოწყვეტით. ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მასში ცოცხლობდა ქრისტეს მარადიული არსებობის, მისი პირველითგან ყოფნის იდეა /აქ საუბარია ერის ყველაზე ცნობასრულ წარმომადგენლებზე/. იგი ხვდებოდა, რომ ქრისტეს განკაცება, ჯვარცმა, მკვდრეთით აღდგომა და ცად ამალეება, გარდამწყვეტი, მაგრამ მაინც ერთ-ერთი ეტაპია მისი შემოქმედებისა კაცობრიობაზე; რომ განკაცებამდე, კოსმიური ქრისტე ასევე მოქმედებდა არა მარტო ებრაელი, არამედ სხვა ხალხების კულტურებზეც. იგი ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ხვდებოდა იმას, რასაც დღეს ცხადად წარმოგვიჩენს თანამედროვე სულიერი მეცნიერება, ან თ რ ო - პ ო ს ო ფ ი ა . ანთროპოსოფიის ფუძემდებელმა, რუდოლფ შტაინერმა წარსულის მრავალ საიდუმლოზე აგვიხილა თვალი.

*) ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ახალი ევროპული კულტურის დანერგვით პეტრე დიდმა ზიანი მიაყენა მართლმადიდებლური კულტურის მონაპოვარს, დღესაც რომ რუსული კულტურის მშვენებას წარმოადგენს. ევროპულ კულტურას იმეამად მხოლოდ თავადაზნაურობა ეზიარა, ხალხისთვის კი დიდი ხნის მანძილზე მართლმადიდებლობა რჩებოდა ახლობელი.

**) რუსული კულტურის მამამთავრის, ლომონოსოვის შემოქმედებაში გამთლიანდა ევროპული და მართლმადიდებლური კულტურების მონაპოვარი. ამიტომ ის ცალმხრივობანი „ზაპადნიკებისა“ და „სლავიანოფილების“ ანტაგონიზმმა რომ წარმოშვა, არ შეესაბამება რუსული კულტურის ახალ ეტაპს, ამ ორი ნაკადის შეხმატკბილებას რომ გულისხმობს. თუმცა ძიების პროცესში, საწყის ეტაპზე, ამგვარი დაპირისპირებანი არ წარმოადგენდნენ მოულოდნელობას. ზე-



მოხსენებული სინთეზის კლასიკური მაგალითებია გოგოლაძისა და სტრეცკის შემოქმედება, მიუხედავად უკანასკნელის განხილვისა და სადასავლეთის მიმართ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მერაბ კოსტავა
12/ IV/ 1984 ქ. ანგარსკი

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

როგორც ეს წინა ნომერში გამოვაცხადეთ, მერაბ კოსტავას „ფიქრები საქართველოს მისიაზე“ და ლექსები გვინდოდა ერთ ცალკე წიგნად გამოგვეცა. შემომწირველთა სიიდან დაინახავთ, რომ ასეთი თანხა სრულიადაც საკმარისი არ იქნება ამისათვის. ამიტომაც ამ ნომრიდან დავიწყეთ მისი ნაწილ-ნაწილ ბეჭდვა და ცალკე წიგნად გამოცემას ვდებთ მომავლის საქმედ. რაც შეეხება ლექსებს, მათი ბეჭდვა უკვე 16 ნომრიდან დავიწყეთ და ვაგრძელებთ.

რ ე დ .

*** *** *** *** ***

თ ა ვ ი V

ა და მ ი ა ნ ე ბ ი და წ ი გ ნ ე ბ ი

ბ ო რ ი ს დ ო ვ გ ა პ ო ნ ო ვ ი

წელს ოცი წელი სრულდება, რაც ისრაელში ებრაულ ენაზე გამოიცა ბორის დოვ გაპონოვის მიერ თარგმნილი შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა. უდავოა, რომ ბიბლიის ხალხის ენაზე ვეფხვისტყაოსნის ამეტყველება თავისთავად მნიშვნელოვანი და მისასალმებელი მოვლენაა, მაგრამ გაპონოვისეული თარგმანი შორს იტოვებს ამ დამსახურებას, რადგანაც იგი თვითაა შედეგური ებრაული ლიტერატურისა და ცხოველმყოფელი წყარო მკვდრებით აღმდგარი უძველესი ენისა. უმჯობესია თავიდანვე სიტყვა მივცეთ ამ ენის სპეციალისტებს, მეცნიერებს, პოეტებს და ლიტერატორებს.

ცნობილი ებრაელი პოეტი და ბ. გაპონოვის მიერ თარგმნილი „ვეფხვისტყაოსნის“ გამომცემელი რედაქტორი, აბრაამ შლონსკი აღფრთოვანებულ სტრიქონებს უძღვნის თარგმანს და სხვათა შორის დასძენს: „ამ კლასიკური ქართული თხზულების ებრაული თარგმანის



ბორის გაბონოვი



შოთა რუსთაველი

* * * * *

კითხვისას ხანდახან გგონია, რომ წინ გიდევს ებრაული ხელნაწერი, რომელიც თითქოსდა რომელიმე განძთსაცავში აღმოეჩინოთ“-ო.

აღმოსავლეთმცოდნე, იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტთან არსებული ბენ-ცვის სახელობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გერშონ ბენ ორენ (წიწუაშვილი), 1986 წელს, თელ-ავივში, ბორის გაბონოვისადმი მიძღვნილ საღამოზე გამოსულ სიტყვაში ამბობდა: „დოვ გაბონოვის-ადამიანის, მწერლის და მთარგმნელის- სახე კლასიკური მაგალითია გალუთის პირობებში ებრაული კულტურის შენარჩუნებისა...დ. გაბონოვმა ღვაწლი დასდო ქართულ კულტურას. მისი თარგმანის წყალობით ქართული კულტურის თაყვანისმცემელთა წრე გაიზარდა მსოფლიოს იმ ნაწილში, სადაც თითქმის არაფერი არ იცოდნენ ამ კულტურის შესახებ...იმის შემდეგ, რაც რუსთაველის თარგმნის საქმე გახმაურდა, დოვმა გაიცნო ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების ბევრი დიდი წარმომადგენელი, მაგრამ იგი განსაკუთრებით ორი ადამიანის მისდამი მხურვალე დამოკიდებულებას აღნიშნავს-ლიტ. კრიტიკოსის ბესარიონ ედენტისას და პროფ. ალ. ბარამიძისას. ... დოვი გარკვეულ სიძნელეს წააწყდა იმასთან დაკავშირებით, რომ ქართულ საზოგადოებას ეცნო იგი. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ა) ლიტერატურულ და მეცნიერულ წრეებში არ ჩქარობდნენ მანამდე თითქმის უცნობი მთარგმნელის ცნობას, ბ) თარგმანის გამოცემა დაკავშირებული იყო ებრაულ კულტურასთან და ისრაელის სახელმწიფოსთან და ამის გამო მთავრობის წარმომადგენელი, ივრითთან და ისრაელის სახელმწიფოსთან ტრადიციული უარყოფითი დამოკიდებულებების გამო, ვერ ახერხებდნენ (კიდევ რომ სდო-



მოდათ) სწრაფი და კონკრეტული დახმარების გაწევას. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანები მოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო ექვს დღიანი ომი და ისრაელისა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას და გაბონოვის ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობისათვის ხელი არ შეუწყვია“. (ისრაელში გამომავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „სამშობლო“, 1986 წ. ინვისი.)

იმავე გაზეთის, იმავე წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ ბნ ლაზარე ლუბარსკის სტატიაში „ბ. გაბონოვის ქმნილებათა შესახებ“, სხვათა შორის, ნათქვამია: „რეპატრიანტთა ყველა ტალღიდან, რაც კი ექვსდღიანი ომის შემდეგ შემატებია ისრაელს, ბორის გაბონოვი წარმოადგენს ერთერთ ყველაზე უფრო გამოჩენილ პიროვნებას, რომელიც დაჯილდოვებული იყო იშვიათი ტალანტით. მან ივრითი დამოუკიდებლად შეისწავლა და გახდა ამ ენის ზედმიწევნით მცოდნე... ისრაელის გამოჩენილმა პოეტმა აბრამ შლენსკიმ მას საოცრება უწოდა... მთელი თავისი ქმნილება ბორის გაბონოვმა შექმნა რუსეთში (საქართველოში) ივრითულ ენაზე, იმ ენაზე, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში გაბონოვის დაბადებამდე (1934) დასამარდა. ბორისისათვის ივრითისა და იუდაიზმის „სკოლასა და უნივერსიტეტს“ წარმოადგენდა მისი პაპა - რაბინი შმუელ მაზე, მოსკოვის რაბინის იაკობ მაზეს ძმა, ბეილის პროცესის დაცვის ცნობილი მონაწილე. თითქმის მთელი ცხოვრება ბორის გაბონოვმა ქუთაისში გაატარა, სადაც მისი ოჯახი მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ამოვიდა ყირიმიდან. მხოლოდ ერთი კურსი ისწავლა გაბონოვმა სპარსული ენის განყოფილებაზე მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. ყველა დანარჩენი თავისით გაიარა. 15 წელი მან იმუშავა საქარხნო მრავალტირაჟიან გაზეთში. როცა 1969 წელს აბრამ შლენსკიმ შორეული რუსეთიდან კონვერტით „ვინმე“ გაბონოვის ივრითულად თარგმნილი შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფები მიიღო, მან აღფრთოვანებულმა და გაოცებულმა მაშინვე მოითხოვა ყველა 1669 სტროფი და გადადო რა ყველა თავისი საქმეები, დაუყოვნებლივ შეუდგა რედაქტირებას და პოემის მომზადებას დასაბეჭდად. „ვეფხისტყაოსანი“ ივრითულად 1969 წელს გამოვიდა და სწორედ აქედან იწყება გაბონოვის მსოფლიო ლიტერატურაში შესვლა. რუსთაველის ცნობილი პოემის გაბონოვისეული თარგმანი

უველაზე ტალანტურია იმ თარგმანებს შორის, რაც დღემდე თარგმანები შესრულებულა... გაპონოვი გახლდათ ფენომენი. ამ ადამიანმა ფაქტიურად მარტომ „რკინის ფარდის“ იქით თავისებურად გააცოცხლა და გაამდიდრა ივრითული ენა, შექმნა ათასობით ახალი სიტყვა და გამოთქმა...“

ჩვენი თანამშრომელი პოეტი ქალბატონი როზა აბნერაშვილი, მის ერთ სარეცენზიო წერილში ვასილ ჩაჩანიძის „ვეფხისტყაოსანი მსოფლიო ხალხთა ენებზე“ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით, ბორის გაპონოვზე ამბობს: ...განსვენებული ბორის გაპონოვი გახლდათ შოთას პოემის ერთადერთი ბრწყინვალე მთარგმნელი ივრითზე. ვინაიდან მკითხველი საკმაოდ იცნობს ბორისის ბიოგრაფიას, ამაზე აღარას ვიტყვი, გარდა იმისა, რომ მის მიერ თარგმნილი ვ.ტ. უნიკალური სახით გამოსცა თელ-ავეიში „სიფრიათ აფოალიმმა“, გამოჩენილი პოეტისა და მთარგმნელის აბრაამ შლიონსკის უშუალო თანადგომით, რომელსაც ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ისრაელის მთავრობა. ამის დასტურად შეიძლება ითქვას ის, რომ ამ პოემისთვის შეიქმნა განსაკუთრებული ქალაქი. მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულმა წიგნმა, წიგნის პირველი პრემიაც დაიმსახურა და ისრაელთა საყვარელ ნაწარმოებადაც იქცა. ბორისმა თუმცა ლერმონტოვი და სხვა რუსი კლასიკოსებიც თარგმნა ივრითზე, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანით მოპოვდა უკვდავება ქართველი და ებრაელი ერების გულში.“

გასაგები მიზეზების გამო, საბჭ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, ლიტერატურისა და რუსთველოლოგიის ინსტიტუტებმა თავის დროზე, თარგმნის პროცესში ბორის გაპონოვს ვერავითარი დახმარება ვერ გაუწიეს, მაგრამ ისრაელში მისი გამოცემის შემდეგ, უველაზე სრული ანალიზი და შეფასება მაინც ქართულმა მეცნიერულმა კრიტიკამ მოგვცა. საჭ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე ენისა და ლიტერატურის სერიაში, 1975 წლის 1 ნომერში დაიბეჭდა აღმოსავლეთმცოდნე, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის, ზურაბ კიკნაძის ვრცელი წერილი, სათაურით: „ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანი“, რომელშიც ყოველი კუთხიდან დაწვრილებით გარჩეულ-გაანალიზებულია გაპონოვის მიერ შესრულებული შრომა. შესავალშივე ნათქვამია: „ვეფხისტყაოსნის მრავალრიცხოვან თარგმანებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ებრაული თარგმანი, შესრულებუ-

ლი აწ განსვენებული ბორის – დოვ გაპონოვის მიერ... რეცენზენტთა და მიმომხილველთა ერთხმა აზრით იგი მნიშვნელოვანი შეხატებითა თანადროული ებრაული პოეზიისა და იმ რიგის თხზულებათა რიცხვშია ჩათვლილი, რომელნიც ამდღერებენ ეროვნულ მწერლობასა და კულტურას ახალი ცხოველყოფელი ნაკადებით და წარმოაჩენენ ამ უძველესი ენის ამოურწყავ შესაძლებლობებს, დასაბამითგან მასში ჩამარხულს და დრომდე გამოუყენებელს...“ ხოლო მისი ნარკვევის დასკვნაში პროფესორი ბრძანებს:

„ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანი მრავალმხრივაა საგულისხმო და მრავალი ასპექტით შესწავლას მოითხოვს. ერთი მხარეა ამ ორი ენისა და სიტყვიერ-კულტურული ტრადიციების ურთიერთ შეღწევის პრობლემა, რისთვისაც უხვ მასალას იძლევა ებრაული ტექსტი. ნაწილობრივ ამ მიზანს ისახავდა წინამდებარე წერილის ავტორი. ამ მხრივ, შეიძლება ყურადღება გამახვილებულიყო თარგმანის „ქართულიზმებზე“, რომელნიც არც თუ მცირე რაოდენობით აღმოჩნდებოდა, რადგან განსვენებული ბორის გაპონოვი ქართული ენის ჩინებული მცოდნე და პატრიოტი იყო. ეს ცოდნა და სიყვარული ჩვენ ენისა შეფარულად თუ ცხადად ასახულია თარგმანში...“

მეორე მხრივ, ებრაული ტექსტი ორიგინალის დამოუკიდებელი თავისთავადი მოვლენაა თანადროულ ებრაულ პოეზიაში, როგორც უკვე აღინიშნა აბრამ შლონსკის სიტყვებით. იგი ცხადყოფს მთარგმნელის არაჩვეულებრივ პოეტურ ტალანტსა და ენობრივ აღლოს. ვირტუოზობამდე ასული მხატვრული ოსტატობა, სიტყვისადმი ჭეშმარიტად რუსთველური დამოკიდებულება, რუსთველური დაუფლება ენის სტიქიისა, მშობლიური პოეზიის ამომწურავი ცოდნა – ამ თარგმანს დედნის კონგენიალურს ხდის.

ბორის გაპონოვი იმ მოშიარეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა გვარი ირი თავად რუსთაველმა განსაზღვრა „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირობა, ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა“. დიდი გმირობა (ებრაულად რომ ვთქვათ, გ ე ვ უ რ ა, რაც გამარჯვებასაც ნიშნავს), ჭეშმარიტად, ბორის დოვ გაპონოვის ღვაწლი“ -ო.

ახლა განსვენებულ გაპონოვის სახელსაც შეეხო, როგორც ეტყობა, გორბაჩოვის „გარდაქმნის“ პოლიტიკის ცხოველყოფელი სხივები, გასული წლის 27 დეკემბრის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა, გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეონის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოსის, ლენინის პრემიის ლაურეატის,

 თამაზ გამყრელიძის და იმავე ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების გამგის, აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის ერთობლივი წერილი „ქეშმარიტად ღირსეული“, რომელშიც კუთვნილი პატივია მიძღვნილი ებრაულად თარგმნილი ვეფხისტყაოსნისადმი:

„ვეფხისტყაოსნის გაპონოვისეული ებრაული თარგმანი ამასთან ერთად სხვა მხრივაცაა უაღრესად ფასეული და საყურადღებო. პირველ რიგში აქ უნდა აღინიშნოს თარგმანის ენა, რომლის თვალსაზრისით ებრაული „ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთაველის ყველა სხვა თარგმანებს შორის განსაკუთრებით ადგილს იმკვიდრებს. საქმე ისაა, რომ „გ. ტ.“-ის ებრაული თარგმანი თვით წარმოადგენს კლასიკური ებრაული პოეტური ენის ბრწყინვალე ნიმუშს, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი წყარო გახდა თანამედროვე ებრაული ენის შემდგომი განვითარებისათვის. თანამედროვე ებრაული ენა (რომელსაც ხშირად ქართულად სრულიად გაუმართლებლად ებრაული ტერმინით „ივრით“-ით აღნიშნავენ; რაც ებრაულად სწორედ „ებრაულს“ ნიშნავს, და ამით უკუაგდებენ ამ ენისათვის ჩვენში ძველთაგანვე ხმარებულ ქართულ სახელწოდებას „ებრაულს“) არ წარმოადგენს ძველი ებრაული ენის (ბიბლიის ენის) შემდგომ ბუნებრივ განვითარებას, როგორც ეს გვაქვს სხვა ლიტერატურული ენების შემთხვევაში (მაგ., ძველი და ახალი სალიტერატურო ქართული). თანამედროვე ებრაული – ეს მისი არსებობის კარგა ხნის შეწყვეტის შემდეგ „მკვდრეთით“ აღდგენილი ენაა. ამიტომ, ფაქტობრივად, ეს იგივე ძველი ებრაული ენაა, რომლის „გათანამედროვეობას“ ისრაელის ებრაული ენის აკადემია ეწევა... „გ. ტ.“-ს გაპონოვისეული თარგმანი არა მარტო ენობრივადაა უაღრესად საყურადღებო, აღნიშნავენ აგრეთვე თარგმანის განსაკუთრებულ მაღალმხატვრულ ღირსებებს, რის გამოც მან საპატიო ადგილი დაიკავა თანამედროვე ებრაულ ლიტერატურაში. ამაზე მიუთითებს მთარგმნელისათვის ისეთი პრესტიჟული პრემიის მინიჭება, როგორიცაა ცნობილი ებრაელი მწერლის შაულ ჩერნიხოვსკის სახელობის პრემია (1969); ბ. გაპონოვმა მიიღო აგრეთვე ისრაელის პრეზიდენტის პრემია (1971)...“ წერილში სინანულია გამოთქმული, რომ ბ. გაპონოვს სათანადო პირობები ვერ შეუქმნეს მის შემოქმედებით პერიოდში და მხარს უჭერენ უკვე წამოყენებულ წინადადებებს ბორის დოვ გაპონოვის სახელის უკვდავსაყოფად, მათ შორის დასახელებულია რუსთაველის პრემიის მინიჭების (სიკვდილის შემდეგ) წინადადება.



მართლაცდა, ვის ეკუთვნოდა შოთა რუსთაველის მაღალი კავადმღაჩი
 რი ჯილდო, თუ არა ბორის გაბონოვის?! იმას ხომ ველნი ვერხიხიხი
 შეგბენ: არ ვიცნობდით, არ ვიცოდითო, არა, საქმე იმაშია, რომ
 ქართული კულტურის ყველაზე უწყინარი საკითხიც კი, კრემლში
 რუსეთის სახელმწიფო ინტერესებისა და მიხედვით უნდა გადაწყდ-
 ეს. ახლა, როცა გორბაჩოვის ქართველი ტალეირანი ერთსადაიმავე
 დროს სიყვარულს ეფიცება ისრაელსაც და მის დაუძინებელ მტერ
 არაბო-მუსულმანებს,—ახლა მხოლოდ ბედავენ საქართველოში ილაპა-
 რაკონ ბორის გაბონოვისადმი რუსთაველის პრემიის მინიჭების შესა-
 ძლებლობაზე. თვით ბორის გაბონოვიც ცოცხალი რომ ყოფილიყო, ალ-
 ბათ იტყოდა: თქვენც ღმერთმა შეგარცხვინოთ და თქვენი პრემია-
 ცო! როზა აზნერაშვილის არ იყო, ბორის გაბონოვმა თვით დაიდ-
 გა ხელთუქმნელი მარადიული ძეგლი. მას არ წყალობდნენ ამა ქვე-
 ყნის ძლიერნი და თან იმ ქვეყნად არავის ვალი არ წაუღია. ეს კი-
 დევ ერთი მნიშვნელოვანი მხარეა მისი პიროვნების, რაც დამატებით
 ადასტურებს, რომ ის ჭეშმარიტი შემოქმედი იყო.

ჩვენთვის კიდევ ერთი სიურპრიზი ისაა, რომ ბორისი ქართველი
 ებრაელიც კი არ იყო და არც ქართულ სკოლაში არ უსწავლია.
 მართლაც, ბორისი დაიბადა 1934 წელს ყირიმში, ქ. ევატორიაში,
 სადაც მან გაატარა ბავშვობა. ომმა მოსწყვიტა ის მის მშობლებთან
 ერთად მშობლიურ კუთხეს და ქუთაისში მოიყვანა რვა წლის ბავ-
 შვი, სადაც ბორისი ამთავრებს რუსულ საშუალო სკოლას. შემდეგ
 აგრძელებს მოსკოვის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფა-
 კულტეტზე. ერთი წლის შემდეგ ფაკულტეტი იხურება, ჩვენთვის უც-
 ნობი მიზეზებით. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ვინ იცის, იქ-
 ნებ ეს ბედნიერი შემთხვევაც კი იყო, რომელმაც ხელი შეუწყო
 მის რუსთაველთან შეხვედრას. სავალდებულო სამხედრო სამსახურ-
 ის მოხდის შემდეგ ბორისი იძულებულია სამსახური დაიწყოს, რად-
 განაც ავადმყოფი დედა და ბებია ჰყავს სარჩენი. სამსახურს იწ-
 ყებს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გაზეთის კორექტორად.
 ამრიგად, ბორისის დედა ენა იყო რუსული და ახალი ებრაული,
 მხოლოდ 14 - 15 წლისამ კი დაიწყო ქართული და ძველი ებრაული
 ენების შესწავლა. სწორედ ამ ენებით მან დაიმკვიდრა უკვდავება.
 გაზეთში თანამშრომლობასთან ერთად ბორისმა ხელი მიჰყო რუ-



სული და ქართული კლასიკური პოეზიისა და პროზის ნიმუშების
 ებრაულად თარგმანს, რომლებიც იბეჭდებოდნენ ხოლმე ისრაელის
 პრესაში, მაგალითად ქართულიდან მას უთარგმნია ხევისბერი გო-
 ჩა და იოსებ გრიშაშვილის რამდენიმე ლექსი. მხოლოდ ამის შე-
 მდეგ მან შებედა ვეფხისტყაოსანს, რომლის თარგმნისთვისაც მას
 ხუთი წელი მოუწოდებია და, როგორც უკვე ითქვა, 1969 წელში
 კიდევაც გამოიცა*). 1971 წელში ბორისი ისრაელში გადასახლდა,
 ხოლო ერთი წლის შემდეგ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა—
 38 წლის ასაკში გარდაიცვალა უკუჩვენებელი სენით, რომელიც მას
 უკვე საქართველოში გამოაჩნდა. ის დასაფლავებულია ქ. რამათ-
 განში. თითქოს ეს იყო მისი უმაღლესი მისია: ბიბლიის ენაზე
 ეთარგმნა ქართული პოეზიის მწვერვალი. შეასრულა რა წარმატე-
 ბით ეს მაღალი მისია, ის დაუყოვნებლივ კაცთა თვალთ მიეფარა—
 ცაში ამაღლდა.. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს!

*)ეს გამოცემა მართლაც ძვირფასადაა დასურათხატებული და გამო-
 ცემული. მე იგი მიძღვნა გაზ „ალია საქართველოდან“ -ის გამომ-
 ცემელ-მთავარმა რედაქტორმა ბნმა აბრამ სეფიაშვილმა, თუმცა
 მე ებრაული პოეზიით ტკბობის უნარს მოკლებული ვარ, ეს წიგნი
 მაინც ძვირფასი განძია ჩემთვის და, ვსარგებლობ რა აქ შემთხვე-
 ვით, უღრმეს მაძლობას მოვახსენებ ბატონ აბრამს.

გიორგი წერეთელი

*** *** *** *** *** ***

ჯ ი ლ დ ო ს გ ა დ ა ც ე მ ა

როგორც წარსულ ნომერში ვიტყობინებოდით, გასული წლის საფ-
 რანგეთის ეროვნულ დღესასწაულთან (14 ივლისი) დაკავშირებით,
 საფრანგეთის პრეზიდენტის ბრძანებით, სხვა მრავალთა შორის,
 ჩვენი თანამემამულე ქ-ნი ელენე წერეთელი-ბენარისა დაჯილდოებუ-
 ლი იქნა „ღირსების ლეგიონის რაინდის ეროვნული ორდენით.
 ჯილდოს გადაცემას საზეიმო ვითარებაში ადგილი ჰქონდა წელს
 11 იანვარს, ეკონომიის, ფინანსების და ბიუჯეტის სამინისტროში,
 რომელიც ჯერ კიდევ ლუვრის სასახლეში იმყოფება. საღამოს 6
 სათისთვის სამინისტროს ვრცელი სალონები სადღესასწაულოდაა გა-
 ჩახჩახებული. ორ მათგანში გაუშლიათ გრძელი მაგიდები, პირამდე

მარჯვნიდან მარცხნივ:

ბ-ნი მ. შარას, ქ-ნი ვერონიკ ნეერც, ბ-ნი პიერ ბერეგოვუა ტაშს უტრავს, შუაში მიკროს წინ სამადლობელ სიტყვას წარმოთქვამს ელენე წერეთელი - ბენარისა.



* * * * *

ავსილი ნაირ-ნაირი ნამცხვრებით, სხვადასხვა სანოვაგითა და ხილით. დარბაზები ივსებიან სამინისტროს მოსამსახურეებით, მაგრამ მრავლად მოჩანან მათ შორის ქართული სახეებიც.

საპატიო ჯილდოს ელენე წერეთელთან ერთად დებულობს ბ-ნი ჟერარ ჟირესი. პრეზიდენტის დავლებით ჯილდოებს გადასცემს სახელმწიფო მინისტრი, ეკონომიის, ფინანსების და ბიუჯეტის მინისტრი ბ-ნი პიერ ბერეგოვუა, რომელსაც ახლავან: ბიუჯეტის მინისტრი-დელეგე ბ-ნი მიშელ შარასი და სახელმწიფო მდივანი ქალბატონი დომინიკ ნეერცი.

სანამ ჯილდოს გადასცემდეს, სახელმწიფო მინისტრი ახასიათებს დაჯილდოებულებს. ე. წერეთელზე სიტყვას ის ასე ამთავრებს: „...მადამ ბენარი კიდევ ერთი გამორჩეულობით ხასიათდება: იგი გახლავთ ქართული წარმოშობის. ის დაიბადა საფრანგეთში ქართველი მშობლებისაგან და მას აქ ჰყავს ბევრი ქართველი მეგობარი. მე მგონია, შეიძლება, რომ თქვენ პირველი ქართველი ქალი ხართ, რომელიც დღეს საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენით ჯილდოვდებით. დიდი სიამოვნებით მე მას ამ წუთში თქვენ გადმოგცემთ.“

ელ. წერეთელ-ბენარის სამადლობელო: „გმადლობთ ბ-ნო სახელმწიფო მინისტრო იმ პატივისათვის, რომელიც თქვენ ამ წუთში მომაგეთ და რაც მე იმაზე მეტად მსიამოვნებს, ვიდრე ეს თქვენ წარმოგიდგენიათ.

მართლაც, თქვენ ახსენეთ ჩემი ქართული წარმოშობა და მე უნდა ვთქვა, რომ ჩემი ბავშვობიდან მოყოლებული მე მუდამ მესმოდა ჩემი მშობლებისაგან საფრანგეთის მაღლიერების სიტყვები.

ხოლო ჩემი თაობა ამ გრძნობას უფრო აღრმავებს და ანვირებს. ჩვენ, ქართველებს წესი გვაქვს დღესასწაულის დროს მსგავსი გამგებელს ვირჩევთ, რომელიც წარმოთქვამს სადღეგრძელოებს, როგორც დამსწრეთა, ისე გარდაცვლილთა სადიდებლად და ყოველთვის ერთ-ერთი სადღეგრძელო იქ საფრანგეთს ეკუთვნის. ასევე საქართველოში ყოველთვის სვამენ საფრანგეთის სადღეგრძელოს, ალბათ იმიტომ რომ ჩვენი ემიგრაციის უმრავლესობა საფრანგეთში ცხოვრობს.

ჩემს მაღლიერებას საფრანგეთის მიმართ, რომელსაც ასაზრდოებს იმის შეგნება, რომ მან თავშესაფარი მისცა ჩემს მშობლებს, დღეს ემატება სიხარული, რომელსაც ჩემში აღძრავს საფრანგეთის მაღალი საპატიო ორდენით დასაჩუქრება. მე დიდი ბედნიერი ვარ, ბნო სახელმწიფო მინისტრო, ამ წუთში, რომ ვდგავარ თქვენს წინაშე, ჩვენი ამდენი სახელოვანი ხელმძღვანელის წინაშე და მთელი ჩვენი დიდი ადმინისტრაციისა, რომლის წევრობა მე შეამაყება და რომელიც ძალიან მიყვარს. მე მსურს მაღლობა გადავუხადო ყველა ჩემს კოლეგებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომლებმაც პატივი დამდეს და დღევანდელი ჩემი ბედნიერება გაინაწილეს. დიდი მაღლობა!

ეთერის ინფორმაცია

Michel Khoundaze:

„La révolution de
fevrier 1917“

*La social-democratie contre le bolchevisme
Tseretelli face Lenine*

ასეთია სათაური და ქვესათაური განსჯივად მიშა ხუნდაძის ფრანგულ ენაზე გამოცემული წიგნისა: „1917 წ. თებერვლის რევოლუცია“ (სოციალ-დემოკრატია ბოლშევიზმის წინააღმდეგ. წერეთელი ლენინის პირისპირა).

ეს საუცხოო წიგნი, რომელიც რუსეთის თებერვლის რევოლუციის, ხანმოკლე დემოკრატიული პერიოდისა და ლენინის ბოლშევიზმის გამარჯვების ისტორიაა, შეგნებელი ქართველი სოციალ-დემოკრატის თვალთახედვით, გასული წლის ბოლოს გამოიცა ავტორის ქალიშვილის, ქ-ნ თამარ სომბარის მზრუნველობით. წიგნის გარეკანზე

ტიტულის ქვეშ მოთავსებულია ირაკლი წერეთლის აღწერილი ხანის დროინდელი ფოტო-სურათი. წიგნი საერთოდ ლამაზად და კარგადაა გამოცემული. რაც შეეხება შინაარსს, მასში ისტორიულ სიმართლის გარდა მკითხველი სიამოვნებით შენიშნავს ბატონი მიშასათვის ესოდენ დამახასიათებელ დიდ კულტურასა და ერუდიციას. მთელი წიგნი წარმოადგენს ირაკლი წერეთლის პოლიტიკური ბრძოლის აპოლოგიას. ჩვენ ვიცოდით, რომ ბ-ნ მიშას დიდი მეგობრობა აკავშირებდა ირაკლი წერეთელთან. ამ ერთგვარი ანდერძით ის საბოლოოდ და სამუდამოდ ადასტურებს მას და ცხადყოფს, რომ მათ ახლო მეგობრობას საფუძვლად ედვა მჭიდრო იდეური ნათესაობა. ეს უნაგარო მეგობრობა სამაგალითოა ახალგაზრდობისათვის. ქვემოთ გთავაზობთ წიგნის დასკვნას:

„სწორედ გონიერება და ლოლიკა კარნახობდა, რომ სამშვიდობო პოლიტიკა, რომელსაც წერეთელი და მისი მეგობრები აყენებდენ, ყოფილიყო მიღებული. ამ პოლიტიკას რომ ვაემარჯვნა, ის იხსნიდა რუსეთს ბოლშევიზმისაგან,“ ვერმანისა ჰიტლერისაგან და მსოფლიოს მეორე მსოფლიო ომის ტრადიკული შედეგებისაგან.

ლენინის გამარჯვებამ რუსეთი ჩააგდო ტოტალიტარულ რეჟიმში. დემოკრატია მხოლოდ რვა თვე იარსება, 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე. რვა თვე დიდათ არ ფასობს სამოცზე მეტი წლის ბოლშევიკურ მპყრობელობასთან; მაგრამ აზრი, იდეა, რომელიც ისტორიის ამ მოკლე პერიოდს ამოძრავებდა და რომელიც გამოხატავდა კაცობრიობის ყველაზე მაღალ ოცნებასა და მისწრაფებას, არ მომკვდარა. ის განაგრძობს სიცოცხლეს მილიონობით ჩაგრულთა გულში. დიდი ხნის ტერორისა და ტანჯვის შემდეგ საბჭოთა კავშირის ხალხები გაინთავისუფლებენ თავს; იმ დღეს ისინი გამოიტანენ თებერვლის რევოლუციის დროშებს და გაიხსენებენ მის დიდ ლიდერებს და გამირებს, რომლებიც დღეს დაეწიყებულად გვეჩვენებიან, მათ შორის, ყველაზე წინ კი—ირაკლი წერეთელს.

თვით მას არასოდეს არ დაუტარგავს იმედი. ძნელი იყო მისი ცხოვრება ემიგრაციაში. ისევე, როგორც მისი მეგობრები, ის იტანჯებოდა ჩუმად. მაგრამ მან იცოდა, მას სწამდა, რომ მისი ღვაწლი, რომელსაც თან ახლდა ამდენი ტანჯვა, უკვალოდ არ ჩაივლიდა, რომ ერთ დღეს, შეიძლება ძალიან შორეულს, მაგრამ უეჭველს, თავისუფლების იდეალი გაიმარჯვებს, იდეალი, რომლისთვისაც



ქართული
ენციკლოპედია

მან იცხოვრა და იბრძოლა მთელი სიცოცხლე.“

LE FRERE DE CENDRILLON GEORGIENS
Comtes populaires géorgiens

„სანდრიონის ქართველი ძმა“ ასე ეწოდება ნაცარქექიას ქართული ხალხური ზღაპრების წიგნს, რომელიც შეუდგენია და უთარგმნია ბნ გასტონ ბუაჩიძეს და ლექტორად გამოცხადებულია ბნი ბერნარ უტიე. წიგნი იშვიათი შენაძენია ფრანგულენოვან პატარებისათვის (თუმცა დიდებიც არ დაიწყებენ). იგი ლამაზადაა გამოცემული და თარგმნილია შესაშური ფრანგული ენით. წიგნის ღირსებას კიდევ უფრო ამაღლებენ ქალბატონ რუსუდან ფეტვიაშვილის ილუსტრაციები. ფრანგულ მხატვრულ ლიტერატურაში გასტონ ბუაჩიძის სახელი უკვე კარგა ხნის ცნობილია. მას სხვა ლიტერატურულ ძეგლთა შორის ფრანგულად ნათარგმნი აქვს ისეთი შესანიშნავი ნაწარმოები, როგორც საბას: ს ი ბ რ ძ ნ ე ს ი ც რ უ ე ა.

„სანდრიონის ძმა“ გამოცემულია უნესკოს სსრკ -ს არარუს ერთა სერიის კოლექციაში. მისამართი: **PUBLICATIONS ORIENTALISTES DE FRANCE, 2, rue de Lille 75007.**

„მ ო ა მ ბ ე“ № 7

როგორც ადრე აღვნიშნეთ, მივიღეთ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის „მოამბე“ №7, რომლის მთავარი რედაქტორია გიორგი ქანტურია და სარედაქციო კოლეგიის წევრები: ირინა სარიშვილი, კარლო ბარდაველიძე, სიმონ წერეთელი, ლევან აღვაძე, გიორგი ახალაია, სოსო ალავიძე. 107 გვერდიანი კრებული შესრულებულია ხელის საბეჭდ მანქანაზე, შინაარსი მრავალფეროვანი და საჭირო-სასარგებლოა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქ. ლიტ. და ხელ. ცენტ. არქივის დირექტორის ვახტანგ გურგენიძის „შავბნელი ფურცლები“. ქვემოთ ურნალის სარედაქციო მოწოდება:

„შ ე ვ ი გ ნ თ !“ „შევიგნოთ, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა იყო თავის მთავრობით, თავის ჯარით, სამართლით, მართვა-გამგეობით, თავის ფულით, ეკლესიით. შევიგნოთ, რომ საქართველო ჩამოქნილი სახელმწიფოებრივი სხეული იყო თავის დროსა და

ძის საზოგადოების სოციალური საკითხების სექციამ მოაწყო მუშაობა მიტინგის ფორმით. მიტინგის მონაწილეებმა განიხილეს თბილისის მუნიციპალიტეტის მთლიანი ფეტვიაშვილის გასანთავისუფლებლად. მიტინგის მონაწილეებმა შეიქმნა განცხადება, რომელიც ცნობილია, დაპატიმრებული იყო 1983 წლის 17 ნოემბერს, იმ ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად, რომლებიც შეეცადნენ თვითმფრინავის საზღვარგარეთ გატაცებას. სასამართლომ ჯგუფის გადარჩენილ წევრებს უმაღლესი ზომა მიუსაჯა, ხოლო თ. ფეტვიაშვილს 14 წლით პატიმრობა.

მიტინგის მონაწილეებს ეკირათ ტრანსპარატები: თავისუფლება თინიკო ფეტვიაშვილს! საპროტესტო მანიფესტაციები ემყარებოდა ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებზე, რომლებიც სუკის ორგანოებმა და სასამართლომ დაუშვეს თ. ფეტვიაშვილის მიმართ. პატიმრობის დროს თ. ფეტვიაშვილი ფეხმძიმედ იმყოფებოდა, უშიშროების იზოლატორში ყოფნის დროს, მას ხელოვნურად მოუშალეს მუცელი. ეს ამბავი, რაც შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენდა ბრალდებულისათვის, დამალა სასამართლომ, სასამართლომ არ გამოიძახა და არ დაჰკითხა ის მოქალაქეები, რომლებიც ფეტვიაშვილისთვის სასარგებლო ჩვენებებს იძლეოდნენ; ფეტვიაშვილს არ მისცეს საშუალება ამოეჩინა დამცველი და სუკმა თვითონ დაუნიშნა დამცველი, რომელიც სინამდვილეში ბრალმდებელი იყო. სასამართლოზე არ გახსნეს თვითმფრინავის შავი ყუთი, რათა ჭეშმარიტება დაედგინათ, თუ რა მოხდა თვითმფრინავში. ყველა ეს დარღვევები კანონმდებლობის არასრულფასოვნებას სცილდება, მას დანაშაულება შეიძლება ეწოდოს.

საპროტესტო მიტინგის ორგანიზატორები: თამარ ჩხეიძე, სოსო ბანძელაძე და ზურაბ ჭავჭავაძე დააკავეს, მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს, სადაც შუალამემდე ამყოფეს, რის შემდეგ გაანთავისუფლეს და მეორე დღისთვის დაიბარეს ორჯონიკიძის სახელობის რაიონულ სასამართლოში. სასამართლომ მათ სამას-სამასი მანეთის ჯარიმა მიუსაჯა.

18 თებერვლის მანიფესტაციები. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ადმინისტრაციული კორპუსის წინ (გიორგი სააკაძის მოედანზე) გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი, იმასთან დაკავშირებით, რომ სოხუმში საქ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სოხუმის ფილიალში შეწყვიტეს სტუდენტთა მიღება ქართულ განყოფილებაზე და აგრეთვე იმის გამო, რომ აფხაზეთის ასსრ-ის განათლების სამინისტრომ მიიღო დადგენილება აფხაზურ სკოლების

8 - 10 კლასებში აფხაზეთის ისტორიის სწავლების შესახებ, საჭმე იმავნია, რომ საგანი რომელიც უნდა ასწავლონ, მისი შესაბამისად სახელმძღვანელო ჯერ არ არსებობს და აქედან გამომდინარე, ყველა პედაგოგი თავის პირად აზრებს გადასცემს მოსწავლეებს. მიტინგის მონაწილენი მოითხოვდნენ: ჯერ გამოეცათ მეცნიერულად შედგენილი სახელმძღვანელო და შემდეგ შემოეღოთ საგანი, ვინაიდან არის საშიშროება, რომ აფხაზ ახალგაზრდობას სიყრმიდანვე ჩაუნერგონ ანტიქართული სულიკვეთება.

მილიციის მუშაკებმა დილას მიაკითხეს საზოგადოების გამგეობის წევრებს ზ. ჭავჭავაძეს და თ. ჩხეიძეს და წაიყვანეს მთავარ სამმართველოში. ასევე სახლიდან გამოსული დააკავეს ირაკლი წერეთელი. მიტინგი მაინც შესდგა და ის გახსნა საზოგადოების გამგეობის წევრმა ჯუმბერ კოპალიანმა. მიტინგის წინააღმდეგ იერიში მიიტანეს სპეციალურად დაგეგმილმა კომკავშირელმა აქტივისტებმა, რის შემდეგაც მიტინგის დარბევა დაიწყეს მილიციელთა და ჯარის სპეციალური დანიშნულების რაზმებმა. მიტინგის მონაწილეებს, რომლებიც ძირს დაწვნენ, უმოწყალოდ სცემდნენ, დასისხლიანებულ ხალხს ავტობუსებში ყრიდნენ და მიჰყავდათ მილიციაში. ცემის შემდეგ ექვსი მძიმე მდგომარეობაში მყოფი საავადმყოფოში იქნა მოთავსებული.

მიუხედავად ასეთი მხეცური მოპყრობისა, რომლის მსგავსი საქართველოში ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში არ ყოფილა, ხალხი არ შეშინდა და ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში მიტინგი მიმდინარეობდა. ხალხმა მოახერხა გაერღვია ჯარისკაცთა კორდონები და კონსტიტუციის მოედანზე მეორე მიტინგი გამართა. მიტინგი მოითხოვდა დაპატიმრებულთა განთავისუფლებას, რომელთა რიცხვი დაახლოებით სამასი იყო. მას შემდეგ, რაც კონსტიტუციის მოედანზე დაიწყეს მათი დარბევა, მიტინგმა გადაინაცვლა მშვიდობის გამზირზე. ხელისუფლებამ აღუთქვა, რომ დაპატიმრებულებს განთავისუფლებდა და მხოლოდ მაშინ მიტინგი დამთავრდა. მართლაც, ღამის 12 საათამდე ყველა დაპატიმრებული იქნა განთავისუფლებული. მიტინგზე მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელიც მთავრობას გაეგზავნა.

25 თებერვლის სამგლოვიარო მანიფესტაციები.


ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ანუ საქ. სსრ ისტორიის განმავლობაში, პირველად მოეწყო წელს



სამგლოვიარო მანიფესტაციები. არაფორმალურმა გაერთიანებებმა სხვადასხვა ადგილებში მოაწყეს მიტინგები. ხელისუფლებამ დილიდანვე დაიჭირა თადარიგი: ხალხის დაპატიმრებას შეუდგა. პატიმართა რიცხვმა ასი კაცი შეადგინა. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ შეკრების ადგილად დავით აღმაშენებლის პროსპექტზე (ყოფილი პლენანოვის) მდებარე კინოთეატრი ოქტომბერი დანიშნა, სადაც უწინაც და ახლაც სამხედრო სასწავლებელი მდებარეობს. საზოგადოებას სურდა ის გზა გაეარა, რომლითაც სამხედრო სასწავლებლიდან გამოსულმა იუნკრებმა გაიარეს, როცა ისინი საბჭოთა რუსეთის ჯარებთან საბრძოლველად გადიოდნენ ფრონტზე. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და წმინდა ილია მართლის საზოგადოება ქაშვეთის ეკლესიასთან შეიკრიბა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები კი, დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის ორგანიზატორის, სერგო ორჯონიკიძის ძეგლთან, საბურთალოში. მარში უნდა დამთავრებულიყო საქართველოს დაპყრობის მეორე ორგანიზატორის, კიროვის სახელობის ბაღთან, სადაც საერთო მიტინგი უნდა შემდგარიყო. დემონსტრანტებს ანჩისხატთან შეკრებილი ეროვნული სამართლიანობის კავშირის და წმინდა დავით აღმაშენებლის საზოგადოების წევრები უნდა შეერთებოდნენ. მრავალრიცხოვანმა მილიციამ და ხელკეტნიანმა სპეცრაზმებმა გადაკეტეს ქაშვეთის მისადგომები. მთაწმინდის უბანი სავსე იყო ჯარის ნაწილებით და ჯავშნოსანი მანქანებით. შეკრების ადგილას სხვებთან ერთად დააკავეს და მილიციის სამმართველოში წაიყვანეს: ზვიად გამსახურდია, კოკა გაწერელია, ირაკლი შემგელია, თედო ბაატაშვილი, მერაბ სულაქველიძე, აღნიშნულ რეგიონში, მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა, მიანც შეიკრიბა 10 - 15 ათასი კაცი. ხელკეტნიანთა შემოტევის შემდეგ



თამარ ჩხეიძე, ი. ჭავჭავაძის საზ - ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი



დემონსტრატები უნივერსიტეტისაკენ დაიძრნენ, გზაზე მათი ნეკლეტიანთა და მილიციის სამი კორდონი გაარღვიეს და უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან მათ უნივერსიტეტის პრეს-კლუბისა და სხვა ახალგაზრდული ასოციაციის წევრები დახვდნენ, რომელთაც უკვე მოესწროთ ერთი მიტინგის ჩატარება. აქვე მოვიდნენ აყვანას გადარჩენილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებიც (ორჯონიკიძის ძეგლთან დააპატიმრეს ექვსი პარტიელი, მათ შორის, მამუკა გიორგაძე, გიორგი ჭანტურია, იასონ ფავლენიშვილი, ჯონდო ბასაგელი). მიტინგის მსვლელობისას ორმოცდაათამდე კაცმა უვადო შიმშილობა გამოაცხადა მანამ, სანამ არ გაანთავისუფლებდნენ ყველა დაკავებულს. სამგლოვიარო მიტინგს უნივერსიტეტთან დაახლოებით ოცი ათასი კაცი ესწრებოდა. ორატორებმა: ირაკლი წერეთელმა, მერაბ კოსტავამ, ნოდარ ნათაძემ, თემურ ქორიძემ, გურამ პეტრიაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტზე და მის შედეგებზე. მიტინგზე წაკითხული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მსოფლიოს წამყვან ქვეყნების მთავრობებთან გასაგზავნი დეკლარაციის ტექსტი, საქართველოს საერთაშორისო უფლებების აღდგენის მოთხოვნით. რასაც ხელი მოაწერა 12.000 -მა კაცმა და ხელის მოწერა გრძელდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ დღეს ყველა შავებში იყო ჩაცმული, დამოუკიდებელი საქართველოს დროშებს შავი ლენტები ჰქონდათ გაკეთებული, მანიფესტაციების და მიტინგების მიმდინარეობაც სამგლოვიარო სანახაობას წარმოადგენდნენ.

გვიან საღამოს მიტინგის მონაწილეთა პრინციპულობისა და ინტელიგენციის ჩარევის შედეგად, ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და უკლებლივ გაანთავისუფლა ყველა დაკავებული. საპროტესტო მიტინგმა ღამის თერთმეტ საათამდე გასტანა.

საქართველოში მიმდინარე მოვლენები მოწმობენ იმას, რომ იქ დამოუკიდებლობის საკითხი ჭვაკუთხედად, ნომერ პირველ პრობლემად დგას დღის წესრიგში.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ერისა და ადამიანის უფლებათა თვდადებულმა დამცველებმა თამარ ჩხეიძემ და მერაბ კოსტავამ წერილით მიმართეს სსრკ მეთაურს მ. გორბაჩოვს, რომელშიც აღვნიშნულია, რომ: მიუხედავად თქვენი განცხადებისა, რომ თქვენ პოლიტპატიმრები აღარ გყავთ, მარტო საქართველოში სამი ახალი პოლიტპატიმარი გაჩნდა: გიორგი კულუმბეგაშვილი, ნოდარ იმნაძე



და კახა დობორჯგინიძე. მშვიდობიან პოლიტიკურ აქციებში მონაწილეობისათვის მასიურად სდევნიან, აჯარმობენ და ხსნიან სხვები. ხურიდან ექსტრემისტებად სახელდებულ მოქალაქეებს. სომხეთში „ყარაბაღის“ მთელი კომიტეტი დააპატიმრეს, რათა გასწორებოდნენ ეროვნულ მოძრაობას... ჩვენ, ქართველი სამართალდამცველები, ნათქვამია წერილში, დაუფარავად გიცხადებთ, რომ ახალმა დაპატიმრებებმა საბოლოოდ გამოაჩინა თქვენებური დემოკრატიზაციის ნამდვილი სახე და გარდაქმნის კრახით დაგვირგვინების ფაქტი გგამცნო.

ზ ა ქ ა რ ი ა ლ ა შ ქ ა რ ა შ ვ ი ლ ი

*** *** *** *** *** ***

შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ა თ ა ს ი ა (ფრაგულ ფრანკებში)

პეტრე ხვედელიძე	– ნამეტია გოგუაძის მოსახსენებლად	– 500
ლადო რუხაძე	– სევერიან ურუშაძის მოსახსენებლად	– 700
პეტრე ხვედელიძე	– ქეთევან ნაკაშიძის მოსახსენებლად	– 500
ირაკლი ოთხმეწური	160 ნელი ვოდე	– 400
ლადო ბაბიშვილი	– 118 დიმიტრი გოგიშვილი	– 149
მიშა თარაშვილი	– 300 გიორგი გორგიშელი	– 680
აკაკი რამიშვილი	– 110 კოტიკა როსსი	– 270
თათრახან ანთაძე	– 300 გრიშა კერესელიძე	– 100
ემილია მორალიშვილი	– 549 ნოშრევან გალაშვილი	– 610
ანონიმი გ.ფ.რ.–დან	– 500 ყორყიკა ფაშალიშვილი	– 110
ჯამლეთ გვაზავა	– 600 ავთანდილ ფარჯანაძე	– 500
იონა გუნია	– 300 გივი გაბლიანი	– 197
ლუიზა ლომაძე	– 300 მირიან მელუა	– 200
აკაკი შავგულიძე	– 500 სანდრო ფალიძე	– 500

ჯ ა მ ი 9.153

მ. კოსტავას წიგნის შემოწირულებები

მიშა თარაშვილი	– 300	სანდრო ფალიძე	– 500
ირ. ოთხმეწური	– 320	ვენერა ხაბულიანი	– 200
შოთა ბერეჟიანი	– 1000	იონა გუნია	– 300
		ავთანდილ ფარჯანაძე	– 500

ჯ ა მ ი 3.120

1988 წლის ანგარიში: გამოვეით სამი ნომერი. №15-სული შემოწირულებათა ჯამი იყო 12.331 ფრ., №16-ს -6.579 ფრ. და №17-ს -4.479; ამათი ჯამი შეადგენს 23.389 ფრანკს. გასავალი რიგის მიხედვით იყო: 9.694, 7.077, 11.412 ამათი ჯამი შეადგენს 28.183. ამროგად გასული წლის დანაკლისი შეადგენს 4.794 ფრ. ამას ემატება 1987 წლის დანაკლისი 11.548 ფრ. და სულ გუშაგის სალაროს გასული წლის ბოლოს აკლდა 16.342 ფრანკი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

- . 2 1989 -ამბავთა წლიური მიმოხილვა- გუშაგი
- . 25 ავთანდილ იმნაძის რეცენზია - თვითგამოცემა
- . 30 სსრკ არარუს ერთა თავისუფლების ქარტია - თვითგამოცემა
- . 33 საქ. ერ. დემოკრატიული პარტიი კონგრესი და მის მიერ მიღებული პარტიის პროგრამა. -თენგიზ გუდავა
- . 37 მცირე კომენტარი - გუშაგი
- . 40 იმედები, მაგრამ სიფრთხილე - გ. ლუბაშვილი
- . 41 არ გაათვრდების... - ირინა სარიშვილი
- . 43 თ ა ვ ი II .. დავით აღმაშენებელი - 900
- . 44 პოემა დავით აღმაშენებელზე - ნოზრევან გალაშვილი
- . 53 თ ა ვ ი III -პოეზია საკვებია სულისა.
ლექსები: გივი შაორელის, თინა ჩიანის, გიორგი ტოგონიძის, ირაკლი ოთხმეზურის, პერვესელის, მერაბ კოსტავის.
- . 61 თ ა ვ ი IV
ქართული ხუროთმოძღვრება - ირინე დავრიშაშვილი
- . 69 ფიქრები საქართველოს მისიაზე - მერაბ კოსტავა
- . 82 თ ა ვ ი V - ადამიანები და წიგნები
ბორის დოვ გაპონოვი - მასალების კომპოზიცია: გ. წერეთელი
- . 89 ჯილდოს გადაცემა - კომპოზიცია ეთერი წერეთლის
- . 91 განსვენებულ მიშა ხუნდაძის წიგნი: 1917 წლის თებერვლის რევოლუცია
- . 93 ქართ. ხალხური ზღაპრები ფრანგულად გასტონ ბუაჩიძისა
საქ. ერ. დემოკრატიული პარტიის „მ ო ა მ ბ ე“
- . 94 სულ უკანასკნელი ამბები - ზაქარია ლაშქარაშვილი
- . 99 შემოწირულებათა სია და წლიური ანგარიში.



GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE